

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი
პრაქტიკა

კუპრავა მარი

ქალთა თანასწორობა ადამიანის უფლებების ეროვნული
ინსტიტუტების სახელმძღვანელო ეკონომიკური, სოციალური და
კულტურული უფლებების შესახებ (მე-2 და მე-3 მოდულების
თარგმანი და თარგმანის ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ლელა აბდუშელიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ნინო წერეთელი ფილოლოგიის დოქტორი,
ოსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ანალიზის ობიექტი არის „ქალთა თანასწორობა: ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის სახელმძღვანელო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, უფრო კონკრეტულად კი ამ სახელმძღვანელოს მე-2 და მე-3 მოდულების ქართულენოვანი თარგმანი.

სახელმძღვანელო გამოცემულია 2008 წელს კანადაში მოქმედი ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო ცენტრის (Equitas) მიერ. აღნიშნული საერთაშორისო ცენტრის საქმიანობის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს თანასწორობის მიღწევა, სოციალური სამართლიანობის დაცვა და ადამიანის ღირსების პატივისცემა, როგორც კანადაში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. სახელმძღვანელოს გამოცემაში საკუთარი წვლილი შეიტანეს შემდეგმა ორგანიზაციებმა: U N D P (აზიის წყნარი ოკეანის გენდერის მენისტრიმული პროგრამა; აზიის რეგიონალური მართვის პროგრამა), British Council (ბრიტანეთის საბჭო) და Canadian International Development Agency (კანადის საერთაშორისო განვითარების პროგრამა).

ჩემ მიერ სათარგმნად შერჩეული მე-2 და მე-3 მოდულები შეეხება ქალების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ უფლებებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, უფლებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს, შემთხვევებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევას ახლავს თან. ასევე თარგმნილ ნაშრომში განიხილება ქალთა თანასწორობის, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ძირითადი ელემენტები და საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი მიუძღვის ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს აღნიშნული უფლებების დაცვაში.

სახელმძღვანელოს წამძღვარებელი აქვს ადრეტუნ ო. ილუმოკუს სიტყვები: “ყველა დადგენილი სტანდარტისა და მისწრაფების მსგავსად, ქალთა ეკონომიკური, სოციალური

და კულტურული უფლებები, საერთო ჯამში, დამოკიდებულია რეალურ ცხოვრებაში მათი გამოყენების უნარზე.”

ამ ციტატადანაც თვალნათლივ ჩანს, რომ მოცემული ნაშრომის შექმნის მთავარი მიზანია, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ყველა იმ ცალკეულ ადამიანს თუ ორგანიზაციას, რომელიც ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში. ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო ცენტრი იმედოვნებს, რომ სახელმძღვანელოში აღწერილ მასალებსა და მაგალითებზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, ერთმანეთთან თანამშრომლობით, შეძლებენ შეიმუშაონ სტრატეგიული და ეფექტური გზები ქალებისა და გოგონების ყოველდღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

Annotation

The subject of analysis of the master's thesis is as follows: Georgian translation of the 2nd and 3rd modules of Equality for Women: A Handbook for NHRIs on Economic, Social and Cultural Rights.

This handbook was published in 2008 by International Centre for Human Rights Education (Equitas) acting in Canada. The scope of activity of this international center is advancing equality, social justice and respect for human dignity in Canada and around the world. This publication was made possible by the generous support of the following organizations: U N D P (Asia Pacific Gender Mainstreaming Programme; Asia Regional Governance Programme), British Council and Canadian International Development Agency.

The 2nd and 3rd modules selected by me for translation, discuss ESC (economic, social, cultural) rights of women, their interdependence, the particular challenge of rights and cases occurring due to human rights violations. In addition, the translation reviews the key elements of the legal framework as it applies to women's equality and economic, social and cultural (ESC) rights, and the role of national human rights institutions (NHRIs) in the protection of those rights.

On the first page of this handbook, there is Adetoun O. Ilumoka's Quote: Like all standards and aspirations, women's economic, social and cultural rights ultimately depend on the ability to enforce them."

From this quotation it is evident, that this Handbook is dedicated to individuals and institutions working to promote and protect the economic, social and cultural rights of women. International Centre for Human Rights Education hopes that on the basis of the materials and examples described in this handbook, National Human Rights Institutions and governments of different countries, in collaboration with each other, will provide creative, effective and sustainable ways to improve the daily lives of women and girls.

სარჩევი

შესავალი.....	7
ქალთა თანასწორობა.....	11
ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების სახელმძღვანელო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	11
მე-2 მოდული	
თანასწორობა, განვითარება და უფლებები - კავშირის დამყარება	11
1-ლი ნაწილი	
თანასწორობის უფლებები და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ..	13
მე-2 ნაწილი	
ქალთა თანასწორობა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები კონტექსტში.....	16
ნაწილი მე-3	
ძირითადი ცნებები	50
ნაწილი 4.	
ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების როლი	66
ნაწილი 5.	
არასახელმწიფო პირების სამართლებრივი ვალდებულებები	70
დასკვნა	75
მოდული 3.	
სამართლებრივი სისტემა	76
ნაწილი 1-ლი	
ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი	80
ნაწილი მე-2	
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემა.....	90
ნაწილი 3.	
ადამიანთა უფლებების მიღება ქვეყნის შიდა გამოყენებისათვის	114

ნაწილი 4.

სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტი, პრინციპები და სახელმძღვანელოები 117

ანალიზი 125

დასკვნა..... 142

გამოყენებული ლიტერატურა 144

დანართი 1

დანართი 2

შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ანალიზის ობიექტი არის სახელმძღვანელოს „ქალთა თანასწორობა: ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის სახელმძღვანელო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ მე-2 და მე-3 მოდულების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი.

სახელმძღვანელო დაყოფილია ექვს მოდულად, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ნაწილისგან შედგება. სახელმძღვანელოს შექმნას გარკვეული მიზნები აქვს: პირველ რიგში, ის შეიცავს ისეთი პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციასა და შეხედულებებს, რომლებიც ეხმარება ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და დაიცვან გენდერული თანასწორობა, ზედამხედველობა გაუწიონ ქალების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესრულებას. სახელმძღვანელო განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ახლებურ სისტემას. ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს აწვდის ინფორმაციას, იმის შესახებ, როგორ უმკლავდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. მე-2 და მე-3 მოდულები გვანვდის მნიშვნელოვან ფონურ ინფორმაციას ქალთა თანასწორუფლებიანობისა და მათი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების წარმოშობისა და განვითარების შესახებ და იმ სამართლებრივი სისტემის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ისინი მოქმედებენ.

მე-2 მოდული, სახელწოდებით: “თანასწორობა, განვითარება და უფლებები - კავშირის დამყარება” ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს ერთ კონტექსტში აერთიანებს. თხრობას იწყებს ზემოხსენებული უფლებების ჩამოყალიბების პერიოდიდან, განიხილავს კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ კონკრეტულ გამოწვევებს, უფლებების ურთიერთდამოკიდებულებას, თანასწორობას ქალსა და მამაკაცს შორის, კარგი მმართველობის შემთხვევებს, განვითარებასა და ქალების უსაფრთხოებას. ეს მოდული შეიცავს ხუთ ნაწილს (I. თანასწორობა, განვითარება და უფლებები - კავშირის დამყარება; II. ქალთა თანასწორობა და ეკონომიკური,

სოციალური და კულტურული უფლებები კონტექსტში; III. ძირითადი ცნებები; IV. ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების როლი; V. არასამთავრობო პირების სამართლებრივი ვალდებულებები).

მე-2 მოდულში განხილულია ის ძირითადი ცნებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ამ სფეროში მომუშავე პირებისთვის. ეს ცნებებია: დისკრიმინაცია, სუბსტანციური თანასწორობა, ურთიერთკავშირი და განუყოფლობა, დისკრიმინაციის არსებობის მრავალი საფუძველი (ან კლასებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების აღწერა, რომელსაც განსაკუთრებული როლი აკისრია სოციალურად დაუცველი და დაბალი შემოსავლის მქონე ქალების დაცვის სფეროში). საუბარია ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მზარდი როლის შესახებ ქალთა უფლებებისა და ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დაცვის სფეროში.

რაც შეეხება მე-3 მოდულს, აქ ოთხი ნაწილი გვხვდება. (I. ადამიანის უფლებათა ეროვნული ცენტრის უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი; II. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემა; III. ადამიანთა უფლებების მიღება ქვეყნის შიდა გამოყენებისათვის; IV. სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტი, პრინციპები და სახელმძღვანელოები). მოდულში განიხილება ქალთა თანასწორობის, ESC (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ) უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ძირითადი ელემენტები და საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი მიუძღვის ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს აღნიშნული უფლებების დაცვაში. ხოლო ადამიანის უფლებათა მიღება ქვეყნის შიდა გამოყენებისთვის, იკვლევს, თუ როგორ გარდაქმნიან სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს შიდასახელმწიფოებრივ კანონად.

ზოგადად შევეხებით ქალთა უფლებების პრობლემას. თავად ტერმინი „ქალთა უფლებები“, როგორც ვიცით, დაკავშირებულია ყველა ასაკის ქალთა და გოგონათა უფლებებთან და თავისუფლებებთან. ქალის უფლებების ცალკე გამოყოფა ნაკარნახევი იყო ქალისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპული დამოკიდებულებით,

გენდერული ასიმეტრიისა და გენდერული უთანასწორობის დაძლევის სურვილით. ქალთა ეკონომიკურ, სოციალური, კულტურული უფლებები ითვალისწინებს ქალის რეპროდუქციულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური გადანაცვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში მონაწილეობის, განათლების, დასაქმების, სუფთა გარემოს, სამშვიდობო პროცესში ჩართვის უფლებებს, შრომის სათანადო გარემოს, არჩევანის თავისუფლებას, საკუთრების ფლობის უფლებას და ა.შ. (ქალთა უფლებები)

ფრაზა ქალის ადამიანის უფლებები გამოიყენება, რათა აქცენტი გაკეთდეს იმ ფაქტზე, რომ ქალის უფლება ადამიანის უფლებაა, უფლება, რომელიც ქალებს აქვთ რადგან ისინი უბრალოდ ადამიანები არიან. ეს აზრი აერთიანებს ქალთა უფლებების თემას ადამიანის უფლებების მოძრაობაში და ამავდროულად აერთიანებს ადამიანის უფლებების პრინციპებს ქალთა უფლებების მოძრაობაში. გენდერული თანასწორობა ნიშნავს თანაბარ შესაძლებლობებს, მონაწილეობის და ორივე სქესის გამოჩენას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარ დონეზე. გენდერული თანასწორობა არ უნდა გავიგოთ როგორც გენდერული მრავალფეროვნების, არამედ პირიქით, როგორც გენდერული უთანასწორობის საწინააღმდეგო. ის მიზნად ისახავს ქალების და მამაკაცების საზოგადოებაში სრული მონაწილეობის წახალისებას. ისევე როგორც ადამიანის უფლებებისათვის, გენდერული თანასწორობისათვისაც საჭიროა მუდმივი ბრძოლა, დაცვა და მხარდაჭერა. (გენდერული თანასწორობა; ზოგიერთი ძირითადი კონცეფციები)

მოცემული ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. შესაბამისად, თარგმნილი ნაშრომის მთავარი თემა - ქალთა თანასწორობა და მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები - დღემდე საჭირობოროტო საკითხია თანამედროვე საზოგადოებისთვის. საქართველო, თავის მხრივ, ცდილობს ნაბიჯების გადადგმას გენდერულად თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ელოდება წინ; ამასთანავე, სიღარიბის და უმუშევრობის მასშტაბები ქალებს ორმაგად მოწყვლად მდგომარეობაში ამყოფებს. ქალთა უფლებებრივად გაძლიერება არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ

საერთაშორისო დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. (ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში). მიუხედავად საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილების და აქტივობისა საქართველოში გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კვლავ მაღალია ქალთა დისკრიმინაციის მაჩვენებელი დასაქმების ადგილზე, ოჯახში ძალადობა, გენდერული ნიშნით ძალადობა, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობა, ადრეული ქორწინების გაზრდილი შემთხვევები და სხვა. (გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები)

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები ადამიანის ფუნდამენტური უფლებებია, რომლებიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებში და წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მოქმედებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები. მაგრამ ქალების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უთანასწორობა კვლავ გრძელდება და ჩვენს ისტორიაში, ტრადიციებსა თუ რელიგიაში მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული. როგორც ჩანს, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და კონვენციები, მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი “ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია”, „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტი“ და მთელი რიგი შრომითი დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ ქალთა ფუნდამენტურ უფლებებს და ქმნიან სახელმწიფოს მიერ ამ უფლებათა შესრულების ზედამხედველობის მექანიზმს, ფაქტია, რომ მათ არ შესწევთ იმის ძალა, ქალებსა და გოგონებს ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ საქმიანობაში გაუწიონ პრაქტიკული დახმარება. ნაშრომში ასევე საუბარია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისია, ქალები რეალურ ცხოვრებაში სისტემურ ჩაგვრას განიცდიან და ისინი, როგორც სამუშაო ძალა, თითქმის სრულიად უგულებელყოფილნი არიან. (ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში).

ქალთა თანასწორობა

ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების სახელმძღვანელო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

“ყველა დადგენილი სტანდარტისა და მისწრაფების მსგავსად, ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, საერთო ჯამში, დამოკიდებულია რეალურ ცხოვრებაში მათი გამოყენების უნარზე”, - ადეთუნ ო. ილუმოკუ

U N D P (აზიის წყნარი ოკეანის გენდერის მენისტრიმული პროგრამა; აზიის რეგიონალური მართვის პროგრამა)

British Council (ბრიტანეთის საბჭო)

Canadian International Development Agency (კანადის საერთაშორისო განვითარების პროგრამა)

მე-2 მოდული

თანასწორობა, განვითარება და უფლებები - კავშირის დამყარება

მე-2 მოდულის მიმოხილვა მე-2 მოდულის მიმოხილვა

მე-2 მოდული შედგება ხუთი ნაწილისგან

➤ **ნაწილი 1-ლი - თანასწორობის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები** მოიცავს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების წინასწარ მიმოხილვას, მათ შორის ამ ნაწილში განხილული იქნება სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი მინიმალური ძირითადი ვალდებულებები. ასევე მოკლედ იქნება

საუბარი იმ კონკრეტული გამოწვევების შესახებ, რომლებიც თავს იჩენს ქალთა თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფის პროცესში. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მათ კულტურულ უფლებებზე.

➤ **ნაწილი მე-2 - ქალთა თანასწორობა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები კონტექსტში**, წარმოადგენს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, როგორც ისტორიული, ტრადიციული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას. ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები ხშირად დაკავშირებულია სისტემურ პრობლემებთან და ბევრი ადამიანისა და ორგანიზაციის, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ საქმიანობასთან. მე-2 ნაწილი განიხილავს ქალთა თანასწორობის ძირითად ასპექტებს მმართველობის კარგ ფორმასთან, ათასწლეულის განვითარების მიზნებთან და ქალთა უსაფრთხოებასთან მიმართებით.

➤ **ნაწილი მე-3 - ძირითადი ცნებები**, განიხილავს კონცეფციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ სფეროში მუშაობისთვის და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის, ცდილობს ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დაცვის სფეროში უფრო ნაყოფიერ შედეგებს მიაღწიოს. მესამე ნაწილში განხილული ცნებებია: დისკრიმინაცია, სუბსტანციური თანასწორობა, ურთიერთკავშირი და განუყოფლობა, დისკრიმინაციის არსებობის მრავალი საფუძველი (ან კლასებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების აღწერა, რომელსაც განსაკუთრებული როლი აკისრია დაუცველი და დაბალი შემოსავლის მქონე ქალების დაცვის სფეროში), დროებითი განსაკუთრებული სახის ღონისძიებები და არა რეტროგრადული პრინციპი.

➤ **ნაწილი მე-4 - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი**, იკვლევს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მზარდ როლს ქალთა უფლებებისა და ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების სფეროში.

➤ **ნაწილი 5 - არასამთავრობო პირების სამართლებრივი ვალდებულებები**, განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციების, კორპორაციებისა და სხვა არასახელმწიფო პირების პასუხისმგებლობას. ადამიანის უფლებათა ეროვნულ

ინსტიტუტებს ხშირად აქვთ იურიდიული უფლებამოსილება, რომლებიც ვრცელდება ამ პირებზე და ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა სტანდარტები არსებობს და როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ჩართონ საქმეში არასამთავრობო პირები.

1-ლი ნაწილი

თანასწორობის უფლებები და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ადამიანის უფლებებია, რომლებიც ეხება ადამიანის არსებობის საფუძვლებს: სიცოცხლის ძირითადი აუცილებლობის უფლება; სწავლის, მუშაობის, ოჯახის შექმნის უფლება, კულტურული იდენტობის განსაზღვრის უფლება, მეცნიერული პროგრესის შედეგებით სარგებლობისა და მისი გამოყენების უფლება. ქვემოთ მოყვანილ ჩარჩოში მოცემული მაგალითები ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ტრადიციული ფორმულირებაა.

ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები მოიცავს შემდეგს:

- ცხოვრების სათანადო დონე
- ოჯახების დახმარება და დაცვა
- მეცნიერული პროგრესიდან სარგებლობის მიღება
- განათლება და სწავლება
- დასაქმება და უსაფრთხო სამუშაო პირობები
- ქალებისა და მამაკაცების თანაბარი უფლება ქორწინებაზე
- პროფესიული კავშირების შექმნა, მასში განწევრიანება და მოვალეობის შესრულება
- ძალადობისგან დაცვა
- ჯანსაღი გარემო
- საკუთრების ფლობა და მემკვიდრეობით მიღება
- საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება

- სოციალური უსაფრთხოება

ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად: "თავისუფლად საუბრის უფლება" განათლების მიღების გარეშე ბევრს არაფერს ნიშნავს. "მუშაობის უფლებაც" ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ საშუალება, პირადად შეხვდეთ თანამშრომლებს და იმსჯელოთ მათთან იმის შესახებ, თუ როგორ გააუმჯობესოთ სამუშაო პირობები.“

ქალთა თანასწორობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების კონტექსტში ეფუძნება სახელმწიფო ვალდებულებების, კანონებისა და რეგულაციების დიდ რაოდენობას, რომლებიც ქალებსა და გოგონებს საშუალებას აძლევს, მიაღწიონ სრულ თანასწორობას თავიანთი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში.

2002 წელს სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა მონრეალში, რათა განესაზღვრათ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების კატეგორიები და შინაარსი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის საფუძველზე. მათ ჩამოაყალიბეს მონრეალის პრინციპები ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ("მონრეალის პრინციპები"). ქვემოთ განხილულია ის კატეგორიები, რომლებიც მონრეალის პრინციპების საფუძველზეა დამკვიდრებული.

ცხოვრების სათანადო დონე მოიცავს:

- კვებისა და შიმშილისაგან თავისუფლების უფლებას
- სასმელი წყლის უფლებას
- ტანისამოსის უფლებას
- საცხოვრებლისა და იძულებით გამოსახლებისგან დაცვის უფლებას
- საცხოვრებელი პირობების მუდმივი გაუმჯობესების უფლებას

დასაქმება და უსაფრთხო სამუშაო პირობები მოიცავს:

- სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებას
- სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების, მათ შორის, სათანადო ხელფასისა და თანაბარი ანაზღაურების უფლებას
- სამსახურში სექსუალური შევიწროებისა და სქესობრივი დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებას
- ეკონომიკური ხასიათის ექსპლუატაციისგან თავისუფლების უფლებას

ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებს:

- ფსიქიური ჯანმრთელობა
- ფიზიკური ჯანმრთელობა
- ქალის რეპროდუქციული, სექსუალური ჯანმრთელობა და თავისუფლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში

სოციალური დახმარება მოიცავს შემდეგ უფლებებს:

- სოციალური უსაფრთხოება
- სოციალური დაცვა
- სოციალური დაზღვევა
- სოციალური მომსახურება, მათ შორის სპეციალური დახმარების განწვევა მშობიარობამდე, მშობიარობის დროს და მის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებში ქალთა უფლებების ძირითადი სამართლებრივი წყაროებია: “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი” და “ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია”, ამას გარდა, არსებობს მრავალი სხვა დოკუმენტი, რომელიც განიხილავს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს. მაგალითად, „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 26-ე მუხლში აცხადებს, რომ თანასწორობის გარანტიას, რომელშიც ნათქვამია, რომ "თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს“. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მთელი რიგი შრომითი დოკუმენტები ასევე ეხება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის, დანართი 2 შეიცავს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების ძირითად ცხრილს, რომელიც ეხება ქალთა თანასწორობის უფლებებსა და ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს. რეგიონული ინსტრუმენტების ცხრილის ნახვა შესაძლებელია მე-3 დანართში.

მე-2 ნაწილი

ქალთა თანასწორობა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები კონტექსტში

ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები ადამიანის ძირეული უფლებებია, რომლებიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებში და წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მოქმედებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები. მიუხედავად ამისა, ქალების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანასწორობა კვლავ გრძელდება და ჩვენს ისტორიაში, ტრადიციებსა თუ რელიგიაში მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ამ ყოველივემ გამოიწვია სოციალური შეხედულებების, სამართლებრივი რეჟიმებისა და ეკონომიკური სტრუქტურების გაერთიანება კონტექსტში, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კულტურასა და საზოგადოებაში ქალს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ამყოფებს მამაკაცთან მიმართებით.

ზოგჯერ ამბობენ, რომ თუ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს ბევრი ქალისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ პაქტი არ ასახავს იმ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტებს, რომელთა მიხედვითაც ქალების უმრავლესობას უწევს ცხოვრობა. ქალთა თანასწორობის არსის სწორად გასაგებად, აღნიშნული კონტექსტები უნდა აყალიბებდეს იმ კრიტიკულ ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვანია უფლებებისა და მათი რეალიზაციისთვის.

შესაბამისად, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები და თანასწორობა ყველაზე უკეთ შეიძლება გავიგოთ მათი კონკრეტული კონტექსტიდან და ქალთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი მე-7 მუხლი ადგენს თითოეული ჩვენგანის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მაგრამ ის მხოლოდ საჯარო სივრცით შემოიფარგლება. აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ქალები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასრულებენ საკუთარ ოჯახებში. ბევრი ქალისთვის ხომ სწორედ ეს საქმეა ცხოვრების მთავარი მოვალეობა.

უფლებების სირთულე, კონტექსტი და ურთიერთდამოკიდებულება ნათლად არის ჩამოყალიბებული ქვემოთ მოცემულ ნაწილში:

ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარკვეული უფლებების უგულებელყოფა ან მისი გამოყენება ხშირად სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული: განათლებისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობა შეიძლება აუცილებელი იყოს ისეთი დემოკრატიული სისტემის შესაქმნელად, სადაც მოქალაქეები სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ერთობლივად მიიღებენ. ანალოგიურად, პოლიტიკურ პროცესებში დემოკრატიული ჩართულობა შეიძლება საჭირო გახდეს სუფთა წყლის ხელმისაწვდომობისთვის. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ზოგიერთი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ უფლებების ჩართვა ადამიანის უფლებათა ძირითად ნაწილში სრულად არ უნდა მოხდეს, რადგან ობიექტურად იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ეს უფლებები სირთულეს წარმოადგენს... ეს არის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ძალა: კონკრეტულ კონტექსტებში მათი გაგება და აღქმა ყველაზე უკეთ ხდება და უპირატესობაც ენიჭებათ.

მთავრობის პოლიტიკამ, რომელიც ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს ახორციელებს, უნდა გაითვალისწინოს ქალთა რეალური ყოფა-ცხოვრება. თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებმა უნდა შეძლონ, დაადგინონ და გაითვალისწინონ ის კონკრეტული სიტუაციები, სადაც არ ხდება ქალთა უფლებების

სათანადო პატივისცემა, დაცვა, შესრულება ან, სადაც ქალებს არ აქვთ საკმარისი უფლებები.

ა. ურთიერთკავშირების გაგება: ქალთა უფლებები, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები

თანასწორობა ქალთა უფლებების მთავარი საკითხია. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლის მიხედვით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები:

კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებები ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით...

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, ყველაფერი საკმაოდ მარტივია, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოები, მთავრობები და პოლიტიკოსები ხშირად უგულებელყოფენ ზოგადად ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, განსაკუთრებით კი ქალთა უფლებებს.

მაგალითად, ზოგიერთი წევრი სახელმწიფო აცხადებს, რომ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები არ ექვემდებარება სასამართლო წესით დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ ერთგვარი "მისწრაფებაა" და არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას ან სასამართლოში საქმის განხილვას. მეორეც, წლების განმავლობაში ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებისაგან იზოლირებული იყო, რადგან ქალის მიმართ ძალადობა გამართლებული იყო ოჯახის, ტრადიციების, კულტურის მიერ ან სულაც რელიგიური წესით იყო უზრუნველყოფილი.

მიუხედავად ამ და სხვა დაბრკოლებებისა, კავშირები ნელ-ნელა დამყარდა ზოგადად ადამიანის უფლებებს, კერძოდ, კი ქალთა უფლებებს შორის. ჩამოყალიბდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ყოვლისმომცველი სისტემა, როგორც კანონის ძალა და კარგი მმართველობის წესების წყარო. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებულად სწრაფად განვითარდა ოთხმოციან წლებში.

ქვემოთ არის იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტების ნუსხა, რომელთა შესახებაც უნდა იცოდნენ ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა.

ლიმბურგის პრინციპები (1986 წ.)

1986 წელს ლიმბურგის უნივერსიტეტში, მაასტრიხტში, ნიდერლანდებში, შეიკრიბა საერთაშორისო სამართლის გამორჩეულ ექსპერტთა ჯგუფი. მათ შეიმუშავეს პრინციპები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, სახელწოდებით: ლიმბურგის პრინციპები. ლიმბურგის პრინციპები ქმნის მყარ კავშირს თანასწორობის უფლებებს შორის ზემოთ ციტირებულ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლსა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში. აღნიშნული კავშირები მყარდება ასევე სხვა სათანადო დოკუმენტებისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობის გათვალისწინებით.

ვენის მსოფლიო კონფერენცია (1993 წ.)

1993 წელს ვენაში ჩატარებულმა გაეროს მსოფლიო კონფერენციამ ადამიანის უფლებების საკითხზე გააძლიერა ქალთა ჯგუფების მონაწილეობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ისინი მოითხოვდნენ, რომ ქალთა უფლებები განხილული და დამუშავებული ყოფილიყო როგორც ადამიანის უფლებათა სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ვენის დეკლარაციამ აღიარა, რომ, ზოგადად, ადამიანის უფლებები არის განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებული. ყველა მონაწილემ სახელმწიფომ ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებად აღიარა, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო დონეზე, როგორც პრინციპს, ასევე მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას.

პარიზის პრინციპები (1993 წ.)

1993 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაქვეყნა რეზოლუცია, რითაც დაადასტურა პარიზის პრინციპები, რომელიც ადგენს ადამიანის უფლებათა ეროვნული

ინსტიტუტების ძირითად სტანდარტებს და მიიჩნევს მათ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში მთავარ ეროვნულ აქტორებად.

ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (პეკინი 1995 წ.)

1995 წელს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციამ შეიმუშავა პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი (ან მძლავრი) ეროვნული ინსტიტუტების შექმნას, ქალთა ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობას, გენდერული მენსტრიმინგისა და იმ პროგრამების განვითარებას, რომლებიც ეროვნული მექანიზმების მეშვეობით იცავს ქალების ადამიანურ უფლებებს. სტრატეგიული მიზნების გამო, ბევრი ქალთა ორგანიზაცია საქმიანობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების ბოლოს თანასწორობის უფლებები გაცილებით უფრო მტკიცედ იყო აღბეჭდილი ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებში.

მაასტრიხტის მითითებები (1997 წ.)

1997 წელს მაასტრიხტის მითითებებმა მოკლედ შეაჯამა ლიმბურგის პრინციპების შემუშავებიდან განვლილ ათწლეულში მიღწეული შედეგები და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში აღწერილი ქალების თანასწორობის საფუძველზე დაყრდნობით უნდა ვიმსჯელოთ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში. შემდეგ დამატებითი კავშირი შეიქმნა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, ქალთა უფლებებსა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას შორის, რაც გამომწვეული იყო სოციალური, კულტურული და სხვა სტრუქტურული ხასიათის ნაკლოვანებებით.

2000 წლისთვის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე ტრადიციულად კონცენტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესის სფეროში ეტაპობრივად, ნელ-ნელა, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები მოექცა.

ორგანიზაციების კვლევის დღის წესრიგი, როგორცაა ეკონომიკური და სოციალური უფლებების ცენტრი, მის მიერ ჩატარებული მონიტორინგის, შესრულებული საადვოკატო საქმიანობისა და დადებითი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების განვითარების საფუძველზე, მიუთითებს, რომ აუცილებელია ინტერდისციპლინარული და მრავალმხრივი მიდგომების განვითარება, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული დარღვევის შემთხვევები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვეკომისიის რეზოლუცია 1997-19 წწ.

პირველად, 1997 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ გამოაქვეყნა რეზოლუცია მიწაზე, ქონებასა და ადევკვატურ საცხოვრებელზე ქალების უფლებების შესახებ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დღის წესრიგის ფარგლებში სპეციალურად ქალებთან დაკავშირებული რეზოლუცია მიიღო. ახალადშექმნილი ადამიანის უფლებათა საბჭოს თემატური საკითხების სპეციალურმა მომხსენებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქალების გამოცდილებას. მაგალითად, სპეციალურმა მომხსენებლებმა ქალების სათანადო საცხოვრებლის უფლების მიღებასთან დაკავშირებით რეგიონებში კონსულტაციების ჩატარება დაიწყეს.

რეგიონალური სემინარი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლის შესახებ ქალთა საერთაშორისო ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში (2000 წ.)

2000 წლის 5-7 მაისს ფიჯის კუნძულებზე ჩატარებულმა სემინარმა მოუწოდა ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებებისთვის, მათ შორის მათი თავშესაფრის, საკვების, სასმელი წყლის, დანყებითი განათლების, პირველადი ჯანდაცვის

უფლებებისა და ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებებისთვის. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებს ჰქონდათ ხელშეწყობა, იმისათვის, რომ აქტიურად გაეკონტროლებინათ მთავრობის ანგარიშგების ვალდებულებები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა და ადამიანის უფლებების სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, კრიტიკულად განეხილათ და გაეთვალისწინებინათ სქესობრივი ხასიათის მონაცემები და რჩევა მიეცათ მთავრობებისთვის, როგორ დაეგეგმათ შესაბამისი პროგრამები, რომლებიც ეფექტური შედეგის მომტანი იქნებოდა მომავალში და დროის გამოყოფილ შუალედშიც შესაძლებელი გახდებოდა მათი შესრულება.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები: საუკეთესო პრაქტიკა (თანამეგობრობის სამდივნო, 2001 წ.)

2001 წელს თანამეგობრობის სამდივნომ გამოსცა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საუკეთესო პრაქტიკა (საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო), რამაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ "მიუხედავად ქვეყნის მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ფორმალური აღიარებისა, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა კარგად უნდა გაითავისონ ეს უფლებები. მათ უნდა შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ უფლებების ამ ნაწილში ამ უკანასკნელის შესახებ ცნობიერების ამაღლებას." საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების მიხედვით, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ასევე მზად უნდა იყვნენ, გამოაშკარაონ მსხვერპლის სქესობრივი ნიშნის საფუძველზე ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ხოლო ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების თანამშრომლები სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული, იმისათვის შესაბამისი რეაგირება მოახდინონ ადამიანის უფლებების საკითხებთან ან სქესობრივი ნიშნის საფუძველზე ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებები ასევე ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა:

- ურჩიოს მთავრობას, შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს არ აქვს მავნე ზეგავლენა. (მაგ., სტრუქტურული რეგულირების პროგრამები და ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები).
- ხელი შეუწყოს მთავრობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს და წახალისოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის მონაწილეობა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და განხილვის პროცესში.

რეგიონალური სემინარი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და სხვა მექანიზმების როლის შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში (2001 წ.)

2001 წელს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების აზია-წყნარი ოკეანის ფორუმმა ჰონგ კონგის თანაბარი შესაძლებლობების კომისიასთან ერთად ასევე უმასპინძლა რეგიონალურ სემინარს, რომელიც ეხებოდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და სხვა მექანიზმების როლს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში. სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების განხორციელების დროს დისკრიმინაციის შესახებ საკითხის მოგვარების მნიშვნელობა და ეროვნული ინსტიტუტების გამოცდილების განვითარების მნიშვნელობა ამ უფლებებთან დაკავშირებით. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების სფეროში (და, კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში), საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობის აღიარების მიზნით, სემინარზე გაცხადდა რომ "მთავრობები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ არც ერთი ერი არ განიცდის დისკრიმინაციას მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გამოყენებისას".

მონრეალის პრინციპები ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (2002 წ.)

2002 წელს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების, განსაკუთრებით კი ქალების გავლენის, მიმართ მზარდი ინტერესის გამოსახატავად, ექსპერტების შეხვედრაზე მიღებულ იქნა მონრეალის პრინციპები ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ეს პრინციპები იყო პირველი, რომლითაც ჩამოყალიბდა ქალთა (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების

მნიშვნელობა და გამოყენება. პრინციპებმა შექმნეს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული გარანტირებული უფლებების არადისკრიმინაციული განხორციელების, გამოყენებისა და სარგებლობისთვის საჭირო განმარტებითი ხასიათის გზამკვლევი. პრინციპებმა ასევე ნათლად მიუთითეს ინსტიტუტებისა და მექანიზმების ეროვნული სისტემის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, კომისიებისა და სახალხო დამცველის ოფისების არსებობის აუცილებლობა, რათა მხარი დაუჭირონ იმ სტრატეგიებს, გეგმებსა და პოლიტიკას, რომლებიც სპეციალურად იმისთვისაა შექმნილი, რომ უზრუნველყოს ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების თანაბარი გამოყენება და სარგებლობა.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მრგვალი მაგიდა და ქალთა წინსვლის ხელშემწყობი ეროვნული მექანიზმები (2004 წ.)

2004 წლის 15-19 ნოემბერს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა და ქალთა წინსვლის სამმართველომ ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებამ გამართა მრგვალი მაგიდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და ქალთა წინსვლის ეროვნული მექანიზმების შესახებ მაროკოში, ქ. უარზაბატში. შეხვედრამ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ურჩია, უზრუნველყოს ქალთა უფლებების დაცვა და ხელშემწყობა, რადგან სწორედ ეს უფლებებია მათი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. ასევე შესთავაზა მათ გამოეყენებინა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, როგორც საფუძველი თავიანთი საქმიანობის განხორციელებისათვის.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის რეზოლუცია 2005/74

2005 წელს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა ადამიანის უფლებათა დაცვის რეზოლუციაში 2005/74, დაადასტურა, რომ ქალთა უფლებების დაცვისა და

ხელშეწყობის სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, ისევე როგორც, ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა მექანიზმებს.

საერთაშორისო მრგვალი მაგიდა ეროვნულ ინსტიტუტებზე, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (2005 წ.)

2005 წელს ინდოეთის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუწია სამდღიან საერთაშორისო მრგვალ მაგიდას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განმახორციელებელი ეროვნული ინსტიტუტების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული ინსტიტუტების როლისა და საქმიანობის სფეროს გაფართოება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით. შედეგად, ნიუ-დელის საბოლოო დადგენილება ითხოვდა:

- გაცნობოდნენ ეროვნული ინსტიტუტები ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, მათი დაცვისა და ხელშეწყობისთვის ხელმისაწვდომი ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმების ჩათვლით.
- შეესწავლათ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების "ახალი განზომილება", რომელსაც შეეძლო შეეცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სცენარი.
- ჩაეტარებინათ ფორუმი, რათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეძლებოდათ სხვებისთვის გაეზიარებინათ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილება, რომელიც შეიცავს საუკეთესო მეთოდებს, რომლებიც აუცილებელია უფლებების განხორციელებისათვის.

ზოგადი მითითება No. 16

2005 წელს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა შეიმუშავა სრულიად მოსალოდნელი ზოგადი მითითება No.16 ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებში მამაკაცისა და ქალის თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ. ეს იყო მითითება, რომელმაც მეტი სიღრმე და აზრი შესძინა თანასწორობას, როგორც ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ცენტრალურ კონცეფციას. ზოგადი მითითება No.16 მნიშვნელოვანია, რადგან ის განმარტავს, რომ ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტური მექანიზმებისა და დაწესებულებების შექმნას, იქ, სადაც ისინი არ მოქმედებენ. მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოები, სახალხო დამცველები და სხვა ადამიანის უფლება დამცველი ეროვნული ინსტიტუტები, სასამართლოები და ტრიბუნალები. ამ ინსტიტუტებმა უნდა გამოიძიონ და გამოაშკარავონ სავარაუდო დარღვევები დაკავშირებული მამაკაცთა და ქალთა თანასწორობასთან და უნდა გამოიყენონ გარკვეული საშუალებები ამგვარი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ასევე ითანამშრომლონ მონაწილე სახელმწიფოებთან, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ მიერ არჩეული საშუალებები ეფექტურად ხორციელდება.

აზიის წყნარი ოკეანის რეგიონალური სემინარი ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 2006 წლის იანვარი

2006 წელს, თელიპინების ადამიანის უფლებათა კომისიამ და ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო ცენტრმა მოიწვია საერთაშორისო სემინარი, რომელიც დააფინანსა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა, გაეროს განვითარების პროგრამამ და თანამეგობრობის სამდივნომ, რათა სიღრმისეულად შეესწავლათ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ხელშეწყობის საქმეში. ამ ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნები მოიცავდა პრაქტიკული მექანიზმის განვითარების იდეას, რომლის საშუალებითაც უკეთ მოხდებოდა ყურადღების გამახვილება იმ განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც იქმნებოდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებებისა და ქალთა უფლებების და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების

როლის ერთმანეთთან გადაკვეთისას. მექანიზმი, როგორც ძირითადი საშუალება უფლებებათა ორივე ნაწილის დაცვისა და ხელშეწყობისთვის.

მოცემული მოკლე მიმოხილვა, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი, ვინაიდან 1993 წელს მიღებული ვენის დეკლარაციის შემდეგ რამდენიმე რეგიონალური, საერთაშორისო სემინარი და კონფერენცია კიდევ ჩატარდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებებისა და ქალთა უფლებების შესახებ. მოხსენებებისა და კონფერენციის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე <http://www.nhri.net>.

პროგრესი ძალიან ნელი დაბიჯებით მიიწვედა წინ, თუმცა, საერთო ჯამში, მაინც დადებითი შედეგი მოიტანა. ნათელი მოეფინა რამდენიმე მუდმივი ხასიათისა და ძნელად დასაძლევ სირთულეს, რომელიც თავს იჩენდა ქალთა უფლებების დაცვისას. ერთ-ერთ ასეთ სფეროს მიეკუთვნება კულტურული უფლებები.

ბ. კულტურული უფლებების გამოწვევა

"კულტურა ინგლისურ ენაში ერთ-ერთია ორ ან სამ ყველაზე კომპლექსურ სიტყვას შორის. ამას ნაწილობრივ განაპირობებს მისი რთული ისტორიული განვითარება... ძირითადად ასე იმიტომ, რომ ამჟამად ტერმინი კულტურა გამოიყენება რამდენიმე გამორჩეული ინტელექტუალური დისციპლინისა და მოსაზრებათა რამდენიმე განსხვავებული და შეუსაბამო სისტემების მნიშვნელოვანი ცნებების გამოსახატავად."

მთელ მსოფლიოში ქალების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობისას უთანასწორობა ხშირად მტკიცედ არის დანერგილი ტრადიციებში, ისტორიასა და კულტურაში, მათ შორის რელიგიურ შეხედულებებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ კულტურა წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ცენტრალურ საკითხს, იგი ასევე განსაკუთრებული ხასიათის სირთულეებს ქმნის ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის დაცვისას. ერთი მხრივ, კულტურა და ტრადიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის განვითარების პროცესში. მეორე მხრივ, სანამ ისინი ჩვენი პიროვნების ფორმირებასი მონაწილეობენ და ძირითადი უფლებების ნაწილს ქმნიან, კულტურა იმ ტრადიციებისა და მავნე ტრადიციული ჩვეულებების წყაროა,

რომლებიც ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციას ახდენს. უფლებების ეს ჯგუფი შეიძლება განსაკუთრებულად ინვესტირდეს აზრთა სხვადასხვაობას, როდესაც აღმსარებლობის, ეთნიკური კუთვნილებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ დასმული საკითხები უპირისპირდება ქალთა თანასწორობის მოთხოვნებს.

კულტურასა და ქალთა თანასწორობას შორის არსებული ღრმა კავშირების მიუხედავად, მათ შორის დამოკიდებულება შედარებით ნაკლებ ყურადღებას იქცევდა ადრეულ 90-იან წლებამდე. ყველაფერი თანდათანობით შეიცვალა, ექსპერტები ცდილობდნენ, შეეცვალათ საკითხები, რათა შეესწავლათ კონტექსტი და ადგილობრივი რეალობა აუცილებელი ინოვაციური გადარწმუნებების მისაღებად. მათ განავითარეს საკითხთან დაკავშირებული ახალი თეორიული პერსპექტივები.

როგორც ამ სახელმძღვანელოს მიმოხილვისას ერთ-ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, მძლავრი ფაქტორები, ვთქვათ, ზენოლა ერთი წრის ადამიანებს შორის, კულტურის შემადგენელი ნაწილია და ამან შეიძლება მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრას შეუწყოს ხელი. ამგვარი ზენოლა უნდა იყოს სათანადოდ შეფასებული იმ პროგრამებსა და კამპანიებში, რომლებიც მიზნად ისახავენ ცნობიერების ამაღლებას და ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხზე, როგორცაა: ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება. ახალგაზრდა გოგონები წნეხის ქვეშ არიან, როდესაც ერთდროულად იცავენ წესჩვეულებებს და თან ცდილობენ, არ იგრძნონ თავი განდევნილად და სოციალურად გარიყულად. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინონ ქალთა უფლებების ასეთი დარღვევების გამომწვევი კულტურული საფუძველი, სანამ შეუდგებიან გამოძიების დაწყებას ან სარეკლამო ხასიათის გადაცემების გაკეთებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში, რომელთა კულტურაშიც მამრობითი სქესი დომინირებს, არსებობს ასეთი აღქმა, რომ ქალების გაძლიერება და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვევს მამაკაცების უფლებების შელახვას. ასეთმა წარმოდგენებმა უარყოფითი შედეგები მოუტანა იმ ქალებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ უფლებრივად გაძლიერება სჭირდებოდათ. ადამიანის უფლებათა

ეროვნული ინსტიტუტები საჯარო განათლებისა და კომერციული გადაცემების მეშვეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ცვლილებებისა და ზემოქმედების აღწერისას.

ქვემოთ ჩამოთვლილია საერთაშორისო მნიშვნელოვანი დოკუმენტების ნუსხა კულტურული უფლებების შესახებ.

დეკლარაცია კულტურათა მრავალფეროვნების შესახებ (2001 წ.)

ერთი მხრივ, იუნესკოს 2001 წლის საყოველთაო დეკლარაცია კულტურათა მრავალფეროვნების შესახებ აღიარებს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც ძირითად ნაწილს იმისა, თუ როგორ ახერხებს ადამიანი საკუთარი პიროვნების გამოხატვას. ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ განისაზღვრება, როგორც: "პრაქტიკა, წარმომადგენლობა, გამოთქმა, ცოდნა და უნარები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და, რომლებიც საზოგადოებებსა და ჯგუფებს საკუთარი იდენტობისა და უწყვეტობის განცდას უნარჩუნებს." კონკრეტული მაგალითებია:

- ზეპირი გამონათქვამები და ტრადიციები, მათ შორის ენა, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მამოძრავებელი ძალაა.
- საშემსრულებლო ხელოვნება
- სოციალური პრაქტიკა, რიტუალები და სადღესასწაულო ღონისძიებები
- ცოდნა და გამოცდილება ბუნებისა და სამყაროს შესახებ
- ტრადიციული პროფესიონალური სამუშაო და მუსიკა
- კულტურული არეალი: ადგილები, სადაც პოპულარული და ტრადიციული კულტურული ღონისძიებები ტარდება

კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (2005 წ.)

იუნესკოს კონვენციის თანახმად, ეს დოკუმენტი ადასტურებს:

კულტურული მრავალფეროვნება ვლინდება არა მხოლოდ იმ სხვადასხვა საშვალებებით, რომლებითაც კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობა გამოიხატება,

ვითარდება და ვრცელდება კულტურული თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით, არამედ სხვადასხვა სახის მხატვრული შემოქმედებითაც, აგრეთვე კულტურული თვითგამოხატვის საქონლის წარმოების, გავრცელების, განაწილებისა და მოხმარების გზით, გამოყენებული საშუალებებისა და ტექნოლოგიების მიუხედავად.

2005 წლის იუნესკოს კონვენცია ასევე აღიარებს და საუბრობს იმ გაუგებრობის შესახებ, რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს კულტურასა და ადამიანის უფლებებს შორის:

კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულია ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორცაა საკუთარი აზრის გამოთქმის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თავისუფლება და ცალკეულ პირთა შესაძლებლობა, აირჩიონ კულტურული თვითგამოხატვის ფორმა. ვერავინ გამოიყენებს წინამდებარე კონვენციის დებულებებს იმისთვის, რომ დაირღვეს ან შეიზღუდოს ადამიანის ის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ან გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით.

ქალის, როგორც სრულფასოვანი ადამიანის, ღირსებისა და ღირებულების აღიარება არის ფუნდამენტური. კულტურული უფლებები ან რელიგიური ნორმები არ შეიძლება ითვალისწინებდეს ქალთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უარყოფას ან დაარღვევას. ამდენად, "კულტურული რელატივიზმი" არ არის ადამიანის უფლებების დარღვევის ან უარყოფის საბაბი. სწორედ ამიტომ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია კონკრეტულად ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეცვალონ მამაკაცებისა და ქალების ქცევის სოციალური და კულტურული ნიმუშები, რათა აღმოიფხვრას ცრურწმენები, ჩვეულებრივი და ყველა სხვა სახის პრაქტიკა, რომელიც კი ეფუძნება არასრულფასოვნების ან რომელიმე სქესის უპირატესობის იდეას ან სულაც შეხედულებებს მამაკაცებისა და ქალების სტერეოტიპული როლების შესახებ.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი მითითება No. 28 ადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან კავშირებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, კულტურული უფლებებსა და ქალთა საკითხებს შორის. კერძოდ, ის აშუქებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლს ტრადიციის, ისტორიისა და კულტურის საკითხებთან დაკავშირებით:

5. ეს არის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა და იმ უფლებებისა და მოვალეობების დაკვირვებითი ანონვა, რომელიც ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა განიხილოს კულტურულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალთა უფლებების თანასწორობის, კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების კონტექსტში. [ქალთა] უთანასწორობას ... ღრმად აქვს ფესვები გადგმული ტრადიციაში, ისტორიასა და კულტურაში, რელიგიური წარმოდგენებშიც კი... ზოგიერთ ქვეყანაში ქალების მეორეხარისხოვანი როლი მკაფიოდ ვლინდება სქესის პრენატალური შერჩევის დროს და მდებარეობითი სქესის ბავშვების დაბალი შობადობის მაჩვენებლის გათვალისწინებით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოახერხონ საზოგადოების დარწმუნება, რომ ქალთა უფლებების დარღვევის გამართლება არ ხდება ტრადიციული, ისტორიული, რელიგიური თუ კულტურული შეხედულებებით. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია ტრადიციის, ისტორიის, კულტურული გამოცდილებისა და რელიგიური შეხედულებების იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან მომავალში შეუქმნიან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმის დაცვას. მათ ასევე უნდა განაცხადონ, თუ რა საშუალებას იყენებენ ან როგორ ზომებს მიმართავენ შემდგომში მსგავსი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ფრიბორგის დეკლარაცია (2007 წ.)

ბოლო დროს კულტურის ახსნა-განმარტებით საქმიანობაში ქალთა აქტიური ჩართულობა დაადასტურა ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა კულტურული უფლებების შესახებ მიღებულ ფრიბორგის დეკლარაციაში.

ამიტომ, მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებმა აქტიური როლი შეასრულონ თავიანთი ტრადიციებისა და კულტურული შეხედულებების ინტერპრეტაციასა და გავრცელებაში. ასევე ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ აზრს თანაბარი ძალა აქვს ისტორიული, რელიგიური და ტრადიციული საკითხების გაგებისას.

კულტურა და თანასწორობა შეიძლება დაბალანსებული იყოს და არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. თანასწორობის სისტემაში ქალები იმ პროცესის შემადგენელი ნაწილი არიან, რომელიც განსაზღვრავს სოციალური უფლებების საზოგადოებისთვის მიწოდებას.

და მაინც რა როლი აკისრიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ამ კავშირების დამყარებაში? შემდეგი კვლევა გვთავაზობს ახალ და საინტერესო სტრატეგიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ კულტურა, როგორც რეფორმის განხორციელების შესაძლებლობა, და არა როგორც განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მეგზურობას გვინვენ ასეთი რთული საკითხების გააზრებისას, როგორც ეს კენიაში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ კომისიის შემდეგი მაგალითიდან ჩანს.

მაგალითი: კულტურის დანესებულებებთან თანამშრომლობა ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ადამიანების (ქალები, ქვრივები, ბავშვები, ობლები და სხვა) უფლებების, დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით

საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, კულტურული პრაქტიკა არის ადამიანის უფლებათა რეალიზაციის მთავარი დაბრკოლება. ადამიანის უფლებათა კენიის ეროვნული კომისიის ბოლოდროინდელი ჩატარებული სამუშაო ცხადყოფს, რომ, სინამდვილეში, ბევრ ტრადიციულ კულტურაში არსებობდა ისეთი სისტემები, რომლებიც იცავდნენ ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, მაგალითად, ქვრივებსა და ობლებს. წლების

განმავლობაში ეს სისტემები უგულვებელყოფილი იყო ან ისე ხდებოდა მათი დამუშავება, რომ ისინი განაპირობებდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევების დიდხანს არსებობას. კენიის კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, მაგრამ მასში მითითებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის გარანტია, რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე.

ადამიანის უფლებათა კენიის ეროვნული კომისია მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმ კულტურული სისტემების აღდგენა და პრაქტიკის ხელახლა დანერგვა და ხელშეწყობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებაში დაუცველი ფენის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების დასაცავად. საჭიროა, ახალი სიცოცხლე შევიძინოთ იმ ცნობილ ალტერნატიულ მეთოდებსა და კულტურული უსაფრთხოების მიმართ ტრადიციულ მიდგომას, რომლებიც ნაკლებად გამოიყენებოდა საზოგადოებაში. ისინი უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა დავების გადასაწყვეტად და ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

კულტურული კონტრექციის გამოყენება ადამიანის უფლებებისა და განვითარების საკითხების მიმართ სავალდებულოა: შიდა კანონმდებლობისა და ფორმალური ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული დაცვის საშუალებების მიუხედავად, საზოგადოების ბევრ დაუცველ წევრს არ შეუძლია თავიანთი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ ფუძემდებლური სამართლებრივი სისტემის დახმარებით.

ფორმალური სამართლებრივი სისტემა, საერთო ჯამში, მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ამ უფლებათა მოქმედებაში მოყვანის მიმართ საზოგადოების საზიანოდ. მაგალითად, მიწა არის საარსებო მინიმუმი ადამიანისთვის, ხოლო ქალ მინათმფლობელთა რიცხვი 5%-ზე დაბალია.

რატომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ტრადიციული სისტემების გამოყენებით?

კულტურის ინსტიტუტები ქმნის მმართველობის პირველ ხაზს კენიაში მცხოვრები მრავალი სოფლის თემის ცხოვრებაში. კენიაში ოჯახების უმეტესობა წეს-ჩვეულებების

შესაბამისად წყვეტს ისეთ იურიდიულ საკითხებს, როგორებიცაა, საკუთრების ფლობა ან ქონების მემკვიდრეობით მიღება. იმისათვის, რომ პიროვნებამ შეძლოს აზრი გამოთქვას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მას, პირველ რიგში, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ უნდა გააჩნდეს გარკვეული ცოდნა და წარმოდგენა.

ადამიანის უფლებათა დამცველებმა უნდა ესაუბრონ უფროს თაობას. მათ უნდა ითანამშრომლონ იმ კულტურის სისტემებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ადამიანის უფლებებსა და მათ განვითარებას. ვინაიდან კულტურის ინსტიტუტები რეალური და დღეს მოქმედი დანესებულებებია კენიის საზოგადოებაში, აუცილებელია მათი აღიარება, მათთან და ფორმალურ სისტემებთან მუშაობა.

ამ ყოველივემ არ უნდა შეამციროს ფორმალური სისტემების როლი. პირიქით, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ, როდესაც სამართლებრივი და ფორმალური სისტემები მნიშვნელოვანია, ისინი არ უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი უმრავლესობისთვის. აქედან გამომდინარე, მათთან ერთად მუშაობის დაუინებელი სურვილი მხოლოდ იმ ადამიანთა გარიყვას ითვალისწინებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ამ სისტემებით სარგებლობაზე. ჩვენ გვჯერა, რომ ადამიანის უფლებებისა და განვითარებისთვის მხოლოდ მრავალმხრივი მიდგომა თუ შეუწყობს ხელს დაუცველი ფენის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების რეალიზაციას.

ლუი ნიანზაში განხორციელებული პროექტიდან მიღებული გამოცდილება

კენიას ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიამ, პოლიტიკის ინიციატივამ ჯანმრთელობის შესახებ (ფიუჩერსული ჯგუფი) და ლუოს უხუცესთა საბჭომ (ლუო არის ერთ-ერთი თემი კენიაში) ერთმანეთთან თანამშრომლობით მონაწილეობა მიიღეს ქალთა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებების დაცვის შესახებ პროექტთან დაკავშირებულ "ინოვაციურ" საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება კულტურისა და ადამიანის უფლებების შესახებ დადგენილ სტატუს-კვოს.

პროექტი მიზნად ისახავს გამოიყენოს კულტურული ნორმები, რათა გააძლიეროს ქვრივებისა და ობლების მემკვიდრეობის უფლების დაცვა, როდესაც საქმე გვაქვს აივ / შიდსის პანდემიასთან.

ვინც იცნობს ლუოს კულტურასა და ტრადიციებს, იცის, რომ ამჟამად გავრცელებული პრაქტიკა ქვრივებისა და ობლების მემკვიდრეობის გარეშე დატოვების შესახებ, მათთვის მიწებისა და საკუთრების წართმევა, სულაც არ არის ლუოს კულტურის შემადგენელი ნაწილი. ტრადიციულად, მინა ეკუთვნოდა ცოლსა და შვილებს; მამაკაცებს არ ჰქონდათ უფლება სურვილი გამოეთქვათ მინის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც კულტურა და ტრადიცია მფარველობს სოციალურად დაუცველ ჯგუფებს და, შესაბამისად, განვითარებისა და წინსვლის მოსურნეა. ის ასევე ხელს უწყობს კულტურის დანესებულებებში დისკუსიის გამართვას უარყოფითი პრაქტიკის შესახებ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის უფლებებსა და მის განვითარებას.

მიღწევათა ჩამონათვალი:

- ნიანზის პროვინციის ქ. კისუმუში შეიქმნა ლუოს თემის ყველა წევრისთვის განკუთვნილი დოკუმენტაციის ცენტრი.
- დოკუმენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის ვინაობა დადგენილია, ხელშეკრულება კი - გაფორმებული
- დოკუმენტაციის სამუშაო ინსტრუმენტი გადაადგილების შემთხვევების დასადგენად შემუშავდა და ამ ინფორმაციის ჩანერა დაიწყო 2006 წლის ნოემბერში. 2007 წლის მარტის შუა რიცხვებში 76 ასეთი შემთხვევა სრულად იქნა დოკუმენტირებული, ხოლო დანარჩენი 21 სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებს გადაეცათ იურიდიული დახმარების მისაღებად. ამ სამუშაო ინსტრუმენტმა განსაზღვრა ქვრივების არსებობისთვის საჭირო სხვადასხვა მოთხოვნა, მათ შორის, სახლის სამშენებლო მასალები; ტრანსპორტი აუცილებელი სახლში დაბრუნებისა და საყოფაცხოვრებო მასალის გადასაზიდად; სასამართლო მომსახურების საფასური ქონების მართვის შესახებ დოკუმენტების, ქორწინების მოწმობების, სამართლებრივი წოდების გადაცემის, ობოლთა სკოლაში მიყვანის შესახებ დოკუმენტების შეგროვებისთვის და ა.შ.

- გადაადგილების ფონდის შესახებ სახელმძღვანელოები შემუშავდა 2007 წლის მარტის თვის შუა რიცხვებში. აღნიშნული სახელმძღვანელოები მოიცავდა შემდეგ ელემენტებს: პროექტის წინაპირობა, ფონდის დანიშნულება და ისინი, ვისაც შეეძლოთ მისგან რაიმე სარგებლის ნახვა, სხვადასხვა სახის დახმარება, რომელთა განევაც თავად ფონდს შეეძლო, დახმარების მოცულობა და მისი შინაარსი, და სხვ...
- შემუშავდა წიგნაკი ლუოს კულტურისა და ქალთა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებების შესახებ
- განაწილდა ქონება

გ. კავშირი კარგ მმართველობასთან

ის, რასაც ხშირად ხშირად კარგ მმართველობას ვუწოდებთ, ბევრ სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს: დაწყებული სიღარიბის დაძლევისგან დამთავრებული მართლმსაჯულების სფეროში შესაძლებლობების განვითარებით, ასევე ძირითადი ინფრასტრუქტურისა და ადამიანისთვის განუელი მომსახურების გაუმჯობესებით, ადგილობრივად მიღებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერით. კარგი მმართველობა ქოლგისებური კონცეფციის მქონეა. იგი ქმნის ბევრი პროექტისთვის საჭირო დოკუმენტების სტრუქტურას და ახორციელებს საერთაშორისო განვითარების სადამხმარებლო პროგრამებს.

რა აქვს ამ ყოველივეს საერთო ადამიანის უფლებებთან? ბევრი პროექტის, რომლებიც ჩატარდა "კარგი მმართველობის" ფარგლებში, საერთაშორისო პარტნიორები და დონორები არ მოიაზრებენ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, როგორც პოლიტიკის დღის წესრიგის წარმართვის საშუალებას. აღნიშნული ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

მაგრამ ქალებზე ნაკლებად შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს კარგი მმართველობის გადაწყვეტილებებმა და ეკონომიკურმა პოლიტიკამ, მაგალითად, როგორცაა სტრუქტურული ცვლილების პროგრამები, მომსახურებათა პრივატიზაცია,

რაც ამცირებს სავალდებულო სოციალური მომსახურებების რიცხვს და სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც უფრო მეტად წარმოშობს ქალების ისეთ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც მათ, როგორც მომვლელ ადამიანებს, უწევთ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს პრობლემას წარმოადგენს ქალებისთვის ანაზღაურებადი სამსახურის ძიებისას, რადგან მათ სახლის გარეთ მუშაობისთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩებათ.

მიუხედავად ამისა, კარგი მმართველობა განსაზღვრული უნდა იყოს ნაწილობრივ მაინც, ისე, რომ მათ შეძლონ დაარწმუნონ საზოგადოება, რომ სამართლებრივი ნორმები მიჩნეულია, როგორც ყოვლისმომცველი ნორმები. მათ სამართლებრივი სანქციის ძალა უნდა ჰქონდეთ. ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა მოითხოვონ, რომ კავშირი დამყარდეს ადამიანის უფლებებთან მმართველობის ყველა პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკური პროგრამების ჩათვლით. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად, მოყვანილია უგანდური მაგალითი:

მაგალითი: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მიერ უგანდის რესპუბლიკაში შემოთავაზებული უფლებებზე დაფუძნებული სიღარიბისადმი მიდგომა

სიღარიბე არის ეკონომიკური და სოციალური უფლებების პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალებზე. 2004 წელს უგანდის რესპუბლიკამ გამოიყენა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სიღარიბის აღმოფხვრელად, რაც ითვალისწინებდა, იმას, რომ ადამიანის უფლებები არის განვითარების საბოლოო მიზანი და ქმნიდა სოციალური დაგეგმარების სფეროში საჭირო უფლებების სისტემას. უგანდის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ დაამკვიდრა ეს მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავდა მმართველობის ჩამოყალიბებასა და სიღარიბის აღმოფხვრას, განიხილავდა რა მას ადამიანის უფლებათა ძირითადი საკითხის ჭრილში. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენდა როგორც განვითარების სამიზნეს, ისე კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხს.

არსებობს სულ რამდენიმე სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ კანონის მიხედვით ხორციელდება. როგორც წესი, მთავრობები იყენებენ "პოლიტიკის კომბინირებულ, სხვადასხვაგვარ მეთოდებს", რომლებიც მოიცავს არა მხოლოდ კანონებს, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და

წესებს, საჯარო განათლების პოლიტიკასა და პროგრამებს, იმისათვის, რომ მოხდეს მმართველობის დასახული მიზნის მიღწევა.

ასეთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პოლიტიკის ამ ფართო "კომბინირებულ" მეთოდს, რათა მოხდეს ნებისმიერი შინაარსის მქონე მნიშვნელოვანი ცვლილების სისრულეში მოყვანა და მოგვეცეს საშუალება ამ ყოველივეს მისაღწევად. აღნიშნული მოიცავს უფლებებზე-დაფუძნებულ მიდგომას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც, როგორც წესი, მიიჩნევა ისეთ სფეროდ, სადაც სუფთა სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. როგორც ზემოთ მოყვანილი უგანდური მაგალითი გვიჩვენებს, უფლებებზე-დაფუძნებული მიდგომის განვითარება მმართველობასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, მაგალითად, როგორც არის, სიღარიბის დაძლევა, შეიძლება ფართო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მეთოდი გახდეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისათვის.

2000 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჰუმანური განვითარების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშში, სახელწოდებით „ადამიანის უფლებები და ადამიანის განვითარება“ ერთმანეთს დაუკავშირდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და ჰუმანური განვითარება. 2005 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჰუმანური განვითარების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშში, სახელწოდებით „საერთაშორისო თანამშრომლობა გზაჯვარედინზე: დახმარება, ვაჭრობა და უსაფრთხოება უთანასწორო მსოფლიოში“ გაკეთდა მინიშნება, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირებზე ქვეყნის განვითარებასა და არსებულ უთანასწორობასა და ქალთა კეთილდღეობას შორის, მეორე მხრივ, დაწყებული პრენატალური (მშობიარობამდე არსებული) ზრუნვიდან დამთავრებული დედების ჯანმრთელობით, საოჯახო შემოსავლების, კვებისა და განათლების გათვალისწინებით. უთანასწორობის ეს მაჩვენებელი გახლავთ ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების მაჩვენებლებიც. ისინი ასევე წარმოადგენენ ძირითად საზომ ერთეულს ერების განვითარების რეიტინგში.

ათასწლეულის განვითარების მიზნები

მიზანი 1: უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა

მიზანი 2: საყოველთაო დანყებითი განათლების მიღება

მიზანი 3: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება

მიზანი 4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

მიზანი 5: დედების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

მიზანი 6: აივ/შიდსის, მალარიისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა

მიზანი 7: გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფა

მიზანი 8: გლობალური თანამშრომლობის დანერგვა განვითარებისთვის

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის ქალთა უფლებები არა მხოლოდ სამართლებრივი სტანდარტებია, არამედ მათ მთავარი როლი აკისრიათ კეთილდღეობის განსაზღვრისას. ეს მაჩვენებლები გვეხმარება გავიგოთ, თუ როდის აღწევნენ სახელმწიფოები თავიანთ დასახულ მიზანს და როდის - ვერა. უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ ეს საკითხი, შესაძლებლობა იმისა, რომ აღნიშნული დავაკავშიროთ კარგ მმართველობასთან უშუალოდ უკავშირდება სიღარიბის, განვითარების და დეცენტრალიზაციის ინიციატივებს (რომლებიც გადანყვეტილების მიღების პროცესს ადგილობრივ დონეზე უფრო აადვილებს). ათასწლეულის განვითარების მიზნები გახლავთ მნიშვნელოვანი საშუალება ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებსა და იმ ზომებსა და ღონისძიებებს შორის, რომელთა დახმარებითაც ვარკვევთ, თუ რამდენად ვუახლოვდებით თანასწორობისკენ მიმავალ გზას ჰუმანური განვითარებისა და კარგი მმართველობის მეშვეობით.

დ. ათასწლეულის განვითარების მიზნები

არსებობს გაეროს ათასწლეულის განვითარების რვა მიზანი, რომლებიც მერყეობს უკიდურესი სიღარიბის შემცირებას, აივ / შიდსის გავრცელების შეჩერებასა და საყოველთაო დანყებითი განათლების უზრუნველყოფას შორის და თითოეული მათგანის შესრულების თარიღი 2015 წელია. ისინი ქმნიან გეგმას, რომელიც შეთანხმებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და მსოფლიოს წამყვანი განვითარების ინსტიტუტების მიერ.

ათასწლეულის განვითარების მიზნებმა ფრთა შეასხა უპრეცედენტო ბრძოლას, იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა მსოფლიოში მოსახლეობის ღარიბი ფენის მოთხოვნები/საჭიროებები. მიზნები გახლავთ პირდაპირი შედეგი შემდეგი ვალდებულებებისა: ადამიანის უფლებები ზოგადად, დაუცველთა დაცვა, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან შესაბამისობა, და ძალისხმევის განწევა, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ქალთა მიმართ ძალადობა.

ათასწლეულის განვითარების რვავე მიზანი მნიშვნელოვანია ქალებისა და გოგონებისთვის. ათასწლეულის განვითარების მე-3 და მე-5 მიზანი, რა თქმა უნდა, პირდაპირი გზაა ქალთა პრობლემების მოსაგვარებლად.

თუმცა, კიდევ უფრო ზოგადად, ათასწლეულის განვითარების მიზნები უკავშირდება ქალების წინაშე არსებული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემას, ნაწილობრივ სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დარღვევის შემთხვევებს ხშირად აქვს არაპროპორციული გავლენა ქალებსა და გოგონებზე.

მაგალითად: ბიჭებთან შედარებით, გოგონები ნაკლებად ცდილობენ მიიღონ დანყებითი განათლება ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (მიზანი 2); ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას განსაკუთრებული გავლენა აქვს ჩვილ გოგონებზე, რომლებიც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მსხვერპლი არიან და უფრო ნაკლებად ნასაზრდოები, ვიდრე ბიჭები (მიზანი 4).

გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების რეალიზაცია, რომლის შესრულების თარიღია 2015 წელი, არის ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების წარმატებით განხორციელებისა არსებითი, ხელშესახები შედეგი.

განვითარების მიზნები უკავშირდება შემდეგი სახის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს:

საცხოვრებელსა და ტანსაცმელს, მაგალითად, როდესაც ქალებს:

- აეკრძალათ წვდომა საცხოვრებელზე, რადგან ისინი არიან დაქვრივებული, მარტოხელა დედები, რომლებსაც ჰყავთ შვილები, ან იღებენ სახელმწიფო

დახმარებას (შემწეობას), ან ისინი იძულებით გამოასახლეს საკუთარი სახლებიდან, მინებიდან და შედეგად აღმოჩნდნენ უსახლკაროები.

ჯანმრთელობა, როდესაც ქალებს:

- არ აქვთ წვდომა ძირითადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებებზე (სერვისებზე), როგორცაა სანიტარია, ვინაიდან მათ მოეთხოვებათ მომსახურებაში საფასურის გადახდა, ან იმიტომ, რომ მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი ადგილობრივ დონეზე (ლოკალურად).
- მშობიარობის დროს გარდაცვალება, რაც გამოიწვია ტექნოლოგიების არარსებობამ და დედებისთვის განუღებელი არასაკმარისი (შესაბამო) სამედიცინო მკურნალობამ.
- ექვემდებარებიან მავნე კულტურულ წესებსა და გამოცდილებას, რომელიც მავნე გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ მთლიანობასა და სიჯანსაღეზე.

განათლება, როდესაც გოგონებს:

- ეკრძალებათ ან არ აქვთ წვდომა დანყებითი (პირველადი) სკოლის განათლების მიღებაზე.
- ეკისრებათ სწავლის საფასურის გადახდა და უნიფორმების ტარება საჯარო სკოლებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაკლები განათლების მიღება ბიჭებთან შედარებით. მათ ხომ გოგონებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ.
- ნაკლებად სავარაუდოა იმ გოგონების სკოლაში სიარული, რომლებიც იზრდებიან ოჯახებში, სადაც ოჯახის ერთადერთი უფროსი ქალია. თუმცა მეტი შანსი აქვთ ისეთ გოგონებს, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ ოჯახებში, რომელთა თავკაცი მამაკაცია.
- არ შეუძლიათ სკოლამდე უსაფრთხოდ მგზავრობა

დასაქმება, როდესაც დისკრიმინაციული კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა ხელს უშლის ქალებს:

- სამუშაოს ძიებაში
- იმუშაონ იმგვარი პირობებით, რომლებიც უტოლდება მამაკაცების სამუშაო პირობებს
- დეკრეტული შვებულებიდან სამსახურში უკან დაბრუნების შემდეგ, სამშობიარო შემწეობაზე წვდომა და შესაძლებლობა იმისა, რომ ისარგებლონ ისეთი სამუშაო გრაფიკით, რომელიც მათ გაუადვილებს ბავშვის ძუძუთი კვებასა და ახალშობილის მოვლას.
- სავაჭრო კავშირების დამყარება

ათასწლეულის განვითარების თითოეული მიზანი უკავშირდება კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომ პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს უფლებები. ამით ათასწლეულის განვითარების მიზნები სთავაზობს "სამოძრაო რუკას" ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, რომლებიც ცდილობენ განვითარების მაჩვენებლების დახმარებით განსაზღვრონ პრიორიტეტები თავიანთ სახელმწიფოებში, რათა შეძლონ კონკრეტულ მიზნებზე დაკვირვება და თვალყურის დევნება.

შემდეგი მაგალითები ნათლად ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ათასწლეულის განვითარების მიზნების გამოყენება ქალთა უფლებების პრიორიტეტების დასადგენად.

მე-2, მე-3 და მე-5 მიზნებთან დაკავშირებული მაგალითები

მიზანი 2: საყოველთაო დანყებითი განათლების მიღება

• მიზანი 2ა : დარწმუნდით, რომ, 2015 წლისთვის ყველა ბავშვმა, ბიჭებმა და მათ მსგავსად გოგონებმა, შეძლონ მიიღონ დანყებითი სასკოლო განათლების სრული კურსი

• პროგრესის მაჩვენებლები

2.1 ჩარიცხვის სუფთა თანაფარდობა დანყებით განათლებაში (იუნესკო)

2.2 მოსწავლეთა პროპორცია რაოდენობა, დანყებული პირველი საფეხურიდან დამთავრებული მათ შორის, ვინც მიაღწევს მე-5 საფეხურს (იუნესკო)

2.3 წიგნიერების მაჩვენებელი 15-24 წლის ასაკის ადამიანებში (იუნესკო)

მიზანი 3: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება

• მიზანი 3ა: გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა დანყებითი და საშუალო განათლების დროს, სასურველია 2005 წლისთვის, და განათლების ყველა დონეზე არა უგვიანეს 2015 წლისა.

პროგრესის მაჩვენებლები

3.1 გოგონებსა და ბიჭებს შორის თანათარღობა დანყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების დროს (იუნესკო)

3.2 ცოდნის (წიგნიერების) დონე 15-24 წლის მამაკაცებსა და ქალებში (იუნესკო)

3.3 ქალთა წილი ანაზღაურებად დასაქმების ადგილებში, არასასოფლო-სამეურნეო სექტორში (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია)

3.4 ქალთა რაოდენობა ეროვნულ პარლამენტში (საპარლამენტო კავშირი)

მაგალითი: კამბოჯის სამეფოს ათასწლეულის განვითარების მიზანი ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით

კამბოჯის სამეფოს კანონმდებლობით ქალთა მიმართ ძალადობა აკრძალულია, თუმცა მაინც არის ფართოდ გავრცელებული და საზოგადოდ მიღებული. ამ ნაშრომში გახლავთ კვლევის შედეგები შიდა (ადგილობრივ) ძალადობის შესახებ, რომელიც ჩაატარა კამბოჯის ქალთა საქმეთა სამინისტრომ და გამოაქვეყნა 2006 წლის 3 მაისს. კვლევის თანახმად, კამბოჯის მოსახლეობის 30%-ზე მეტს მიაჩნია, რომ ფიზიკური ძალადობა არის მისაღები, თუ ქალი ეჭვის ქვეშ აყენებს მეუღლის პრივილეგიებს, ეჩხუბება მას ან არ გამოხატავს მის მიმართ სათანადო პატივისცემას. გამოკითხულთა მესამედ ნაწილს ისიც კი დასაშვებად მიაჩნია, რომ ზემოხსენებული შემთხვევების დროს გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობები, მუავის შესხმა ან თუნდაც მკვლელობა კანონიერი და სამართლებრივად ნებადართულია.

კამბოჯა არის პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია ათასწლეულის განვითარების მიზნები ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით.

მიზანი 5: დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

- მიზანი 5ა : დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება სამი მეოთხედით, 1990 და 2015 წლებში.

- პროგრესის მაჩვენებლები

- 5.1. დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (UNICEF-WHO)

- 5.2 რაოდენობა იმ ახალშობილებისა, რომელთა დაბადებაც გამოცდილი სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ მოხდა (UNICEF-WHO).

ათასწლეულის გამონვევის მიზნები და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ წარმოდგენილმა გლობალურმა ანგარიშებმა ადამიანის განვითარების შესახებ, თითოეულმა ერთობლივად ხელი შეუწყო კრიტერიუმებისა და სამიზნეების განვითარებასა და დანერგვას. მათ შორის, ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებსაც შეუძლიათ მათი გამოყენება მიზნების განსაზღვრისას და განვითარებისა და პროგრესის დასადგენად. ზოგიერთ მიზანს სურს გამოაშკარავოს ის უარყოფითი გამოცდილება, რომლებსაც ქალები იღებენ სოციალურ სტრუქტურებსა და დაწესებულებებში: პრიორიტეტული მიმართულებების სახით შემუშავდა უფრო კონკრეტული ხასიათის მიზნები, რომლებიც ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს დაეხმარება განსაზღვროს თავიანთი პრიორიტეტული მიმართულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნები გვემის სახითაა ჩამოყალიბებული, მაინც უნდა მოხდეს მათი ქვეყნის კონტექსტთან ადაპტაცია. აღნიშნული მნიშვნელოვანია ქალთა თანასწორობასთან მიმართებით. მაგალითად, არსებობს ქვეყნები, რომლებმაც გადალახეს მე-3 მიზნისა (გენდერული თანასწორობა და ქალთა ხელშეწყობა) და მე-5 მიზნის ზღვარი (დედების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება) და ახალი მიმართულებები შესძინეს გენდერული თანასწორობის მიზნებს, თუნდაც ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის სფეროში.

ე. გენდერული ნიშნით ძალადობა

გენდერული ნიშნით ძალადობა არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა. ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ აღწერილია, როგორც პანდემიის

პროპორციების პრობლემა. მთელი მსოფლიოს მაშტაბით სამი ქალიდან ერთს მაინც სცემენ, ან სხვაგვარად აყენებენ სექსუალურ შეურაცხყოფას, ან სიცოცხლის განმავლობაში არის ძალადობის (შურაცხყოფის) მსხვერპლი – იმ მოძალადის მიერ, რომელსაც, როგორც წესი, ქალი კარგად იცნობს. უნისეფის მონაცემების მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა არის:

"ალბათ, ყველაზე გავრცელებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფორმა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით ჩვენთვის ნაცნობია, ის სიცოცხლეს ანადგურებს, ანგრევს საზოგადოებებს და აფერხებს განვითარების პროცესს".

სტატისტიკა ასახავს ქალთა მიმართ ძალადობის სოციალური და ჯანმრთელობის შედეგების შემადრწუნებელ სურათს. 15-დან 44 წლამდე ასაკის ქალებისთვის ძალადობა არის სიკვდილისა და ინვალიდობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ 1994 წელს ამ ასაკობრივ ჯგუფში ქალების წინაშე მდგარი ათი შერჩეული რისკ ფაქტორიდან, გაუპატიურება და ოჯახური ძალადობა უფრო ხშირი შემთხვევებია, ვიდრე კიბო, ავტო ავარიები, ომი და მალარია. უფრო მეტიც, რამდენიმე კვლევამ აჩვენა მზარდი კავშირები ქალთა მიმართ ძალადობასა და აივ / შიდსით ინფიცირებას შორის. ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, უფრო დიდი შანსი აქვთ აივ ინფექციით დაავადდნენ: სამხრეთ აფრიკის 1,366 ქალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც ფიზიკურ შეურაცხყოფას არავინ აყენებდა, 48%-ით უფრო მეტი იყოს აივ-ინფიცირებით დაავადების შესაძლებლობა იმ ქალების კატეგორიისთვის, რომლებსაც ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათი მეორე ნახევრები.

ქალთა უსაფრთხოების უფლება დაინერგა ქალთა უფლებების სრული აღიარების გზით. იმდენად, რამდენადაც ქალთა მიმართ ძალადობა ხდება ოჯახებში, ქალთა დამცველი ჯგუფები ადამიანის უფლებების დაცვას ითხოვდნენ "კერძო" სფეროში, რათა ქალთა მიმართ გავრცელებული ძალადობის ყველა ფორმა შეესწავლათ. ქალთა მიმართ ძალადობის თემამ ახალი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა: ოჯახის პირადი საკითხიდან ან სამხედრო კონფლიქტების დამხმარე საშუალებიდან იგი გადაიქცა ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების ფუნდამენტურ

დარღვევად. სახელმწიფოები ვალდებული არიან, გადადგან ნაბიჯები, რათა გაუმკლავდნენ ამ პრობლემებს, განურჩევლად იმისა, ესა თუ ის დასმული საკითხი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის არის საყურადღებო თუ მთელი საზოგადოებისთვის.

უნისეფი მიმოიხილავს შემდეგ ძირითად სფეროებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებზე:

- ოჯახური ძალადობა და სექსუალური პარტნიორისგან ძალადობა
- სექსუალური ძალადობა
- მავნე ტრადიციული გამოცდილება
- ტრეფიკინგი ქალებსა და გოგონებში
- აივ / შიდსი და ძალადობა
- შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაული
- ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევა

მაგალითად, ოჯახში ძალადობა, გათხოვებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა და თავდასხმები, მუავის შესხმა და ძალადობის სხვა ფორმები, რომლებიც ქალთა ღირსების შემლახავი და თანასწორობის დამრღვევია. მკვლევართა და ადვოკატთა ბევრი უფლება გამოხატავდა ქალთა ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ მაგალითებს: გაუპატიურება, როგორც კონფლიქტის ზონაში ომის დროს ჩადენილი დანაშაული, მაგალითად, განსაკუთრებით ბოსნიის მთებში, რუანდასა და დარფურში.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია უშუალოდ არ ეხება ქალთა მიმართ ძალადობას, მაგრამ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ინტერპრეტაციისა და მონიტორინგის განხორციელებაზე ზოგადი სახის რეკომენდაციაში No. 19 (1992) განმარტავს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, "მიიღონ ყველა შესაბამისი ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად." ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების კომიტეტის ზოგადი მითითება

No. 16 (2005) გამოკვეთს კავშირს ქალთა მიმართ ძალადობასა და თანასწორობას შორის და ხაზგასმით მოიაზრებს ძალადობას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად.

გენდერული ნიშნით ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხელს უშლის თანასწორობის საფუძველზე უფლებებისა და თავისუფლების გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გამოყენებას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები მამაკაცებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად და უნდა იმოქმედონ გნსაკუთრებული მონდომებით, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, უშუამდგომლონ, დასაჯონ და შეცვალონ ძალადობრივი ქმედებები კერძო პირების მიმართ.“

ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები მოიცავს შემდეგს:

- ქალთა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, განსაკუთრებით ისეთ დაუცველ სიტუაციებში, როგორცაა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცენტრები და ლტოლვილთა ბანაკები.
- "საპატიო მკვლევლობების" გავრცელებული პრაქტიკა, ოჯახური ძალადობა და გათხოვებასთან დაკავშირებული ძალადობა

შემდეგი ორი მაგალითი ასახელებს შესასრულებელ სამუშაოებს, რომლებიც უნდა ჩაატაროს ადამიანის უფლებების ეროვნულმა ინსტიტუტებმა დამოუკიდებლად ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად თანამშრომლობით.

მაგალითი: "საპატიო მკვლევლობები" ერაყში

ქურთისტანის რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციამ სახელწოდებით ქალების საქმესთან დაკავშირებულმა კომიტეტმა ბევრი იშრომა, იმისათვის, რომ, შეცვლილიყო მკვლევლობასთან და მკვლევლობის სხვა ფორმებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობა. "საპატიო" აღარ მიიჩნევა "შემამსუბუქებელ" გარემოებად, ის უკვე ითვლება "დამამძიმებელ" გარემოებად. გასაკუთრებელი კიდევ ბევრია, იმისათვის, რომ საპოლიციო ძალებმა "საპატიო დანაშაული" სერიოზულ დანაშაულად მიიჩნიონ და, შესაბამისად, დაიწყონ გამოიძიება. ზოგიერთი ეს სამუშაო ეყრდნობა სოციალურ და

კულტურულ განათლებას, რომელთა ქონაც აუცილებელია ოჯახისა და საზოგადოების დონეზე.

მაგალითი: ოჯახური ძალადობა ნეპალში: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სტრატეგიული პრიორიტეტი”

ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის ნეპალის სტრატეგიული გეგმა 2004-2008 წლებში ემსახურება იმას, რომ :

„ხელი შეუწყოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი მექანიზმების გაუმჯობესებას, რათა გააკონტროლოს და შეწყვიტოს ა) ოჯახური და მზითვების მიღებასთან დაკავშირებული ძალადობა ქალთა მიმართ და ბ) ქალთა ტრეფიკინგი”

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ეს ფორმები არის სისხლის სამართლებრივი დანაშაულები, ტრადიციული შეხედულებები ხშირად მსგავს ქმედებებს მოიაზრებს „ოჯახის შიგნით გასარჩევ საკითხად“. ეს თავისთავად წინ წამოსწევს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების საკითხებს იმის გამო, რომ ურთიერთქმედებაში არსებული სოციალური და კულტურული ზომები თან სდევს ამ პრაქტიკას.

ბევრ ქვეყანაში ოჯახური და სექსუალური პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობა უკვე აღიარებულია ადამიანის უფლებების პრობლემად. რამდენიმე ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი განაგრძობს აქტიური პროგრამების გატარებას ქალებსა და გოგონებზე ძალადობის საკითხის მოსაგვარებლად.

ეს არის მნიშვნელოვანი, მაგრამ აუთვისებელი სფერო ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობისა. მაგალითად, ადამიანის უფლებების ეროვნულმა ინსტიტუტებმა შესაძლოა მხარი დაუჭირონ შესაბამისი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, როდესაც საერთოდ არ გვაქვს მსგავსი შემთხვევა ან ცვლილებები შეიტანონ მტკიცებულებათა სიმძიმეში, რათა მოხდეს საჩივრის შეტანა ოჯახური ძალადობის კუთხით. ამ წამოწყებების პრაქტიკაში განსახორციელებლად ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის ჩართვა მიზანმიმართულ დისკუსიებში ადგილობრივ

ხელმძღვანელობასთან და საზოგადოებრივ მუშაკებთან ერთად, რომლებიც მიზნად ისახავენ ძალადობრივი ქმედებების აღმოფხვრას. იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს ამ იდეების შედეგების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებში ასახვა, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უფრო საყურადღებო და პრიორიტეტული უნდა გახადონ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, ვიდრე ის საკითხი, რომელიც უბრალოდ პოლიციას გადაეცა განსახილველად.

ნაწილი მე-3

ძირითადი ცნებები

არსებობს რამდენიმე ძირითადი ცნება, რომლებიც აადვილებს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების გაგებას და იმ საკითხის გააზრებას, თუ როგორ ხდება მათი გამოყენება ქალთა თანასწორობის უფლებებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაინც საჭიროა უფრო დეტალურად შევეხოთ თითოეულს:

- დისკრიმინაცია
- თანასწორობა (ფორმალური და არსებითი)
- ურთიერთდამოკიდებულება და განუყოფლობა
- ურთიერთგადამკვეთი წერტილი
- არა-რეტროგრესიულობა და
- დროებითი სპეციალური ზომები (ღონისძიებები)

ა. ქალთა თანასწორობა და დისკრიმინაცია

ქალთა თანასწორობა დამოკიდებულია დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, მაგრამ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების სფეროში ყოველთვის არ არის ადვილი დავინახოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს დისკრიმინაციული "ქმედება", იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხი დამუშავდეს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 1-ლი მუხლი (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი) გვთავაზობს დისკრიმინაციის განმარტებას. სქესობრივი ან გენდერული დისკრიმინაცია არის ისეთი სახის დისკრიმინაცია, რომელიც ძირითადად მაშინ იჩენს თავს, როდესაც პიროვნება ქალია.

მუხლი 1, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

ცნება “დისკრიმინაცია ქალთა მიმართ” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას.

სექსუალური დისკრიმინაცია ან გენდერული დისკრიმინაცია

ტერმინი "სქესობრივი დისკრიმინაცია" გამოიყენება საერთაშორისო ინსტრუმენტებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი შენიშვნებსა და თეორიულ ლიტერატურაში ნაგარაუდებია, რომ ტერმინი "გენდერული დისკრიმინაცია" უკეთ ასახავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სოციალურ და კულტურულ ასპექტებს. მაგალითად, მონრეალის პრინციპებში ნათქვამია, რომ:

“ტერმინები "გენდერი" და "სქესი" უნდა იქნეს გაგებული, როგორც ქცევის ნორმები ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური და ბიოლოგიური კონსტრუქციების შესახებ, რომლებიც ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბრად მიზანშეწონილი. „გენდერის“ ან „სქესის“ არაპირდაპირი, ფარულად ნაგულისხმევი გაგება არის, რომ საზოგადოებაში კაცისა და ქალის ქცევის წესები იმგვარად განისაზღვრა, რომ პრივილეგია მიენიჭათ მამაკაცებს, ხოლო ქალები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. "გენდერული" და "სქესობრივი" დისკრიმინაცია შეიძლება გამოვიყენოთ სინონიმებად და როგორც "გენდერული უთანასწორობა", ისე "სქესობრივი უთანასწორობა" აღქმული იყოს ქალების დაჩაგრული მდგომარეობის გამოსახატავად.“

განურჩევლად იმისა, თუ რომელი ტერმინიც არ უნდა იყოს გამოყენებული - სქესობრივი თუ გენდერული დისკრიმინაცია- ჩვენ ამ სახელმძღვანელოში ვგულისხმობთ უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ დისკრიმინაციას, რომელიც არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის ბიოლოგიური განსხვავების გამო. ნაცვლად ამისა, ჩვენ, როგორც ამ საზოგადოების წევრებმა, სქესობრივი და გენდერული დისკრიმინაცია ისე უნდა გავიაზროთ, რომ შევძლოთ "ჩამოვაცალიბოთ" ჩვენი შეხედულებები მამაკაცებისა და ქალების ქცევასთან დაკავშირებით. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, "სქესობრივი" და "გენდერული" დისკრიმინაციის ტერმინები მონაცვლეობით გამოიყენება.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სქესობრივი ან გენდერული დისკრიმინაციის მაგალითებია:

- ოჯახური მდგომარეობა, მაგალითად, თუ ქალს განსხვავებულად ექცევიან ან უარყოფენ, რადგან იგი არის მეუღლე, საერთო ქორწინებაში მყოფი მეუღლე, გაუთხოვარი ქალი, განქორწინებული ან ქვრივი.
- ოჯახური მდგომარეობა ან ოჯახური პასუხისმგებლობა
- ორსულობა ან რეპროდუქციული უნარი
- სექსუალიზმი და აქვე აღსანიშნავია, რომ ქალთა სექსუალური შვეინროება და ქალთა მიმართ ძალადობა არის სქესობრივი დისკრიმინაციის ფორმები. ქალთა მიმართ ძალადობა კი ქვეყანათა უმრავლესობაში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

აქვს თუ არა განზრახვას მნიშვნელობა?

დისკრიმინაციის მიზანია შედეგებისა და ზემოქმედების ასახვა და არა განზრახვის ან სექსისტური შეხედულებების ქონა. მაგალითად, ფორმით ნეიტრალური კანონი გენდერის შესახებ, ასევე პოლიტიკა და პრაქტიკა მაინც ამყოფებენ ქალებს არახელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან არ ითვალისწინებენ მათ მოთხოვნილებებსა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რეალობის უარყოფით მხარეებს. ეს ნიშნავს, რომ ფორმით ნეიტრალურ გენდერულ კანონს შესაძლოა კვლავ ჰქონდეს დისკრიმინაციული შინაარსი თუ კანონის ზემოქმედება ზიანს აყენებს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს. კანონის ან პოლიტიკის შეფასება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გავლენას ახდენს ის ქალების რეალურ გარემო-პირობებზე. ძირითადი განზრახვა არ არის საჭირო, როგორც ელემენტი მტკიცებულებისა.

ქმედება ან უმოქმედობა

გამოკვეთილი ქმედებების ან იურიდიულად სანქცირებული დისკრიმინაციული ქმედებების მიღმა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მხოლოდ თავშეკავება ან უმოქმედობაც კი იწვევს დისკრიმინაციას.

დისკრიმინაციის გამომწვევი უმოქმედობის მაგალითია ხელისუფლების მიერ გადადგმული წარუმატებელი ნაბიჯი, შეიმუშაოს ახალი წესები ან კანონები დისკრიმინაციული შინაარსის გარემოებების გამოსასწორებლად. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება მოითხოვს, რომ სავალდებულოა, ქალს ჰქონდეს ოჯახური ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ვთქვათ, სერიოზული და თვალსაჩინო დაზიანებების (იარები, გატეხილი ძვლები) სახით, მანამ სანამ მოძალადეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაეკისრება. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში ან პოლიტიკისთვის შესაბამისი მიმართულების მიცემა, იგი ვერ შეძლებს უფლებების დარღვევის შემთხვევების დაფიქსირებას. ეს თავისთავად წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას.

ბ. თანასწორობა (ფორმალური და არსებითი)

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია ითხოვს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რადგან ეს აუცილებელია მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად. "არსებობს განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ცნებები თანასწორობის სფეროში. ერთს ეწოდება ფორმალური თანასწორობა, ხოლო მეორეს - არსებითი თანასწორობა.

ფორმალური თანასწორობა

ზოგჯერ მას უწოდებენ დე იურე თანასწორობას, ფორმალური თანასწორობა უბრალოდ ნიშნავს, რომ მამაკაცები და ქალები ერთმანეთის თანასწორნი არიან.

ფორმალური თანასწორობის მაგალითია, ნეიტრალური წესი, რომელიც საშუალებას აძლევს დამსაქმებელს აიყვანოს ისეთი ახალი თანამშრომელი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სხვა ქვეყანაში იმყოფება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფორმალური თანასწორობა ერთნაირად ეპრობა ყველა ადამიანს. მაგრამ, ეს აშკარა დისკრიმინაციაა ქალთა მიმართ და ამით ვერ ხდება იმისა აღიარება, რომ ქალებს სჭირდებათ დეკრეტული შვებულება და სამსახურში უკან დაბრუნების სამუშაო გარანტია.

ცხადია, ფორმალური თანასწორობა იშვიათად თუა საკმარისი თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად — ამისთვის უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო: არსებითი თანასწორობა.

ინტერპრეტაცია: ზოგადი მითითება No.16

.... მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ასეთი კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა ვერ მოაგვარებს ან თუნდაც ვერ აირიდებს თავიდან უთანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უთანასწორობას, რომელიც ქალებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს (2005).

არსებითი თანასწორობა

ზოგადი კომენტარის No. 16-ის მე-6 პუნქტი საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მე -3 მუხლის შესახებ აღიარებს მნიშვნელობას იმისას, რომ მოხდეს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ინტერპრეტაციისას არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფა.

პაქტში მითითებული უფლებებით უნდა სარგებლობდნენ მამაკაცები და ქალები თანასწორობის ანუ იმ კონცეფციის საფუძველზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. (პარ.6)

მუხლი 3. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებები ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

არსებით თანასწორობა დაკავშირებულია კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შედეგებთან. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ნეიტრალური პოზიცია არ არის საკმარისი.

არსებითად უფლებებით თანაბარი სარგებლობა ვერ მიიღწევა უბრალოდ კანონების მიღების და გამოქვეყნების პოლიტიკით, რომლებიც გენდერული თვალსაზრისით სრულიად არაფრის მომცემია. ფორმით ნეიტრალურმა კანონებმა გენდერის შესახებ და პოლიტიკამ შეიძლება სულაც გაახანგრძლივოს სქესობრივი ნიშნით უთანასწორობა, რადგან ისინი არ ითვალისწინებს ქალების რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს; მათ შეიძლება მხოლოდ სტატუს კვო შეინარჩუნონ. [ფორმალური თანასწორობა] თავისთავად არ უზრუნველყოფს [რეალურ] თანასწორობას. ... უფლებების დაცვის მიზნით მიღებული ზომების ადეკვატურობა ყოველთვის უნდა შეფასდეს ქალთა რეალური ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით, ხოლო ეს შეფასება უნდა გაკეთდეს აღნიშნულ პირობებთან დაკავშირებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის გავლენის აღწერით.

გ. ურთიერთდამოკიდებულება და განუყოფლობა

ყველა უფლება-სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული-ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელია. ურთიერთმიმართება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს შორის, ერთი მხრივ, და ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებს შორის, მეორეს მხრივ, გარდაუვალია. მაგალითად, შეკრების თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის უფლება. აქვს თუ არა ამ ორს რაიმე მნიშვნელობა განათლების უფლების გარეშე?

ადამიანის უფლებათა ურთიერთდამოკიდებულება დადასტურდა 1993 წელს ადამიანის უფლებების შესახებ გამართულ ვენის მსოფლიო კონფერენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია, უფლებადამცველებს არ შეუძლიათ იმოქმედონ ერთმანეთისგან განცალკევებულად გენდერული თანასწორობის დარღვევის მიზნით. თუმცა თვითონ უფლებებს შორის არსებობს გარდაუვალი კონფლიქტები. შეცდომა იქნება, თუ ამგვარ კონფლიქტებს აღვიქვამთ, როგორც მიზეზს, რომელიც ითხოვს კონკრეტული, შედეგების ამსახველ ერთიან ნაკრებს. პირიქით, თანასწორობა

შეფასებულია კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა შევამციროთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ.

დ. მინიმალური ძირითადი ვალდებულებები

საერთაშორისო სამართლის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები "თანდათანობით უნდა განხორციელდეს" "ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით." მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს მინიმალური ძირითადი ვალდებულებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს და სრულად განხორციელდეს.

მიუხედავად პროგრესული რეალიზაციის მოქნილობისა, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დონე მაინც მინიმალურია. თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამ მინიმალურ მოთხოვნებს - საკვებს, პირველად სამედიცინო დახმარებს, თავშესაფარსა და საცხოვრებელს და სავალდებულო განათლებას - მაშინ პროგრესული რეალიზაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საბაზი, იმისა, რომ იგი ვერ ასრულებს ამ მინიმალურ ძირითად ვალდებულებებს. შეუსრულებლობა (დარღვევა) ითვლება სახელმწიფოს მიერ მინიმალური ძირითადი ვალდებულებების შეუსრულებლობად. ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი და შესასრულებლად სავალდებულოა სახელმწიფოსთვის. პრაქტიკული შედეგი კი არის შემდეგნაირი, რომ თავის მართლების ტვირთი იმის შესახებ, თუ რატომ არ არის უფლებები უზრუნველყოფილი, დაცული და შესრულებული, ეკისრება სახელმწიფოს. მინიმალური ძირითადი ვალდებულებები არის ყველა უფლების უშუალო და აუცილებელი მიმართულება, რომელიც დაცულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიერ, მაგრამ არ წარმოადგენს ამ უფლებების მიღწევის საბოლოო ვარიანტს.

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს მინიმალური ძირითადი ვალდებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, რამდენად შეუძლია ქვეყანას

რესურსებზე წვდომა და ყველა სხვა ფაქტორისა და სირთულის მიუხედავად არსებობს ეს მინიმალური ძირითადი ვალდებულებები.

უამრავი მოხსენებები და ანგარიშები ადამიანის განვითარების შესახებ აღნიშნავენ, რომ სწორედ ქალები არიან პირველი, რომლებიც ზრუნავენ თავიანთ ოჯახებზე; ისინი, ზოგადად, მოსახლეობის დაუცველ ფენას წარმოადგენენ სიღარიბის მაჩვენებლის, განათლების ნაკლებობის, სიკვდილიანობის და ავადობის თვალსაზრისით, შესაბამისი სამედიცინო დახმარებისა და რეპროდუქციული ჯანდაცვის უკმარისობის (არარსებობის) გამო და იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილად ან იძულებით გადაადგილებულ პირად ყოფნის ალბათობა ქალების შემთხვევაში გაცილებით უფრო დიდია. მინიმალური ძირითადი ვალდებულებების შეუსრულებლობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებსა და ბავშვებზე. ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახელმწიფოს პროგრესს ამ ვალდებულებების შესრულების კუთხით და პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მათ მონიტორინგს ქალთა თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

ე. დისკრიმინაციის არსებობის მრავალნაირი საფუძველი:
ურთიერთგადამკვეთი წერტილი

ადამიანის უფლებათა საკითხი შეიძლება მოიცავდეს დისკრიმინაციის ნიშნით ურთიერთგადამკვეთ მრავალ საფუძველს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული გავლენა იმ ქალებზე, რომლებიც შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან.

ბევრი ქალი განიცდის დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეებს საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას ისეთი ფაქტორების გამო, როგორებიცაა: რასა, ენა, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, ინვალიდობის, ან სოციალურ-ეკონომიკური კლასი. ადგილობრივი მკვიდრი ქალები, მიგრანტი ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები, და არა-ადგილობრივი ქალები, ლტოლვილი ქალები განიცდიან დისკრიმინაციას მათი სქესობრივი და რასობრივი კუთვნილების ან მათი სქესობრივი და

მოქალაქეობრივი სტატუსის გამო. ქალები შეიძლება ასევე აღმოჩნდნენ კონკრეტული დისკრიმინაციის ფორმების პირისპირ მათი ასაკის ან პროფესიის გამო; ოჯახური მდგომარეობის გამოც, როგორც დისკრიმინაციასაც განიცდიან მარტოხელა დედები ან ქვრივები; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, როგორც აივ / შიდსით დაავადებული ადამიანები განიცდიან; სექსუალური დისკრიმინაცია, ვთქვათ, ლესბოსელობა; ან იმიტომ, რომ ისინი ჩართული არიან პროსტიტუციით არიან დაკავებული. ურთიერთგანპირობებულმა დისკრიმინაციამ შეიძლება განსაზღვროს ის ფორმა ან ბუნება, რომელსაც დისკრიმინაცია ატარებს, დისკრიმინაციის ვარემოებები, და შესაბამისი საშუალებების ხელმისაწვდომობა.

ამიტომაც არის, რომ მონრეალის პრინციპები რეკომენდაციას იძლევიან:

იმისათვის, ყველა ქალმა ისარგებლოს იმ უპირატესობით, რაც მათ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს გააჩნია, კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებაა საჭიროა, რადგან დისკრიმინაციის ურთიერთგანპირობებულობის გამო ქალები სხვაგვარად სარგებლობენ უფლებებით.

სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის ერთად კომბინაციას შეუძლია, გამოიწვიოს რაღაც სრულიად უნიკალური და განსხვავებული ფორმა დისკრიმინაციისა, რომელიც განსხვავდება ნებისმიერი ერთი ცალკეული ფორმის დისკრიმინაციისგან. "ურთიერთგანპირობებული მიდგომა" არის ის, რაც ითვალისწინებს ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს, ამასთან ითვალისწინებს რა ინდივიდუალური უნიკალური გამოცდილების აღიარებას. ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა ურთიერთქმედების საფუძველს, რომელიც ჩართული უნდა იყოს აღიარების საკითხის მოგვარებაში.

მაგალითად, ქალებმა შეიძლება გამოსცადონ არა მხოლოდ სქესობრივი ნიშნით განპირობებული დისკრიმინაცია, არამედ გამოსცადონ შესაძლოა მრავალი სხვა სახის დისკრიმინაციის შედეგები, რომელიც დაკავშირებულია რასასთან, ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, ინვალიდობასთან, ასაკთან, კლასთან და ა.შ.

რასობრივი უმცირესობა ან რასობრივი დისკრიმინაციის ქვეშ მყოფი ქალები განიცდიან დისკრიმინაციას სრულიად განსხვავებული კუთხით, ვიდრე რასობრივ

უმცირესობაში შემავალი მამაკაცები ან თუნდაც ქალები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გენდერული ნიშნით განირჩევიან მამაკაცებისგან. ეს იმიტომ, რომ ჯგუფები ხშირად განიცდიან რასობრივი და გენდერული კომბინაციის საფუძველზე არსებულ და მათთვის დამახასიათებელი სტერეოტიპების ან ბარიერების გავლენას.

- ურთიერთგანმავირობებელი მიდგომა შეიძლება აღიარებდეს რასობრივ, ეთნიკურ, გენდერულ ან სხვა საფუძველზე არსებულ კომბინირებულ ზემოქმედებას.
- პირმა, რომელიც ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს მიეკუთვნება და ამავდროულად რელიგიურ უმცირესობაშიც შედის, შეიძლება გამოსცადოს დისკრიმინაციის მრავალი ფორმა
- ქალები სავარაუდოდ უფრო მეტად განიცდიან სექსუალურ შევიწროვებას, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაუცველები არიან ისეთი სოციალური და ეკონომიკური მიზეზების გამო, როგორცაა, იყო ლტოლვილი ან ინვალიდი.
- მაგალითი: ურთიერთგადამკვეთი წერტილი: ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების განხილვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საჩივრებთან ერთად
- ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა მიიღო საჩივარი ახალგაზრდა შავი ქალისგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამსახურში მისი მენეჯერის მხრიდან განიცდიდა სქესობრივ შევიწროვებას.
- ძალადობის გამუდმებული და საზიანო გავლენა განპირობებული იყო მენეჯერის სტერეოტიპული წარმოდგენით, რომ შავკანიანი ქალები სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი, უფრო დაუცველები, სქესობრივად უფრო მარტივად ხელმისაწვდომები არიან. დაზარალებულის ახალგაზრდულმა ასაკმა უფრო გააძლიერა ამ სტერეოტიპების ზემოქმედება მსხვერპლზე.
- უფლებამოსილმა პირმა, რომელიც იძიებდა ამ საქმეს, გააანალიზა არა მხოლოდ აშკარა სქესობრივი ნიშნით არსებული დისკრიმინაცია, არამედ გამოიძია რასისტული სტერეოტიპების გამო არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევები, რომელთა წინაშეც დგებოდნენ ქალები

სამსახურებში კანის ფერის განსხვავებულობის გამო. დაზარალებულის ახალგაზრდობის გამო გამოძიებას დაემატა მესამე ელემენტი, კერძოდ კი ასაკობრივი ნიშანი.

- ამ მიდგომის ურთიერთგანპირობებულობის გამოყენებით და სამივე საფუძველზე დაყრდნობით (ასაკი, სქესი და რასა ან ფერი), პრობლემის გადაწყვეტის გზის პოვნა უფრო მარტივია, ვიდრე იმ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი კუთხით რომ ყოფილიყო ეს საქმე გამოძიებული. ადამიანის უფლებათა დამცველმა კონკრეტულად აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ამ ფორმას განსაკუთრებულად საზიანო შედეგები მოაქვს.
- - კანადის ადამიანის უფლებათა საქმეზე დაყრდნობით.

ვ. დროებითი სპეციალური ზომები

ვინაიდან დამტკიცებულია, თუ რამდენად რთულია ქალებისთვის კონკრეტული მიზნების მიღწევა ბევრ რეგიონში, შემუშავებულია დროებითი განსაკუთრებული ზომები თანასწორობის უზრუნველსაყოფად ან მათი მიღწევის დასაჩქარებლად.

დროებითი განსაკუთრებული ზომებისთვის სამართლებრივი დახმარება შევიძლიათ იხილოთ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლში:

• (1) მონაწილე სახელმწიფოების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დაჩქარება, არ ითვლება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კონვენციით, დისკრიმინაციულად, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები.

• (2) მონაწილე სახელმწიფოების მიერ სპეციალური ზომების მიღებას, რომელთა მიზანია დედობის დაცვა, მათ შორის იმ ზომების მიღება, რომლებსაც ეს კონვენცია შეიცავს, არ ითვლება დისკრიმინაციულად.

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტები უნდა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც იყენებენ დროებით განსაკუთრებულ ზომებს დადებითი ან კომპენსაციური დისკრიმინაციის, პრეფერენციული რეჟიმის ან კვოტა-სისტემის სახით, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ქალების ინტეგრაციას განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკისა და დასაქმების სფეროში.

დედობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ზომები აღნიშნულია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლში და თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე ისინი შეიძლება იყვნენ პერმანენტული. მაგალითად, ზომების მიღება დედებისთვის განკუთვნილი შეღავათებით სარგებლობისთვის, ან დეკრეტის დროს ქალებისთვის სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად წარმოადგენს პერმანენტულ განსაკუთრებულ ზომას და არ არის დისკრიმინაციული ხასიათის, ვინაიდან აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობენ ქალების არსებითი თანასწორობის მიღწევას.

მეორე მხრივ, დროებითი განსაკუთრებული ზომები წარმოადგენს იმ აუცილებელი სტრატეგიის ნაწილს, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად არის საჭირო, რათა მათ ისარგებლონ ადამიანთა უფლებებითა და ფუნდამენტალური თავისუფლებებით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია #25 აღნიშნავს, რომ შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი განსაკუთრებული პროგრამა წარსულში ქალების დისკრიმინაციის ეფექტის შესამცირებლად. აგრეთვე არსებობს ვალდებულება ქალების პოზიციის გაუმჯობესებისთვის, არსებითი თანასწორობის მიმართულებით მუშაობის მხრივ, წარსულში ნებისმიერი დისკრიმინაციის მტკიცებულებისდა მიუხედავად.

ეს ზომები ასევე ემსახურება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ინიციატივებს, მაგალითად იმ ქალების სამუშაოზე აყვანა, რომლებსაც ბრალად ედებათ მამაკაცების დისკრიმინაცია. ამავდროულად, ყველა ინიციატივა არ კვალიფიცირდება, როგორც დროებითი განსაკუთრებული ზომა. შემდეგი ნაწყვეტი ზოგადი რეკომენდაცია #25-ისგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

19. წევრმა ქვეყნებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ მე-4 მუხლის I პარაგრაფით გათვალისწინებული დროებითი განსაკუთრებული ზომები და სხვა ზოგადი სოციალური პოლიტიკა, მიღებული ქალებისა და გოგონების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველა ზომა, რომელიც პოტენციურად სასარგებლო არის ან იქნება ქალებისთვის, არ არის დროებით მიღებული განსაკუთრებული ზომა. საერთო პირობების უზრუნველყოფა ქალებისა და გოგონებისთვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გარანტიის მიზნით, მათთვის ღირსეული და დისკრიმინაციის გარეშე ცხოვრების შექმნის მიზნით, არ შეიძლება ინოვაციურად დროებით განსაკუთრებულ ზომებად.

20. მე-4 მუხლის 1-ელ პარაგრაფში ნათლად არის აღნიშნული ასეთი განსაკუთრებული ზომების „დროებითი“ ხასიათი. მაშასადამე, ასეთი ზომები არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც მუდმივად საჭირო, თუმცა ფაქტობრივად ამ „დროებითაც“ შეიძლება გამოიწვიოს ზომების გამოყენება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. დროებითი განსაკუთრებული ზომების ხანგრძლივობა განსაზღვრული უნდა იყოს მისი ფუნქციური შედეგით კონკრეტული პრობლემისადმი რეაგირების მხრივ, და არა წინასწარ განსაზღვრული დროის გასვლის მხრივ. დროებითი განსაკუთრებული ზომების მიღება უნდა შეწყდეს, როდესაც მიიღწევა სასურველი და მდგრადი შედეგი.

თავის მოხსენებაში ადამიანთა უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლია მიმართოს სათანადო, დროებით განსაკუთრებულ ზომებს, როგორც წევრი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობის მტკიცებულებას, ან მათ შეუძლიათ მისცენ რეკომენდაცია ასეთი ზომების შექმნის შესახებ. გარდა ამისა, ადამიანთა უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ მისცენ რეკომენდაცია ასეთი ზომების შექმნის თაობაზე ინდივიდუალური ჩივილების საფუძველზე.

გემოთხსენებული ზოგადი რეკომენდაცია #25 უშუალოდ მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობა ასეთი განსაკუთრებული ზომების შექმნასთან დაკავშირებით შეიძლება დაეკისროს მთავრობას - ეს მოიცავს არა მარტო მთავრობის აღმასრულებელ სფეროს, მაგალითად, ქალები სამინისტროებში, ქალები სამინისტროებთან არსებულ დეპარტამენტებში ან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, არამედ დამოუკიდებელ

სამთავრობო ორგანოებსაც, ადამიანის უფლებათა დამცველ ან სამართალდამცავ ორგანოებს (სასამართლოები, ტრიბუნალები). კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ზოგადად ქალების ან ქალთა გარკვეული ჯგუფების ჩართულობა აღნიშნული პროგრამების დამუშავებაში, დანერგვასა და შეფასებაში. განსაკუთრებით რეკომენდირებულია თანამშრომლობა და კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ ქალების სხვადასხვა ჯგუფებს.

მაგალითი: რეტროგრესიული ზომები ქალების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში:

სტრუქტურული რეგულირების პროგრამების დაცვის მიზნით სახელმწიფო მკვეთრად ამცირებს სოციალური ხარჯებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს. შედეგად, ჯანდაცვის სისტემა ხდება უფრო სუსტი, რაც იწვევს სოფლებში საავადმყოფოების დახურვას. ეს ზომები, რომლებიც თავიანთი ხასიათისდა მიხედვით რეტროგრესიულია, განკუთვნილია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, ორსული ქალებისთვის და შიდსით/აივ ინფექციით დაავადებული ქალებისთვის.

საშუალო განათლების, რომელიც მანამდე უფასო იყო, მიღებისთვის გადასახდელის დაწესება წარმოადგენს რეტროგრესიულ ზომებს. როდესაც რესურსები შემზღვეულია, ოჯახები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ბიჭების გაგზავნას სკოლაში, ხოლო გოგონებს სახლში ტოვებენ.

8. არა-რეტროგრადიულობის პრინციპი

საერთაშორისო კანონი აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, პროგრესულად განახორციელონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. მაშასადამე, სახელმწიფოებმა არ უნდა დანერგონ „რეტროგრესიული ზომები“, რომლებიც „უშუალოდ თუ ირიბად იწვევენ იმ უფლებების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში“.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის შესაბამისად, ნებისმიერი „რეტროგრესიული ზომა“, რომელიც განზრახ მიღებულია წევრი სახელმწიფოს მიერ, შეიძლება წარმოადგენდეს საერთაშორისო ხელშეკრულების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მე-2 მუხლის დარღვევას.

თუ წევრი სახელმწიფო მიიღებს რეტროგრესიულ ზომას, იგი არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს და მიღებული უნდა იყოს მხოლოდ „ყველა ალტერნატივის ზედმიწევნით შესწავლის“ შემდეგ და შემდგომში „გამართლებული იმ უფლებების ერთობლიობის გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულებაში, მაქსიმალური ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენების კონტექსტში.“

რეტროგრესიული ზომები ხშირად მოდის მომსახურების პრივატიზაციის ფორმით, როგორცაა წყალი და განათლება. სოციალური ხარჯების შემცირება, როგორცაა სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვის სფეროში მომსახურება, ბავშვებზე გასაცემი დახმარება, შეიძლება წარმოადგენდეს რეტროგრესიულ ზომას, ვინაიდან ისინი ყველაზე ხშირად მიიღება განზრახ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, დავალიანების გადახდის და ამასთან დაკავშირებული ფინანსური მიზნებისთვის. რა თქმა უნდა, აღნიშნული ზომები აძვირებენ ამ მომსახურების საფასურს და ამცირებენ მათ ხელმისაწვდომობას ქალებისთვის და გოგონებისთვის. ქალებს არა მხოლოდ ხშირად ართმევენ ამ მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას, არამედ ხშირად ამ მომსახურების განწევას მათ აკისრებენ - სრულიად უფასოდ. ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა სერიოზულად უნდა შეხედონ რეტროგრესიულ ზომებს, როგორც გამოძიების დაწყების საფუძველს და გაუწიონ მონიტორინგი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დარღვევას.

ნაწილი 4.

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების როლი

საერთაშორისო ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს გააჩნიათ სამი ძირითადი ვალდებულება, კერძოდ, ადამიანთა უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების ვალდებულება. ამ ვალდებულებების ეროვნულ დონეზე რეალიზების მიზნით სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, გადადგან ყველა სათანადო ნაბიჯი, საკანონმდებლოს ჩათვლით, უფლებების ეროვნულ დონეზე რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების დაფუძნება მნიშვნელოვანია ამ მიზნის მისაღწევად, ვინაიდან ისინი აკავშირებენ ადამიანთა საერთაშორისო უფლებების ჩარჩოს შიდა ან ეროვნულ სფეროსთან.

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტები დაფუძნებული უნდა იყოს იმ ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რომლებსაც პარიზის პრინციპებს უწოდებენ. ეს პრინციპები აკავშირებენ ადამიანთა უფლებების დაცვას ქვეყნის შიდა საერთაშორისო ჩარჩოსთან და მოითხოვენ, რომ ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს ჰქონდეთ რაც შეიძლება ფართო მანდატი ადამიანთა უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში. თუმცა, ეს პრინციპები არ ამბობენ ბევრს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების (ან უფლებების ნებისმიერი გარკვეული ნაწილის) დაცვის თაობაზე. ქალთა თანასწორობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა, რომელიც დგას ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების წინაშე, არის ის, თუ როგორ შეუწყონ ხელი ქალების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

პარიზის უფლებების მიხედვით ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები ასევე უნდა:

- დაიცვას ადამიანის უფლებები ჩივილების მიღებით, გამოკვლევით და გადამწყვეტილებით, კონფლიქტებში შუამავლობით და საქმიანობის მონიტორინგით.
- ხელი შეუწყოს ადამიანთა უფლებებს, განათლების, გაჭირვებულთათვის დახმარების პროგრამის, მედიის, პუბლიკაციების, ტრენინგების და

შესაძლებლობის განმავითარებელი საქმიანობით, ისევე, როგორც მთავრობების დახმარებით და მათთვის რჩევების მიცემით.

ბევრ ქვეყნებში ადამიანთა უფლებების კომისიები, სახალხო დამცველები და სხვა სახელმწიფო დაცვის ორგანოები ათწლეულების მანძილზე მუშაობდნენ, ფუნქციონირებდნენ რა ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებზეც ზემოქმედება მოახდინა საერთაშორისო კანონმა. თუმცა უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების ეროვნულმა ინსტიტუტებმა მკვეთრად იმატა მას შემდეგ, რაც გაერომ მოუწოდა სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ამ ინსტიტუტებს „საძირკვლიდან“, რათა ადამიანთა საერთაშორისო უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები ეროვნულ რეალობად ექცა.

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა გამომდინარეობს უშუალოდ სახელმწიფოდან. ადამიანთა უფლებების ინსტიტუტი არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ნაწილს, თუმცა დამოუკიდებელია.

ზოგადი მითითება #10 - გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (1998 წ.)

“ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა ითამაშონ პოტენციურად გადამწყვეტი როლი ადამიანთა ყველა უფლებების ერთიანობისა და ურთიერთდამოკიდებულების ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში. სამწუხაროდ, ამ როლს ძალიან ხშირად ინსტიტუტებს არ უთმობენ, ან იგნორირებენ, ან ნაკლებად პრიორიტეტულს ხდიან. მაშასადამე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სრული ყურადღება მიექცეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს ამ ინსტიტუტების ყველა სათანადო საქმიანობაში”.

არ არსებობს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების რაიმე ერთიანი მოდელი, ხოლო შერჩეული ეროვნული მექანიზმები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. არსებობს სხვადასხვა ინსტიტუტები. მაგალითად, ადამიანთა დამცველის მოდელი გამოიყენება კონტინენტური ევროპის ქვეყნებში და დსთ-ის ქვეყნებში. აქაც, ინსტიტუტის უფლებამოსილების ფარგლები და სფერო ასახავს გარკვეულ სიტუაციებს და ადამიანთა საჭიროებებს, საკუთარ ეკონომიკურ შესაძლებლობას და პოლიტიკურ

მზადყოფნას. ზოგიერთ ინსტიტუტს გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ სახელმწიფო სექტორზე, ვინაიდან კერძო სექტორი ძალიან სუსტია.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა დააყენა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები წინა ხაზზე ადამიანის საერთაშორისო უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად. როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და ადამიანის უნივერსალური უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მანდატი, ადამიანის უფლებების ეროვნულმა ინსტიტუტებმა ასევე ხელი უნდა შეუწყოს და დაიცვას ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია #6 სპეციფიკურად უწყობს ხელს ეფექტური ეროვნული ინსტიტუტების დაფუძნებას და/ან გაძლიერებას, რომლებიც ეხმარებიან ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და ეფექტურად ახორციელებენ სტრატეგიებს და ზომებს დისკრიმინაციის შემცირებისთვის.

აგრეთვე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ვენის 1993 წლის დეკლარაციამ და პეკინის 1995 წლის დეკლარაციამ, აგრეთვე “პლატფორმამ მოქმედებისთვის” აღიარა ქალებისა და გოგონების უფლებები ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებად. მაშასადამე, მათი დაცვა დამოკიდებულია ადამიანის უფლებების დაცვის ურთიერთ-დაკავშირებულ და ურთიერთ-დამოკიდებულ ხასიათზე. ყველა უფლება, მოცემული ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებში - ყველა მათგანი - გაგებული უნდა იყოს, როგორც სრულად მოქმედი ქალების მიმართაც. თუმცა, ამავდროულად, ქალების უფლებები და კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები თანაბრად არის დამოკიდებული ქალების გამოცდილებისა და სხვადასხვაობის სპეციფიურობაზე, აგრეთვე ადამიანის უფლებების შესაძლებლობაზე, როგორც სისტემაზე იმ დარღვევების იდენტიფიცირებისა და მიმართვისთვის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალებზე ექსკლუზიურად ან უპირველესად. 1995 წელს გაერომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები ძირითადად დაკავებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, მათ შეიძლება მიეცეთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხელშეწყობის შესაძლებლობაც.

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების როლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვაში აღნიშნულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტში (1998 წლის დეკემბერი), რომელიც აღნიშნავს, რომ “ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა ითამაშონ პოტენციურად გადამწყვეტი როლი ადამიანთა ყველა უფლების ერთიანობისა და ურთიერთ-დამოკიდებულების ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში” და “მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ “არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სრული ყურადღება მიექცეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს ამ ინსტიტუტების ყველა სათანადო საქმიანობაში”.

კომიტეტი აგრეთვე მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს ზოგადი მითითება #10-ის მე-4 პარაგრაფზე, რომ აღნიშნონ ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტების მანდატისა და სათანადო საქმიანობის დეტალები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. შესაბამისად, პერიოდული მოხსენებების მომზადებასა და წარმოდგენისას. ზოგად მითითებაში #10 აგრეთვე აღნიშნულია იმ საქმიანობის სახეები, რომელთა განხორციელებაც ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტებს შეუძლიათ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისთვის.

- საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების ხელშეწყობა, რომლებიც დამუშავებულია ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავებისთვის როგორც ზოგადად სახელმწიფო, აგრეთვე გარკვეულ ჯგუფებს შორის, როგორცაა საჯარო მომსახურეობა, სასამართლო ორგანოები, კერძო სექტორი და ლეიბორისტული მოძრაობა.
- არსებული კანონების, ადმინისტრაციული აქტების, კანონპროექტების და სხვა წინადადებების დეტალურად შესწავლა, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი შეესაბამებიან საერთაშორისო ხელშეკრულების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მოთხოვნებს.
- ტექნიკური რჩევის მიცემა ან კვლევების ჩატარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით.

- ეროვნული ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების პროგრესიული რეალიზაციის გასაზომად.
- კვლევებისა და გამოკვლევების ჩატარება გარკვეული ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების რეალიზაციის ფარგლების გასარკვევად, ეროვნულ დონეზე, ან სპეციფიურ დაუცველ საზოგადოებებთან დაკავშირებით.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სპეციფიურ უფლებებთან შესაბამისობის მონიტორინგი და ანგარიშების წარმოდგენა სახელმწიფო ორგანოებისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. გაეროს თანამდებობის პირის ცოტა ხნის წინანდელ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ:

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი უპირატესობას ანიჭებს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების დაფუძნებასა და გაძლიერებას პარიზის პრინციპების შესაბამისად, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის ძლიერი და ეფექტური ეროვნული სისტემების ცენტრალურ ელემენტს, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძველს. ოფისი აძლევს ინდივიდუალურ რჩევას ქვეყნების მზარდ რიცხვს სათანადო კონსტიტუციურ ან საკანონმდებლო ჩარჩოების შესახებ, რომლებიც ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებას და ასეთი ინსტიტუტების ბუნებას, ფუნქციებს, ძალაუფლებას და პასუხისმგებლობას.

ნაწილი 5.

არასახელმწიფო პირების სამართლებრივი ვალდებულებები

არასახელმწიფო პირები არიან ყველა ფიზიკური პირი ან ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ მთავრობის ნაწილს ან არ მოქმედებენ მთავრობის სახელით. ისინი მოიცავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორს (კომერციულ კომპანიებს, მრავალეროვნულ, ფინანსურ ინსტიტუტებს, კორპორაციებს), რელიგიურ დაწესებულებებს, კერძო ან კორპორაციულ მეიჯარეებს, ფიზიკურ პირებს და კერძო მომსახურეობის პროვაიდერებს. სახელმწიფოები ვალდებულები არიან დაიცვან

ქალები ადამიანის უფლებათა დარღვევისგან, რაც შეიძლება ჩადენილი იყოს არასახელმწიფო პირების მიერ.

არც ერთი ზემოთაღნიშნული პირი არ არის ადამიანის საერთაშორისო უფლებების დოკუმენტების ფორმალური ნაწილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არასახელმწიფო პირები განთავისუფლებული არიან ადამიანის საერთაშორისო უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებებისგან. რეალურად, ამ პირთაგან ბევრი არიან პარტნიორები ქალების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დაცვის სფეროში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (სხვა კონვენციებს შორის) ავალდებულებენ წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ის, რომ არასახელმწიფო პირებს არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდეთ უფლება დაკავდნენ საქმიანობით, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს. მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ:

წინამდებარე ხელშეკრულებაში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს, ჯგუფისა ან პირის ნაქმეზება დაკავდეს ნებისმიერი საქმიანობით ან განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია აქ აღიარებული ნებისმიერი უფლებების ან თავისუფლებების განადგურებისკენ, ან მათი უფრო მეტად შეზღუდვისკენ, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში [მომატებული აქცენტით].

როდესაც სახელმწიფომ იცის, ან უნდა იცოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ და არ მოქმედებს სათანადო ნაბიჯების გადადგომის კუთხით, მაშინ ამ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. აგრეთვე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნულია:

წვერი სახელმწიფოები კიცხავენ ქალების წინააღმდეგ არსებული ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას... და ამიტომ კისრულობენ: (ე) მიიღონ ყველა სათანადო ზომა,

რათა შეამცირონ ქალების მიმართ დისკრიმინაცია, გამოწვეული ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან სანარმოს მიერ.

ამ სახის “სათანადო ყურადღების” გამოჩენისთვის სახელმწიფოს შეიძლება დასჭირდეს “გადადგას ეფექტური ნაბიჯები დარღვევის პრევენციისთვის, მათი გამოკვლევისთვის მათ გამოჩენისთანავე, განახორციელოს საუარაუდო დამრღვევების დევნა და დაადგინოს სიმართლე სამართლიანი პროცესის დროს, აგრეთვე უზრუნველყოს დაზარალებულთა ადეკვატური რეპარაცია, რეაბილიტაციისა და ზარალის ანაზღაურების ჩათვლით. ეს არის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების კრიტიკული საქმიანობა, რომლის საკუთარი, მონიტორინგის საქმიანობები წარმოადგენს “სათანადო ყურადღების” ნაწილს საკუთარი სამუშაოს შესრულებისას.

მაგალითი: ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება

ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება წარმოადგენს ტრადიციულ პრაქტიკას, რომელსაც ბევრ ქვეყნებში ატარებენ. იგი ხშირად ტარდება არასანიტარულ, არა-უსაფრთხო პირობებში. ზოგადად მას ახორციელებენ საზოგადოების წევრები, მაგრამ არა სახელმწიფო ორგანოები, და ეს ქმედება დაცულია წესის-ჩვეულების, კულტურისა და ტრადიციის საფუძველზე.

ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება უხეშად არღვევს ქალების თანასწორუფლებიანობას ჯანმრთელობასთან, თიზიკურ სისრულესთან და სექსუალურობასთან დაკავშირებით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია წევრი სახელმწიფო, ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია და საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ვალდებულია გადადგას სათანადო ნაბიჯები დარღვევის პრევენციისა და ტრადიციული პრაქტიკების, რომლებიც ზიანს აყენებენ გოგონებს, შემცირების მიზნით. დასაწყისი შეიძლება იყოს კანონები ამ პრაქტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის საჭიროა უფრო დიდი საზოგადოების ჩართულობა. მაგალითად, ეს შეიძლება მოიცავდეს ფართო საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც

საზოგადოების ლიდერებისთვის, ტრადიციული მშობიარობის დამსწრეებისთვის, მეანებისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისთვის და ა.შ. ქალების სასქესო ორგანოების დამახინჯების მავნე ეფექტის შესახებ საგანმანათლებლო და ინფორმაციული კამპანიების ჩატარების დაფინანსებას. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს დახმარების განწევას - არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით -გაჭირვებული ქალებისთვის და მათ ინფორმირებას იმის შესახებ, რომ აქვთ უფლება არ მიმართონ ქალების სასქესო ორგანოების დამახინჯებას, ხოლო მათ მიერ არჩევანის გაკეთებისას დაიცვან ისინი მათივე საზოგადოების წინაშე.

ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების კომიტეტმა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციამ თავიდან საკუთარ ზოგად კომენტარებში ჩართეს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ვალდებულებების ეს გაფართოებული ცნება. მაგალითად, ხელშეკრულების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ზოგად მითითებაში #16 საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მე-3 მუხლის შესახებ, მე-19 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ:

წევრი სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მე-3 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ვალდებულება მოიცავს... კანონმდებლობის მიღებას დისკრიმინაციის შესამცირებლად და მესამე მხარეების მხრიდან ამ უფლებით სარგებლობაში უშუალოდ თუ ირიბად ჩარევის პრევენციისთვის.

მე-20 პარაგრაფში, ასევე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით კომიტეტი აღნიშნავს:

წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება აქვთ განახორციელონ არა-სახელმწიფო პირების ქმედებების მონიტორინგი და დაარეგულირონ ისინი, რათა უზრუნველყონ, რომ ისინი არ არღვევენ მამაკაცების და ქალების თანასწორ უფლებას ისარგებლონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით. ეს ვალდებულება, მაგალითად, ეხება ისეთ შემთხვევებს, სადაც საჯარო მომსახურება ნაწილობრივ ან სრულად არის პრივატიზებული. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის

აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ზოგადი რეკომენდაციების მთელი რიგი ეხება სახელმწიფო წევრების ვალდებულებას უზრუნველყონ არასახელმწიფო პირების მიერ ხელშეკრულების დებულებების დაცვა. მაგალითად, ზოგადი რეკომენდაცია #19 ქალების მიმართ ძალადობის შესახებ ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოებმა შესაძლოა პასუხი აგონ “კერძო ქმედებებზე”, თუ სახელმწიფო ვერ იმოქმედებს სათანადო ყურადღებით უფლებების დარღვევის პრევენციისთვის ან ძალადობის აქტის გამოკვლევისა და დასჯისთვის (პარაგრაფი 9), კომიტეტი აძლევს რეკომენდაციას წევრ სახელმწიფოებს მიიღონ სათანადო და ეფექტური ზომები გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა ფორმის დაძლევისთვის, “საჯარო ან კერძო აქტით” (პარ. 24 (ა)).

პარიზის პრინციპები ითვალისწინებს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების მანდატის უფრო ფართოდ გამოყენებას: კერძო და სახელმწიფო სექტორებში ადამიანის უფლებების ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო ასრულებს თავის ვალდებულებას ქალების იმ შეურაცხყოფისგან დაცვასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი აწყდებიან კერძო და სახელმწიფო სექტორში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმებაში, საყოფაცხოვრებო, საქონლისა და მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის დროს, ვინაიდან ამ სფეროებით ჩვეულებისამებრ დაკავებულია კერძო და არაკომერციული სექტორი. ზოგიერთი სახელმწიფო იცავს ადამიანის მხოლოდ იმ უფლებებს, რომელთა დარღვევაც შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო თანამდებობის პირების ქმედებებმა: თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა არსებობდეს განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ დარღვევაზე.

დასკვნა

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და ბევრი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი აყალიბებს უფლებათა ჯგუფს, რომელიც ხელს უწყობს ქალების მიერ თანასწორობის მიღწევას მათი მოღვაწეობის ყველა სფეროში. ისინი მოიცავენ ისეთ უფლებებს, როგორიცაა: ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე (საყოფაცხოვრებო, სათანადო საკვები, თავშესაფარი) უფლება, ჯანმრთელობის უფლება; განათლების უფლება და ა.შ.

უფლებათა ეს ჯგუფი წარმოადგენს რამდენიმე უნიკალურ გამოწვევას ქალებთან დაკავშირებით იმ განსაკუთრებული მეთოდის გამო, რითაც სრულდებოდა ქალთა უფლებები ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში. კერძოდ, კულტურული უფლებები ქმნიან გამოწვევას უფლებათა გარკვეული ასპექტებისთვის, მაგრამ აგრეთვე სთავაზობენ შესაძლებლობებს ლოკალურად მომუშავე ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტებისთვის.

უფრო დეტალურად რომ გამოვიკვლიოთ, ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები - კონკრეტულად, დისკრიმინაცია, ურთიერთგანპირობებულობა, თანასწორობა და სპეციალური ზომების მიღება - უფრო მარტივი ხდება გავიაზროთ არა მხოლოდ ამ ცნებების შინაარსი, არამედ მათი საშუალებით შეიძლება ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები უფრო ეფექტური იყოს ქალებისა და გოგონების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მოდული 3.

სამართლებრივი სისტემა

მე-3 მოდულის მომხილვა

მე-3 მოდულში განიხილება ქალთა თანასწორობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ძირითადი ელემენტები და, თუ რა როლი მიუძღვის ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს აღნიშნული უფლებების დაცვაში.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა მოიცავს არა მარტო საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლიდან გამომდინარე ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, არამედ ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პრინციპების განვითარების უზრუნველყოფას, უფრო ზოგადად კი ადამიანის საყოველთაო უფლებების მიღებასა და კანონის უზენაესობის დაცვა. 55-ე გვერდზე მოცემულ ცხრილში მოყვანილია ანალიზი, რომელიც ხაზს უსვამს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს და სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით.

- ნაწილი 1-ლი - ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი, განიხილავს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების მანდატის სამართლებრივ წყაროს, რომელიც მიმართულია ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დაცვაზე, უფლებამოსილების მინიჭებელი ნორმის, საკონსტიტუციო სამართლის და საერთაშორისო სამართლის შესწავლის გზით.
- ნაწილი მე -2 - ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა განიხილავს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმებს. იგი მოიცავს არასახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სტანდარტულ (ერების შორის შეთანხმებულ) საერთაშორისო ინსტრუმენტებს.
- ნაწილი მე-3 — ადამიანის უფლებათა მიღება ქვეყნის შიდა გამოყენებისთვის, იკვლევს,

თუ როგორ გარდაქმნიან სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს შიდასახელმწიფოებრივ კანონად.

- ნაწილი მე-4 - მსგავსი ინსტრუმენტები — აწესებენ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის საჭირო ძირითად პრინციპებსა და მითითებებს თანასწორობის და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში. აღნიშნულ ინსტრუმენტებს იურიდიული ძალა აქვთ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ისეთივე აუცილებელი ხასიათის, როგორც კანონია.

ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები - პრინციპები, მოვალეობები და შინაარსი

- ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებები
- ცხოვრების სათანადო დონე (საკვების ქონა და შიმშილის არარსებობა, წყლის, ტანისამოსის და საცხოვრებელი ადგილის ქონა, იძულებითი გამოსახლებისგან დაცვა და საცხოვრებელი პირობების მუდმივად გაუმჯობესება);
- ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონის მიღწევა, მათ შორის რეპროდუქციული და სექსობრივი ჯანმრთელობა და თავისუფლება;
- მემკვიდრეობის მიღება და მიწის და ქონების საკუთრებაში მიღება თანაბარუფლებრივი პრინციპით;
- სოციალური ჩართულობა სოციალური დაცვა, სოციალური დაზღვევა და სოციალური მომსახურება, რომელიც აგრეთვე მოიცავს მშობიარობის წინ, მშობიარობისას და მშობიარობის შემდეგ სპეციალური დახმარების განწევას;
- სწავლება და აღზრდა;
- სამსახურის არჩევის თავისუფლება, სამართლიანი და სათანადო შრომის პირობები, შესაფერისი ხელფასით, თანასწორ ანაზღაურების უფლებით, სექსუალური დამცირებისგან და სექსობრივი მიზნით დისკრიმინაციისგან დაცვა;
- პროტეკციური უფლებების შექმნა და განვრცობა;
- ეკონომიკური ხასიათის ექსპლუატაციისგან დაცვა;
- იძულებითი და გაუზრებელი ქორწინებისგან დაცვა;
- სუფთა და ჯანსაღი გარემო;

- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- პატენტია და ინტელექტუალური საკუთრების მოთხოვა და გამოყენება;
- ადამიანით ვაჭრობის და ექსპლუატაციის არარსებობა; ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართებაში ადამიანთა უფლებების აღიარება.

წყაროები / ტერმინთა განმარტება:

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და ეკონომიკური,

სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენცია;

მონრეალის კონვენციის პრინციპები, ნაწილი “ბ”

ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ცნება

განაპირობებს სახელმწიფო ვალდებულებების გაცნობიერებას

ვალდებულებები

პატივისცემით მოპყრობის ვალდებულება

დაცვის ვალდებულება

შესრულების ვალდებულება

ძირითადი წყაროები:

კესკუ-ს ზოგადი მითითება 3 (სახელმწიფო ვალდებულების შესახებ)

ლიმბურგის პრინციპები 1-15

მაასტრიხტის სახელმძღვანელო 6-9

მონრეალის პრინციპები, ნაწილი “ე”

ტერმინთა განმარტება:

ზომების მიღება, ნებისმიერი საშუალებით:

ლიმბურგის პრინციპები 16-20

პროგრესული რეალიზაცია:

ლიმბურგის პრინციპები 21-24,

მაასტრიხტის სახელმძღვანელო 8

რესურსების მაქსიმალურ დონით ხელმისაწვდომობა:

ლიმბურგის პრინციპები 25-28,

მაასტრიხტის სახელმძღვანელო 10

ხელშეწყობა და თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე,

ლიმბურგის პრინციპები 29-34

ზოგადი ცნებები

მინიმალური ძირითადი შემადგენლობა

დაცვა სამართალწარმოების გზით

უკანონო ქმედებების თავიდან აცილება

თანასწორობა

ძირითადი წყარო / ტერმინთა განმარტება:

- ეკ.სოც.კულტ. უფლ. კონვ. ზოგადი შენიშვნა 16
- კესკუ-ს მუხლი 3
- საერთ. პაქტი ეკ.სოც.კულტ. უფლებების შესახებ მუხლი 3
- ლიმბურგის პრინციპები 45
- ათასწლეულის განვითარების მიზანი 3
- მონრეალის პრინციპები

ნაწილი გ

დისკრიმინაციის არარსებობა

ძირითადი წყარო / ტერმინთა განმარტება:

- ეკ.სოც.კულტ. უფლ. კონვ. ზოგადი მითითება 16
- კესკუ 1
- ლიმბურგის პრინციპები 35-41
- მაასტრიხტის სახელმძღვანელო 12
- მონრეალის პრინციპები ნაწილი გ

ნაწილი 1-ლი

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი

ადამიანის უფლებათა ეროვნული ცენტრის მანდატი — რა დანიშნულება აქვთ მათ — იგი დამოკიდებულია სამ პირობაზე:

პირველი - ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონის სამართლებრივი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების შესრულების მიზნით წარმოიშობა კანონიერი უფლებამოსილება.

მეორე - საერთაშორისო დოკუმენტებს გააჩნიათ კანონიერი ძალა და წარმოადგენენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარგში საერთაშორისო დონეზე, ძირითად წყაროს. რამოდენიმე ქვეყანაში რატიფიცირებული კონვენციები ან შეთანხმებები ავტომატურად წარმოადგენენ სახელმწიფო კანონმდებლობის ნაწილს. სხვა ქვეყნებში კი, ქვეყანამ უნდა მიმართოს დამატებით ზომებს და მიიღოს კანონი. აღნიშნული წოდებულია, როგორც "გარდაქმნა" და განიხილება წინამდებარე სახელმძღვანელოს მოდულში. ისეთი დეკლარაციები, როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებით სამართლს.

მესამე წარმოადგენს დოკუმენტების ან კანონის განმარტების ხელშემწყობს პრინციპებს, ან ძირითად სტანდარტების განმსაზღვრელ პრინციპებს, რომლებსაც იღებს

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტი, ისევე როგორც პარიზის პრინციპების შემთხვევაში, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიულად სავალდებულო ძალა.

მაგალითი: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ფართო მანდატი: ადამიანის უფლებათა კომისიის 1994 წლის აქტი, სამხრეთ აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისია

“ვინაიდან კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ ადამიანის უფლებათა კომისია, თავის მხრივ, კომპეტენტურია და ვალდებულია ხელი შეუწყოს ძირითადი უფლებების დაცვის და პატივისცემის უზრუნველყოფას; ასევე განვითარდეს ადამიანთა ძირითადი უფლებების შესახებ, ქვეყანაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება” (აღნიშნულია).

ა. უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტები წარმოადგენენ სტატუტის საფუძველზე შექმნილ დაწესებულებებს, რომლების არსებობა, კანონიერობა და უფლებამოსილება დამოკიდებულია სამართლებრივ აქტებზე (უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონზე).

შესაძლებელია კონსტიტუცია განიხილავდეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის დაფუძნებას და შემდგომ კი ინსტიტუტი იქმნება საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ზოგიერთი ქვეყანა იყენებს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს განკარგულებას (ან აღმასრულებელი ორგანოს განკარგულებას), პროკლამაციებს ან სხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებს. თუმცა, საკონსტიტუციო სამართლის და კანონმდებლობის შემთხვევაში, რომლებიც მიიღება შიდა სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს მიერ, უპირატესობა ენიჭება აღმასრულებელი ორგანოს განკარგულებას (პარიზის პრინციპები).

პარიზის პრინციპების თანახმად, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ ფართო, ლიბერალური და მიზანმიმართული მიდგომა საკუთარი მანდატის განმარტებისა და აღსრულებისას.

მაშინ, როდესაც ფართო მიდგომის გამოყენება შეუძლებელია არარსებულ უფლებების განმარტებისას, იგი შესაძლებელია გამოიყენებოდეს სხვა უფლებების ჩამონათვალის ფართო განმარტებისთვის, რომელიც თავისი მხრივ განაპირობებს

ადამიანის უფლებების დაცვას.

შესაძლებელია კანონმდებლობა განიხილავდეს ადამიანის უფლებებს ზოგადად, ან განსაზღვროს კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

თუმცადა ყველა ქვეყნის კონსტიტუცია და ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია განსხვავდება და ყურადღებით უნდა იქნეს წაკითხული ქვემოთ მოცემული სწავლება აჩვენებს თუ როგორ იმოქმედებს კანონი საგანგებო უფლებამოსილების მინიჭებაზე კონსტიტუციურ დებულებასთან და საერთაშორისო კანონმდებლობასთან. დასმულ შეკითხვებზე პასუხების საფუძველზე, შესაძლებელია კონკრეტულ ქვეყნებში ქალების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დადგენა და იდენტიფიცირება, შემდგომ კი სტრატეგიული განვითარების განსაზღვრა.

მთავარი კითხვა: არის თუ არა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის საბჭოს მანდატი საკმარისი, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების და ქალთა გენდერული თანასწორობის უფლების დაცვა?

1) დაიწყეთ ქვეყნის კონსტიტუციის შესწავლით:

ა. ქმნის თუ არა კონსტიტუცია ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, თანასწორობისა და სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის არარსებობის ჩათვლით.

ბ. აღიარებს/უზრუნველყოფს თუ არა კონსტიტუცია რატიფიცირებულ საერთაშორისო უფლებებს რომლების მოიცავს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს?

ა. შემდეგ გამოიკვლიეთ ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტის კანონი საგანგებო უფლებამოსილების მინიჭებაზე

ბ. იძლევა თუ არა კანონმდებლობა საშუალებას რომ საბჭოს მანდატმა დაიცვას და გაავრცელოს ადამიანის უფლებები როგორც დადგენილია ქვეყნის რატიფიცირებულ საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ?

მაგალითი: კენიის ადამიანის უფლებათა კომისია

იძლევა, თუ არა კონსტიტუცია ადამიანის უფლებების/ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების დაცვის გარანტიას?

კენიის კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს ეკონომიკურ, სოციალურ და

კულტურულ უფლებებს, მაგრამ მასში მითითებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის გარანტია, რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე.

იცავს და უწყობს თუ არა ხელს კენიის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვას?

კომისია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ დაფუძნებულ ავტონომიურ დანესებულებას, რომელიც შეიქმნა პარლამენტის 2002 წლის აქტის საფუძველზე. მისი ძირითადი მანდატი მიზანმიმართულია კენიაში თითოეული ადამიანის უფლების დაცვის უზრუნველყოფაზე და ხელშეწყობაზე (კომისიის საკონსტიტუციო აქტის მე-16 სექცია).

კენიის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის მიერ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების სფეროში განხორციელებული პროგრამა ახორციელებს მისი მანდატის აღსრულებას, რათა დაიცვას და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, შემდეგი ღონისძიებებს შემუშავების გზით:

- ადამიანის უფლებების დარღვევების განხილვა - ვრცელი პოლიტიკური პასუხების მიწოდების მეშვეობით, ვინაიდან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ხშირად წარმოადგენს სისტემური დარღვევის საგანს, უამრავი მიზეზის გამო, რის გამოც საჭიროებს სისტემური პასუხის მიწოდება.

- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელების მონიტორინგი სისტემური მუშაობის საშუალებით და სახელმწიფო ეფექტურობის შეფასება.

- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განვითარება, ანუ ადამიანის უფლებათა შესახებ შესახებ ცნობიერების ამაღლება.

- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების შესახებ პუბლიცირება და გამოკვლევების ჩატარება.

მაგალითი: ფილიპინების ადამიანის უფლებათა კომისია

იძლევა, თუ არა კონსტიტუცია ადამიანის უფლებების/ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების დაცვის გარანტიას?

1987 წელს მიღებული ფილიპინის კონსტიტუცია განიხილავს, რომ ფილიპინის კომისია ვალდებულია “გამოიკვლიოს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სფეროში” და ვალდებულია “შეამოწმოს შეესაბამება თუ არა ფილიპინის მთავრობა, საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.”

1987 წლის კონსტიტუცია იძლევა უფლებების დაცვის, მათ შორის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების დაცვის გარანტიას. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი უფლებამოსილია “მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები, რომელიც მიმართულია თითოეული ადამიანის უფლებათა დაცვაზე”. თუმცა კომისია უფლებამოსილია მხოლოდ გამოიკვლიოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევის შესახებ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით კონსტიტუციური შეზღუდვის გამო, 1994 წელს უზენაეს სასამართლო სხდომაზე დადგინდა, რომ კომისია უფლებამოსილია გამოიძიოს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური დარღვევები.

იძლევა, თუ არა კონსტიტუცია ქალთა უფლებების დაცვის გარანტიას?

ადამიანის უფლების (ზოგადად) დაცვის და ქალთა შრომის უფლების (ზოგადად), მაგრამ არა თანასწორობის გარანტიას.

იცავს და ხელს უწყობს თუ არა ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიერ მიღებული უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი ადამიანის უფლებათა დაცვას და განსაზღვრავს თუ არა მათ სახელმწიფოს მიერ რატიფირებულ დოკუმენტებში?

არა, მაგრამ აღმასრულებელი ორგანოს 163-ე განკარგულება განიხილავს “თითოეული ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით სათანადო ზომების მიღებას”, იმ პირობით, რომ გამოიძიებას ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

- მოახდინა თუ არა ფილიპინებმა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენციის რატიფიცირება?

დიახ. ფილიპინების კომისიამ განმარტა საკუთარი მანდატი ფართოდ (დეტალურად), რათა უზრუნველყოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ზომების მიღება. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ფილიპინების ადამიანის უფლებათა კომისია არ არის უფლებამოსილი მიიღოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დარღვევის შესახებ პირდაპირი საჩივარი, მას აქვს უფლება მიიღოს წარმოებაში საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლებასთან დაკავშირებით სისტემატიური დარღვევის შესახებ. დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების სახეობას და აგრეთვე არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით განსაზღვრული თანასწორობის გარანტიის დარღვევა.

ბ. დავის სასამართლო გზით განხილვის შესაძლებლობა

სახელმწიფოები ვალდებული არიან დანერგონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები რატიფიცირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების კომიტეტმა გამოსცა ზოგადი მითითება # 9, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენციის შიდა ნორმებზე მითითებით, კომიტეტმა განმარტა, რომ “ადამიანის უფლებათა დარგში იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტები უნდა მოქმედებდეს თითოეული მონაწილე ქვეყნის შიდა სამართლებრივი სისტემის ფარგლებში”. თუმცა კომიტეტი არ არის დაინტერესებული იმ საკითხით, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული.

ყველა მონაწილე ქვეყანამ უნდა განიხილოს საკითხი, თუ რამდენად არის დანერგილი კონვენციის უფლებები შიდასახელმწიფოებრივ კანონში, აგრეთვე მათ მიერ მიღებული ზომები უნდა იქნეს განხორციელებული სათანადო ვალდებულებების სრულად შესრულების გზით. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები თეორიულად მაინც ექვემდებარება სასამართლო გზით დაცვას, რაც იმას

ნიშნავს, რომ მათი გადაცემა სასამართლოში და სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოპოვება და მიღება შესაძლებელია.

უამრავი ქვეყანა აცხადებს, რომ ეკომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა, რომ აღნიშნულ უფლებებს აქვთ ზოგადი ხასიათი, რის გამოც შეუძლებელია მათი ეფექტური კონტროლირება, ასევე, რომ საკითხები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით არის საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენცია და არა სასამართლოს ან ტრიბუნალების.

პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით, იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც მოახდინეს დოკუმენტების რატიფიცირება, რომლის მეშვეობით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ მიიღეს საკუთარ კონსტიტუციაში ან ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის უფლებამოსილების მიმნიჭებელ კანონმდებლობაში (ან ორივეში), უკვე მოახდინეს საერთაშორისო სამართლის მიღება. ამჟამად შესაძლებელია უამრავი მაგალითი მოვიყვანოთ, როდესაც სასამართლო იყენებს შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავრობას ფორმალურად არ გარდაუქმნია ნორმა კანონად. გარდა ამისა, უფლებების უმეტესი ნაწილი, რომლის დაცვას უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა კომისია და ომბუდსმენების ოფისი, რომლებიც განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა თანასწორობა და დისკრიმინაციის არარსებობა, მაგალითად საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლება, შრომის უფლება, სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა და ასე შემდეგ - ძირითადად ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, აღნიშნული საკითხები განიხილებოდა სასამართლოებში, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა კანადა, სადაც მოქმედებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის უძველესი ტრადიცია.

რაც შეეხება გაურკვევლობის პრობლემას, განვითარების საერთაშორისო სააგენტოები ათობით წლების მანძილზე ახორციელებენ სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ადამიანთა კეთილდღეობის გამოკვლევას. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო გაურკვეველია, მაშინ, როდესაც ამდენი ინფორმაცია გვაქვს მის შესახებ.

ნებისმიერი საკითხი, რაც დაკავშირებულია გაეროს გავითარების პროგრამის ფარგლებში არსებული ადამიანის განვითარების ინდექსთან, გენდერული პრობლემატიკის მაჩვენებლებთან, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მიღწეული პროგრესის მაჩვენებელთან და მსოფლიო ბანკის მიერ მსოფლიოს განვითარების შესახებ ანგარიშთან, პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვის სფეროსთან.

როგორც უკვე აღინიშნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ცენტრის მიერ: “ისტორიულად არსებული უფლებელყოფა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების მიმართ არის მეთოდოლოგიური დაბრკოლება. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა დამატებითი მაჩვენებლების არსებობა, რათა მოხდეს გარკვეული უფლებების დაცვის კონტროლი, აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში უფლებების ჩამონათვალი იზრდება და იცვლება კონკრეტული გამოცდილების შესაბამისად. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის რეალიზაციის ძირითადი წინააღმდეგობა წარმოიშობა სახელმწიფოების, საერთაშორისო ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ნების გამოვლენის ნაკლებობის გამო, რომელთა პირდაპირი პასუხისმგებლობაა დაიცვან და ხელი შეუწყონ აღნიშნული უფლებები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.”

ცენტრის მიერ მოყვანილია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული რამოდენიმე მაგალითი, რომელთა დაცვის მცდელობას ჰქონდა ადგილი მსოფლიოს სხვადასხვა სასამართლოში:

- იძულებითი გამოსახლება
- სამსახურიდან გათავისუფლება მიზეზის გარეშე
- წყალსავალის განზრახ მონამვლა
- დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების, სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის და განათლების დ.ა.შ. ხელმისაწვდომობის სფეროში
- კავშირების ჩამოყალიბების აკრძალვა
- ბავშვთა საკმარისი საკვებითა და წყლით ვერ უზრუნველყოფა
- დანყებითი განათლების უზრუნველყოფის

- ძირითადი სამედიცინო მონაცემების მიწოდების შეუძლებლობა
- საგანმანათლებლო დანესებულებები იმდენად მძიმე ვითარებაშია, რომ საფრთხეს უქმნის უსაფრთხოება

საგანმანათლებლო დანესებულებები იმდენად მძიმე ვითარებაშია, რომ წარმოადგენს რისკს უსაფრთხოებისთვის.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ცნობილ საქმედ საერთაშორისო დონეზე ითვლება, გრუტბუმის (*Grootboom*) საქმე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ აფრიკაში და ეხებოდა საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლებას. ქვემოთმოცემული მოკლე აღწერილობა აღებულია ქალთა უფლებების განვითარების ასოციაციის პუბლიკაციიდან, *“პრაქტიკიდან მიღებული სტრატეგია და მაგალითი: საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლების დაცვა და ხელშეწყობა: სამხრეთ აფრიკის გამოცდილება”*.

მაგალითი: გრუტბუმის საქმე (Grootboom Case)

მიღებული სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გრუტბუმის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 900 ადამიანმა (მათ შორის ირენე რუტბუმმა), რომლებიც ცხოვრობდნენ გაუსაძლის პირობებში, სამხრეთ აფრიკის უსტენბერგის მუნიციპალიტეტში. ამ ადამიანების უმეტეს ნაწილმა არაერთხელ მიმართა სხვადასხვა დანესებულებებს დაბალფასიანი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის მიზნით, მაგრამ უამრავი წლების ლოდინმა მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა მთავრობის მიერ უგულველყოფილად პასუხის დატოვების გამო. სასონარკვეთილმა ხალხმა გადაწყვიტა დაბალფასიანი სახლებისთვის განკუთვნილ ტერიტორიასთან ახლოს მდებარე კერძო საკუთრების ტერიტორიაზე დაეკავათ ადგილები. მესაკუთრემ შეიტანა საჩივარი და მაგისტრატ მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება უკანონოდ ჩასახლებული პირების გამოსახლების შესახებ. იმ პირების სახლები, რომლებმაც დაიკავეს მიწის ნაკვეთი, იქნა განადგურებული. ამის შემდეგ, უსახლკარო ხალხმა დროებითი საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნით მიმართა უზენაეს სასამართლოს, მანამ სანამ ისინი მუდმივად არ იქნებოდნენ შესახლებული პროვინციის მშენებლობის გეგმის შესაბამისად. მთავრობამ შესთავაზა მათ მიწის ნაკვეთი

და სამშენებლო მასალების გარკვეული რაოდენობა, ასევე ძირითადი სერვისების მიწოდება მანამ, სანამ ისინი იმყოფებოდნენ შესახლების მოლოდინში. თუმცა მთავრობამ დაარღვია საკუთარი დანაპირები. რის შემდეგაც, საზოგადოებამ მიმართა უზენაეს სასამართლოს, არგუმენტად კი მოიყვანეს სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 26-ე მუხლის, რომელიც განმარტავს შემდეგს: ყველას აქვს სათანადო საცხოვრებელი ადგილის და კანონით დაცული სხვა პირობების მიღების უფლება, ხელმისაწვდომობის ფარგლებში და განახორციელოს აღნიშნული უფლება საუკეთესო გზით.

სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოების სათანადო საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლება იქნა დარღვეული და რომ სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკა არსებული რესურსების ფარგლებში უნდა იყოს მოქნილი და მიზანმიმართული სოციალური უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე. კონსტიტუციის 26-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე უზრუნველყოს მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობით და არ შეზღუდოს და არ შეუშალოს მათ ხელი ამ უფლების განხორციელებაში. სახელმწიფოს სესახლების გეგმა უნდა ისახავდეს მიზნათ კრიტიკული სიტუაციების მოგვარებას და არ უნდა განასხვავებდეს რომელიმე საზოგადოებას რაიმე ნიშნით. ამ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა არ შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტებს, რაც მთავრობა ვალდებულია გამოასწოროს.

გრუტბუმის საქმეზე გადაწყვეტილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი: აღიარებული იქნა, რომ კონსტიტუციით განსაზღვრული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები საჭიროებს სასამართლო გზით დაცვას, ანუ შესაძლებელია გადაეცეს სასამართლოს განსახილველად და მოიძიოს დაზარალებულებისთვის ანაზღაურების მიზნით შესაფერისი სამართლებრივი დაცვი საშუალებები. გადაწყვეტილებაში ასევე ხაზი გაესვა სახელმწიფოს აღნიშნული უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მიუხედავად ბიუჯეტისგან გამომდინარე ან სხვა სახის შეზღუდვებისა.

ნაწილი მე-2

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემა

აღსანიშნავია საერთაშორისო სამართლის სამი ძირითადი წყარო:

- სახელშეკრულებლო ან კონვენციის აქტები
- საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი
- სამართლის ზოგადი პრინციპები

ცნობარი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს პირველად წყაროს და კონცენტრირებულია კონვენციებზე, რომლებიც მოიცავს დადგენილებებს ქალთა ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

შეთანხმების ან კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, სახელმწიფო განახორციელებს კონკრეტულ სამართლებლივ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებების მნიშვნელობა და გამოყენება განსაზღვრულია თავად კონვენციებში და კონკრეტული სექციების ინტერპრეტაცია მოცემულია ძირითად კომენტარებში, რომელიც მომზადებულია შეთანხმების ორგანოების და კონკრეტულ კონვენციაზე პასუხისმგებელი კომიტეტების მიერ. მთავარი მაგალითები არის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტის და ბავშვთა უფლებების პაქტის კომიტეტები, ისინი რუტინულად იღებენ ზოგად კომენტარებს და აკეთებენ ზოგად რეკომენდაციებს რომ უზრუნველყონ მითითებები მათი შესაბამისი პაქტის ინტერპრეტაციისა და გამოყენების შესახებეს სამი კომიტეტი, რათქმუნდა, არ არის ერთად-ერთი რომელიც უზრუნველობს კომენტარებსა და რეკომენდაციებს, მაგრამ ისინი არიან ამ ცნობარის - როგორც ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცნობარის- ძირითადი ფოკუსი.

გაერთიანებული ერების საერთაშორისო ადამიანთა უფლებების სიტემა

საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუმენტები რომლებიც ნაწილობრივ ეხება უფლებებს ან უფლებების კატეგორიებს, რომელიც ადამიანთა უფლებების საერთაშორისო კანონპროექტის ნაწილია, რომელიც მოიცავს ადამიანთა უფლებების უნივერსალურ დეკლარაციას, ეკონომიკური, სოციალური და

კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს და პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტს და მის ორ დამატებით ოქმს.

ა. გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემა

გაერთიანებული ერების საერთაშორისო ადამიანთა უფლებების სისტემა საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუმენტები რომლებიც ნაწილობრივ ეხება უფლებებს ან უფლებების კატეგორიებს, რომელიც ადამიანთა უფლებების საერთაშორისო კანონპროექტის ნაწილია, რომელიც მოიცავს ადამიანთა უფლებების უნივერსალურ დეკლარაციას, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს და პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტს და მის ორ დამატებით ოქმს.

ეს ოქმების შტატებს, რომლებსაც აქვთ რატიფიცირებული ინსტრუმენტები, აკისრებს ძირითად ვალდებულებებს. შემდეგი სექცია მოიცავს ამ კონკრეტული ინსტრუმენტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

- ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაცია
- ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დეკლარაცია
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
- შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია
- ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია

- რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
- პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენცია
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენცია
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დამატებითი ოქმები

“ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW), მუხლი 1 W
“დისკრიმინაცია ქალთა მიმართ” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შებლუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, - მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას”.

ადამიანის უფლებათა ეროვნული დეკლარაცია

ადამიანთა უფლებების დეკლარაცია არ არის შეთანხმება ან კონვენცია. მიუხედავად ამისა, ექსპერტები აცხადებენ, რომ დეკლარაციას აქვს ჩვეულებაზე დაფუძნებული კანონის ძალა. იგი გვანავდის საერთაშორისო კონვენციების განვითარების, გაფართოების და ახსნის სტრუქტურას.

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და არის ღირსეებითა და უფლებებით თანასწორი“ (მხ.1) და „ყველას აქვს უფლებები და თავისუფლებები დასჯულია კანონით, განურჩევლად სქესისა“ ეს ძირითადი უფლებები ეხება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულ კანონებს შემდეგ მუხლებში:

- ქალთა და კაცთა თანასწორი უფლებები ქორწინების, ქორწინების განმავლობის და ქორწინების დასრულების შემდეგ (მუხლი 16)
- უძრავი ქონების მფლობელობის უფლება (მუხლი 17)
- სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 22)
- შრომისა და შესაბამისი ანაზღაურების უფლება (მუხლი 23)
- პროფესიული კავშირებისა და მათში განევრიანების უფლება (მუხლი 23)
- ცხოვრების დონის შესაბამისი სტანდარტის უფლება, საკვების, ჩასაცმელის, სამედიცინო მომსახურების და საცხოვრებლის, და დამატების ბავშვებისთვის და დედებისთვის საჭირო გარემოებების შექმნის ჩათვლით. (მუხლი 25)
- განათლების უფლება (მუხლი 26)
- საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების და ხელოვნებით და მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის უფლება (მუხლი 27)

ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დეკლარაცია

2007 წლის 13 სექტემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დეკლარაცია 143 დადებითი ხმით (უარყოფითი ხმები ეკუთვნოდათ კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და შეერთებულ შტატებს). ეს დეკლარაცია აცხადებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არის თავისუფალი და

თანასწორი და რომ ადგილობრივ მოსახლეებს აქვთ უფლება თავისუფლად განახორციელონ თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ეფექტური ზომები და, სადაც საჭიროა განსაკუთრებული ზომები, რომ უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური პირობების განვითარება.

21-ე მუხლი უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივ ხანში შესულ პირებს, ქალებს, ახალგაზრდებს, ბავშვებს და შშმ პირებს დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურად დაუცველი პირების უფლებებსა და სპეციალურ საჭიროებებს, ხანში შესული პირების, ქალები, ახალგაზრდების, ბავშვების და შშმ პირების ჩათვლით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს ღრობებითი სპეციალური ზომები, რათა უზრუნველყოფილ იყოს რომ ადგილობრივი ქალები და ბავშვები სარგებლობდნენ სრული დაცვითა და გარანტიით ყველანაირი ძალადობისა და დისკრიმინაციის წინაშე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია ზოგჯერ მოხსენიებულია როგორც ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონპროექტი. კონვენცია, რომელიც 1979 წელს იქნა მიღებული, არის სამართლებრივად დაცული ინსტრუმენტი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ქალთა წინააღმდეგ და ვალდებულს ხდის მთავრობას, რომ შეიმუშავოს და განახორციელოს ზომები, რათა უზრუნველყოს ქალთა თანასწორობის წინსვლა. კონვენცია არ განასხვავებს პირად და საჯარო ცხოვრებას და კულტურას არ მიიჩნევს, როგორც დისკრიმინაციის გამართლების საშუალებად.

ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია იცავს ქალთა უფლებას, რომ იყოს თანასწორი და არა-დისკრიმინაციულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რეალობაში. ქალის უფლება, რომ ეპყრობოდნენ თანაბრად საოჯახო ცხოვრებაში აუცილებელია ქალის ეკონომიკური და სოციალური უფლებებისთვის.

ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტიკას ან პროექტებს რომელიც საჩივრების ან მონიტორინგის პროექტის მიმდინარეობისას დისკრიმინაციას იწვევს ქალების წინააღმდეგ აღნიშნულ სფეროებში: ქალთა ტრეფიკინგი და პროსტიტუცია, პოლიტიკური და საჯარო ცხოვრება, მონაწილეობა საერთაშორისო დონეზე, მოქალაქეობა, განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვა, ეკონომიკური და სოციალური სიკეთეები (სესხები, ბანკთან წვდომის, იპოთეკის და სხვა ყველანაირი კრედიტის ჩათვლით), კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება,

სოფელში მცხოვრებ ქალთა საკითხები, ქონების უფება და ქორწინება და ოჯახური ურთიერთობები. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რეალობაში. ქალის უფლება რომ ეპყრობოდნენ თანაბრად საოჯახო ცხოვრებაში აუცილებელია ქალის ეკონომიკური და სოციალური უფლებებისთვის.

სფეროები, რომლებსაც მოიცავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას

მუხლი 6: ქალთა ტრეფიკინგი და პროსტიტუცია

მუხლი 7: პოლიტიკური და საჯარო ცხოვრება

მუხლი 8: მონაწილეობა საერთაშორისო დონეზე

მუხლი 9: მოქალაქეობა

მუხლი 10: განათლება

მუხლი 11: დასაქმება

მუხლი 12: ჯანმრთელობის დაცვა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვა

მუხლი 13: ეკონომიკური და სოციალური სიკეთეები

მუხლი 14: სოფლად მცხოვრები ქალები

მუხლი 15: თანასწორობა კანონის წინ

მუხლი 16: ქორწინება და ოჯახური ურთიერთობები

ზოგად რეკომენდაციებში #6: ეფექტური ეროვნული ტექნიკა და საჯაროობა, ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის კომიტეტი აცხადებს, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს რესურსები, ვალდებულებები და უფლებამოსილება რომ:

- რეკომენდაცია გაუწიოს მთავრობის ყველა პოლიტიკის გავლენას ქალებზე
- ადეკვატური მონიტორინგი გაუწიოს ქალთა სიტუაციას.
- დაეხმაროს ახალი პოლიტიკისა შექმნაში და ეფექტურად განახორციელოს დისკრიმინაციის აღმოფხვრის სტრატეგიები და ზომები

ზოგადი რეკომენდაციები ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტისთვის საანგარიშო პროცედურების და ინსტრუქციებისთვის ღირებული წყაროა, აგრეთვე ქალთა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

არსებითი და თემატური საკითხების გადაჭრისთვის. იხ. ამონარიდი ხუთი ძირითადი რეკომენდაციების რელევანტური ნაწილისთვის რომელიც ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის კომიტეტმა გამოსცა.

1999 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციისთვის მიიღო დამატებითი ოქმი. ოქმის რატიფიცირებით სახელმწიფო აღიარებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის კომპეტენციას - ორგანო რომელიც მონიტორინგს უწევს სახელმწიფო პარტიების კონვენციასთან შესაბამისობას - რათა მიიღო და გაითვალისწინოს ინდივიდუალთა საჩივრების სახელმწიფოს პარტიების შესახებ, რომელთაც ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს. აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ ოქმი შეიცავს (1) კომუნიკაციის პროცედურებს რომელიც ინდივიდუალებს ან ინდივიდუალთა ჯგუფებს უფლებას აძლევს კომიტეტს წარუდგინონ სარჩელი. კონვენციით განსაზღვრული უფლებების დარღვევის შესახებ, და (2) გამოძიება, რომელიც კომიტეტს უფლებას აძლევს რომ ქალთა უფლებების მძიმე ან სისტემატიური დარღვევის შემთხვევაში დაიწყოს სიტუაციის გამოძიება.

დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2000 წლის 22 დეკემბერს, სახელმწიფოს მეათე პარტიის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, რაც დამატებით პროტოკოლს ანალოგურ ძალას აძლევს როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციას და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციას აქვს, რომელთაც აგრეთვე აქვს კომუნიკაციის პროცედურები.

ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტის კომუნიკაციის პროცედურებში უჭირავს ადგილი, ხელი შეუწყოს საჩივრის მიღების პროცესს ან თავად გააგზავნოს საჩივარი იმ შემთხვევაში თუ შიდა ეროვნული პროცესები ამონურულია ან არ არსებობს. დეტალური ინფორმაცია ამ შემთხვევების შესახებ მოძიებული შეიძლება იქნეს მე-6 მოდულში.

მიუხედავად მისი დადებითი ასპექტებისა ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციას მთავრობის მიერ აქვს ყველაზე მეტი რეზერვაციები. რეზერვაციების უმეტესობა კონცენტრირებულია მის ძირითად მიზანსა და

კონვენციის საყრდენ საფუძველზე. კერძოდ ქალსა და კაცს შორის არათანაბარი ძალაუფლების ურთიერთობის შეცვლას და ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის ძირითად მიზანს. ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტის როლია რომ აღმოფხვრას ან გაასაჩივროს რეზერვაციები რომელიც აგრეთვე განხილულია მე-6 მოდულში.

მიუხედავად მისი დადებითი ასპექტებსა ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციას მთავრობის მიერ აქვს ყველაზე მეტი რეზერვაციები. რეზერვაციების უმეტესობა კონცენტრირებულია მის ძირითად მიზანსა და კონვენციის საყრდენ საფუძველზე. კერძოდ ქალსა და კაცს შორის არათანაბარი ძალაუფლების ურთიერთობის შეცვლას და ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის ძირითად მიზანს. ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტის როლია რომ აღმოფხვრას ან გაასაჩივროს რეზერვაციები რომელიც აგრეთვე განხილულია მე-6 მოდულში.

შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია

გაეროს მიხედვით შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია ნიშნავს, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციას, რაც ნიშნავს რომ ნებისმიერი სახის განსხვავება, გამორიცხვა ან აკრძალვა შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რომელსაც გავლენა ან მიზანი აქვს შშმ პირთა მიერ აღიარების, სიამოვნების ან სწავლების დაზიანება ან განულება, მიუხედავად მათი ოჯახური სტატუსისა, ქალთა და კაცთა თანასწორობის საფუძველზე რომელიც ადამიანთა პოლიტიკურ ეკონომიკურ, სოციალურ კულტურულ, მოქალაქეობრივ და სხვა სფეროების უფლებებს და ფუნდამენტალური თავისუფლებებს მოიცავს. 2006 წლის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი კონკრეტულად აღირებს დისკრიმინაციის არაერთგვარ მნიშვნელობას შშმ ქალების მიმართ.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია

გოგონებს კონკრეტული ხარვეზები აქვთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ

სფეროებში, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და ეკონომიკური ექსპლუატაცია. ამ მიზნების გამო ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დებულებები წარმოადგენენ საჭირო დაცვას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ამ კონვენციაში მოიცავს შემდეგ უფლებებს:

- ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტი (მხ. 24)
- სოციალური დაცვის სიკეთეები (მხ. 26)
- ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისთვის საჭირო დონის უზრუნველყოფა. (მხ. 17)
- განათლება (მხ. 28)
- ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვა (მხ. 31)

2001 წლის ზოგად კომენტარებში #1 ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი მიუთითებს რომ სქესობრივი დისკრიმინაცია შესაძლებელია გაძლიერდეს გამომდინარე სკოლის კურიკულუმიდან რომელიც სქესობრივ თანასწორობასთან არათანმიმდევრული, აგრეთვე გარემოებებიდან რომელიც გოგონებისთვის განათლების სისტემიდან გამომდინარე ხელმისაწვდომ სიკეთეებს ლიმიტირებას უწევს და ქმნის სახიფათო ან არამეგობრულ გარემოებას გოგონებისთვის რომელიც გოგონებს მონაწილეობის მიღების მოტივაციას უკარგავს. ზოგადი მითითება #1 აგრეთვე ეხება შშმ ბავშვთა დისკრიმინაციას, შიდათ დაავადებული ბავშვების ჩათვლის, რომელიც გავრცელებულია ბევრ ფორმალურ განათლების სისტემაში და აგრეთვე არაფორმალურ განათლების სისტემაში, სახლში მიღებული განათლების ჩათვლით. ყველა ასეთი დისკრიმინაციული პრაქტიკა პირდაპირ წინამდევობაშია 29-ე მუხლში მოწოდებულ დებულებებთან (1) (ა) რომ განათლება პირდაპირ გავშირშია ბავშვის ხასიათის, ნიჭის და გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული პოტენციით ჩამოყალიბებასთან.

რადგანაც ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტი ხშირად მუშაობს მთავრობასთან ერთად რომ განავითაროს ადამიანთა უფლებების მოდული და კურიკულუმი სკოლებში, ეს არის აქტივობის მნიშვნელოვანი სფერო.

2002 წელს მიღებულ ძირითად კომენტარში ბავშვთა უფლებები დაცვის კომიტეტი

ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს ანიჭებს დამოუკიდებელ როლს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მეოთხე მუხლის მიხედვით სახელმწიფო პარტიები იღებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებათა განსახორციელებლად. ადამიანთა უფლებების დაცვის დამოუკიდებელი ინსტიტუტები ბავშვთა უფლებების კონვენციის ხელშეწყობის და აღსრულების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია; ზუსტადაც, ბავშვთა უფლებების კომიტეტი მიიჩნევს რომ სახელმწიფო პარტიების მიერ ბავშვთა უფლებების რატიფიცირების შემდეგ ადამიანთა უფლებების ინსტიტუტების ჩამოყალიბება აუცილებელია კონვენციის განხორციელებისთვის და ბავშვთა უფლებების ზოგადი განვითარებისთვის.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა სახის აღმოფხვრის კონვენცია

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა სახის აღმოფხვრის კონვენცია კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან აკრძალვას რასობრივი, კანის ფერის, ნაციონალური ან ეთნიკური წამოშობის საფუძველზე, რომელსაც ეფექტი და მიზანი აქვს ადამიანის თანასწორი უფლებების ან ფუნდამენტალური თავისუფლებების განულება და ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან სხვა საჯარო საცოვრებლის დაზიანება.

იმ რასობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის, რომელთაც შეაქვთ საჩივარი სექსუალურ და რასობრივ დისკრიმინაციაზე, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა სახის აღმოფხვრის კონვენცია უზრუნველყოს პლატფორმას რომელიც შეეხება რასობრივ ელემენტს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რეალობაში. კონვენციის მე-5 მუხლის „ე“ ქვეთავი შიფრავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების, შემდეგი უფლებების ჩათვლით:

- მუშაობისა და დასაქმების თავისუფალი უფლება
- სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების უფლება

- თანაბარი ანაზღაურების უფლება
- საცხოვრებლის უფლება
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სამედიცინო, სოციალური დაცვის და სოციალური სერვისების უფლება
- განათლებისა და ტრენინგის უფლება
- კულტურულ აქტივობებში თანასწორი მონაწილეობის უფლება
- ზოგადი საზოგადოებისთვის განსაზღვრულ ადგილებზე ხელმისაწვდომობის უფლება

პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტი

მიუხედავად იმისა, რომ ეს პაქტი კონცენტრირებულია პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე, მესამე მუხლი ეხება კერძოდ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას და ამით აკავშირებს პაქტს ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენციასთან.

პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლი გვამცნობს რომ:

სახელმწიფოს პარტიები ემსახურებიან ამჟამინდელ პაქტს, რომ უზრუნველყონ ქალის და კაცის თანაბარი უფლებები რომ გამოიყენონ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ამჟამინდელი პაქტის დადგენილების მიხედვით

ადამიანთა უფლებების კომიტეტის ზოგადი მითითების 28-ე ნაწილი განსაზღვრავს კავშირს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტს და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებს შორის. რელევანტური სექციები მოწოდებულია ქვევით:

3. *...მონაწილე სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა მიიღოს დაცვის ზომები არამედ დადებითი ზომებიც ყველა სფეროში რათა მიაღწიოს ქალების ეფექტურ და თანაბარ გაძლიერებას. ...*

4. *სახელმწიფო პარტია პასუხისმგებელია რომ უზრუნველყოს უფლებათა თანასწორი გამოყენება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, და რომ გადადგას*

ყველა ის ნაბიჯი რაც საჭიროა ამისთვის, სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის ჩათვლით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინატორული აქტები, როგორც საჯარო ასევე პირად სექტორში, რაც უფლებების თანაბარ გამოყენებას უზრუნველყოფს.

ეს მუხლი გამოყენებულ იქნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის გამონწვევად ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რეალობაში. ისევე როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტის 26-ე მუხლში მონოდებული დებულება რომელიც წარმოადგენს უფლებას ადამიანი იყოს თავისუფალი რასობრივი, სქესობრივი, ენობრივი, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა სახის დისკრიმინაციისგან, მიუხედავად მისი ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, მფლობელობის, დაბადების ან სხვა სტატუსისა

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები მონოდებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში და ცნობს შემდეგ უფლებებს:

- ქალთა და კაცთა შორის თანასწორობა (მხ. 3)
- სამუშაო და მუშაობის ხელსაყრელი პირობები (მხ. 6 და 7)
- სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბება და მათში განწევრიანება (მხ.8)
- სოციალური დაცვა (მხ.9)
- ოჯახის, დედების და ბავშვების დაცვა (მხ.10)
- ცხოვრების სათანადო სტანდარტები: სათანადო საკვები, საცხოვრებელი ადგილი და ჩასაცემელი (მხ 11.1)
- ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი დონე (მხ. 12)
- განათლება (მხ. 13)
- თავისუფალი და სრულფასოვანი ზოგადი განათლება (მხ. 14)
- მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, სარგებლობდეს მეცნიერული

პროგრესით.

- მიიღოს სარგებელი იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც გამომდინარეობს მისი ავტორობით შექმნილი ნებისმიერი მეცნიერული, ლიტერატურული თუ მხატვრული ნაშრომიდან.(მხ. 15)

ქალთა უფლებების განხილვის დროს ზოგიერთი უფლება ნაკლებად ცხადია, თუმცა მნიშვნელობანია აღინიშნოს ქალთა ქონების, ფლობის და მემკვიდრეობით შეძენის უფლების ფუნდამენტალობა ქალთა თანასწორობაში. აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობა, ნებისმიერი სახის პარტნიორთან ან ოჯახურ პირობებში ძალადობა ახლოს არის დაკავშირებული ეკონომიკურ სოციალურ და კულტურულ უფლებებთან.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის სახელმწიფოს ვალდებულებების მე-2 და მე-3 მუხლების მონახაზი

სახელმწიფოს ვალდებულებები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან შესაბამისობაში მონოღებული ქვემოთ:

- რომ სცეს პატივი, დაიცვას და უზრუნველყოს კმაყოფილება
- მიიღოს ზომები ყველა შესაბამისი საშუალებით, განსაკუთრებული საკანონმდებლო ზომების მიღების ჩათვლით.
- ჰქონდეს ხედვა, რომ მიაღწიოს უფლებებმა პროგრესირების სრულ რეალიზებას
- არ მიიღოს რეტროაქტიური ზომები
- დადებითი ვალდებულებები
- მისი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით
- დისკრიმინაციის გარეშე

გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისიის ოფისი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სახელმძღვანელო ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტისთვის დეტალურად ხსნის ყველა ტერმინის მნიშვნელობას. ინფორმაციის გამეორების მაგივრად მოკლე მონახაზი მონოღებულია

რომელიც აგრეთვე შეიცავს ამ უფლებების მნიშვნელობას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისთვის. სადაც საჭიროა მოყვანილია მაგალითები რომ ეს ანალიზები ცხადი გახადოს. მკითხველებს რომლეთაც სურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება, უნდა მიმართონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სახელმძღვანელოს ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტისთვის.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 და მე-3 მუხლები

2(1) თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული უფლებების პროგრესულად სრული რეალიზაციისათვის ყველა სათანადო საშუალებებით, საკანონმდებლო ზომების მიღების ჩათვლით.

2(2) მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან იმის გარანტიას, რომ წინამდებარე პაქტში ჩამოთვლილი უფლებები განხორციელებული იქნება რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანასწორი უფლება, ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.

პატივისცემის, დაცვისა და შესრულების ვალდებულება

პატივისცემა ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის იმ უფლებებთან, რომლებიც გარანტირებულია შეთანხმებით ან კონვენციით. ასეთ შემთხვევა ზოგჯერ ისინი მოხსენიებული არიან, როგორც „უარყოფითი ვალდებულება.“ სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ გაიმეორონ კანონმდებლობები და პოლიტა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის

დისკრიმინაციული ხასიათის. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიხედვით ეს ნიშნავს რომ:

სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული ქმედებისგან, რომელიც წინააღმდეგობაშია ქალთა და კაცთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თანასწორ გამოყენებასთან.

რომ დაიცვას ნიშნავს რომ სახელმწიფოს არ აქვს საფუძველი იმისათვის, რომ თავი შეიკავოს საერთაშორისო სამართლის კონკრეტული უფლების დარღვევისგან; მან აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ სხვებს ამ უფლებების გამოყენებაზე არ აქვთ უარყოფითი პასუხი. სახელმწიფოს ვალდებულება რომ დაიცვას ასევე მოიცავს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას - ეს მოითხოვს სახელმწიფოს მოქმედებას, ჩარევასა და მხარდაჭერას.

მოკლედ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს უთანასწორობას, მიიღონ საკანონმდებლო დებულებები თანასწორობის და არა-დისკრიმინაციის შესახებ და აღმოფხვრან მესამე პირის ჩარევა მესამე მუხლის გამოყენებაში.

რომ უზრუნველყოს კმაყოფილება ნიშნავს ,რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ ქალთა და კაცთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თანასწორობის სრული გამოყენება, მაგალითად, უზრუნველყონ სამედიცინო პრეპარატების ხელმისაწვდომობა სათანადო ობიექტების საშუალებით, როგორც არის სასამართლოები და ტრიბუნალები; მიიღოს ღრობებითი სპეციალური ზომები იმისათვის, რომ გაზარდონ ქალთა მიერ მათი უფლებების თანასწორი გამოყენება და ოფიციალურ პირებსა და მოსამართლეებს გააცნონ და მისცენ სათანადო ტრენინგი ადამიანთა უფლებების შესახებ.

ეს ასევე მოხსენიებულია როგორც „დადებითი“ ქმედება სახელმწიფოს მიერ. ასეთი ქმედებები მოიცავს, მაგალითად, ძალისხმევას რომ ხელი შეუწყოს ადამიანთა უფლებების უკეთეს გაგებას ეფექტური განმანათლებლები და ინფორმაციული კამპანიების სახით. სახელმწიფო ამ მცდელობების ყველაზე ეფექტურ აღმასრულებლად არის მიჩნეული - საერთაშორისო თანამეგობრობის გამორიცხვით - რადგანაც, ასეთი

კამპანიები უფრო ეფექტურია თუ ისინი ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე ტარდება და ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს ითვალისწინებს.

მონტრეალის პრინციპების მე-14 პრინციპის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა რომ შეასრულონ ეს ვალდებულებები, ისინი აუცილებლად ერთდროულად უნდა „სცემდნენ პატივს, იცავდნენ და უზრუნველყოფდნენ კმაყოფილებას“ და არა ეტაპობრივად, ქალთათვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დარგების არსებით თანასწორუფლებიანობას. არსებული დარღვევებიდან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფო შესაძლებელია ვალდებული იყოს რომ არ გადადგას დისკრიმინაციული ნაბიჯები და აგრეთვე გადადგას დადებითი ნაბიჯები, რათა შეამციროს სქესობრივი დისკრიმინაცია და არათანასწორუფლებიანობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რეალობაში.

დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულება

ზოგიერთი ვალდებულება აუცილებელია, რომ სრულად განხორციელდეს მონაწილე სახელმწიფოების მიერ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის ზოგადი მითითება #16 აცხადებს რომ:

ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობის მიღწევა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში მონაწილე სახელმწიფოს აუცილებელი და დაუყოვნებლივი ვალდებულებაა.

მონტრეალის პრინციპები ასევე აღნიშნავს რომ:

...ეს ვალდებულება პროგრესულ რეალიზებას არ ექვემდებარება. ეს ვალდებულება ასევე დაუყოვნებლივ შესასრულებელი შიდასახელმწიფოებრივი ორგანოებისა და კვაზი-სახელმწიფოს მოქმედი პირებისა და სხვა ჯგუფებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ საშუალება, აკონტროლონ რესურსები და ტერიტორია.

- გამომდინარე აქედან, უზრუნველყოფა იმისა, რომ შესაბამისი უფლებები განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე და მათ მისაღწევად გადაიდგას სათანადო ნაბიჯები, ამ ყოველივეს, მალევე მოაქვს შედეგი. მინიმალური

ძირითადი ვალდებულებებიც დაუყოვნებლივ შესასრულებელ ვალდებულებათა სიაში არიან.

- დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულება შეიძლება დაექვემდებაროს გონივრულობის სტანდარტს.
- მეორე მხრივ, თუ სახელმწიფო ვერ გადადგამს ნაბიჯებს პაქტის მიერ განსაზღვრულ ვადებში, ეს ჩაითვლება, როგორც პაქტის დარღვევა
- დაუყოვნებლივობის პრინციპი ნიშნავს, რომ ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების კანონსა და პრინციპებს და საშუალებას აძლევს დისკრიმინაციას გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით.

„უზრუნველყოს საჭირო ზომების მიღება ... ნებისმიერი საშუალებით“

კანონმდებლობითი რეფორმები შესაძლოა იყოს აუცილებელი, მაგრამ არ იყოს ეფექტური.

ადმინისტრაციული, იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და განმანათლებელი ზომები არის ცხადი მაგალითი იმ ზომებისა, რომლებიც ხშირად არის მოცემული უფლებების განხორციელების ნაწილში და მთავრობა ვალდებულია ეს უფლებები უზრუნველყოს ყველასთვის.

ამ შემთხვევაში, ადამიანთა უფლებების დაცვის ინსტიტუტის მანდატის ხელშემწყობი ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს, სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობით - საჯარო ავტორიტეტების ჩათვლით, რომელთაც აქვთ ვალდებულება საერთაშორისო კანონმდებლობის მიმართ - ამ შემთხვევაში შეუძლია განახორციელოს ცვლილებები არა მხოლოდ კანონმდებლობაში, არამედ მმართველობის სხვა იარაღებში, რომლებიც წამოყენებულია პოლიტიკის არჩევის დროს.

„ჰქონდეს ხელვა რომ მიაღწიოს უფლებების პროგრესირების სრულ რეალიზებას“

პროგრესული რეალიზება ცნობს, რომ სახელმწიფოს არ აქვს ულიმიტო რესურსები და ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების რეალიზებას დაუყოვნებლივ ვერ მოახდენს. ამიტომაც სახელმწიფო ეტაპობრივად მუშაობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზების კვალდაკვალ, მისთვის გამოყოფილი ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. *ამავდროულად, მონაწილე სახელმწიფოები უნდა იღწვოდნენ უფლებების მაქსიმალურად სწრაფად რეალიზებისთვის (ლიმბურგის პრინციპები 21). სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ უზრუნველყონ ადამიანთა დაუცველი ჯგუფების მიერ გამოცდილი არათანასწორუფლებიანობა აღმოფხვრილია და რომ ყველა ჯგუფი თანაბრად იზიარებს ამ პროგრესულად რეალიზებული უფლებებისა და ასპექტების გამოყენებას.*

- უფლებების პროგრესული რეალიზება არ ნიშნავს რომ სახელმწიფოებს შეუძლია სრული რეალიზების უზრუნველყოფა გაურკვეველი ვადით გადადონ (ლიმბურგის პრინციპები, 21)
- სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ უდავო პროგრესი პაქტით დაცული ყველა პირით თანასწორუფლებიანობისადმი.
- პროგრესული რეალიზების ვალდებულება აგრეთვე გულისხმობს, რომ სახელმწიფომ არ მიიღოს პროგრესის უკან დამწევი ან რეგრესული ზომები (იხილეთ არა-რეგრესირების პრინციპების ნაწილი ქვევით)

პროგრესული რეალიზების ვალდებულება ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტებმა პატიოსნად, დისციპლინირებულად და რეგულარულად გაუწიონ ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს მონიტორინგი. ინფორმაციის რეგულარული და სისტემატური თავმოყრის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის გეგმებს ან სხვა საშუალებებსა რომლებიც ასახავს მთავრობის განზრახვას და პროგრესს, მიმართულს ქალთა უფლებების ხარისხის გაუმჯობესებაში.

„მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმუმი“

რადგანაც სახელმწიფოს შეიძლება არ ჰქონდეს სათანადო რესურსებზე წვდომის საშუალება, მან შეიძლება გაამართლოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანასწორუფლებიანობის ვერ მიღწევა. თუმცა სახელმწიფო ვერ გაეცემა მინიმალური ძირითადი ვალდებულებების შესრულებას: „რესურსების არარსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მინიმალური ძირითადი პრინციპების განხორციელებისგან.“

ადამიანთა უფლებების ეროვნული ინსტიტუტის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ საჯარო ინსტიტუტებთან მუშაობა მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს და მონიტორინგი გაენიოს გრძელვადიან და პროგრესულ გეგმებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მიიღწევა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2(1) მუხლი პირველი მსოფლიოს ქვეყნებს აკისრებს დატარულ, ზოგის თქმით კი პირდაპირ, ვალდებულებებს, რომ დაეხმარონ მესამე მსოფლიოს ქვეყნებს, მიაღწიონ ამ მიზანს ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "ხელმისაწვდომი რესურსები" შეიძლება მოიცავდეს სხვა ქვეყნების მიერ განეულ დახმარებას, რომელიც განვითარებაში ეხმარება მას და უბრალოდ არ მოიცავს ერთი ქვეყნის პირად რესურსებს.

დადებითი ვალდებულებები

ყველანაირი ადამიანური უფლება - სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებები - წარმოადგენს სახელმწიფოს დადებით და უარყოფით ვალდებულებებს, რომ აღმოფხვრას დისკრიმინაცია. მთავრობა ვალდებულია, რომ არამხოლოდ ხელი შეუშალოს უფლებების დარღვევას, არამედ გადადგას დადებითი ნაბიჯები თანასწორობის მისაღწევად.

ეს ნიშნავს, რომ მან უბრალოდ არ უნდა გააკეთოს ის, რაც არ არის ეფექტური: დადებითი ნაბიჯები, როგორც არის ინიციატივის გამოჩენა, პროგრამების დანერგვა და რესურსების გამოყოფა, უფლებების დარღვევასთან პირდაპირი მიმართვისთვის

ფინანსური რესურსების გამოყოფა შესაძლოა აგრეთვე სავალდებულო გახდეს. ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ინსტიტუციებს მნიშვნელოვანი როლი აქვს ქვეყნების მოტივირებაში, რათა მათ შეძლონ გადადგან სათანადო ნაბიჯები.

მაგალითად, განათლების უფლება შესაძლოა საჭიროებდეს, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ზომები მიიღოს გოგონებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობაში. მსგავსად, სათანადო საცხოვრებლის უფლება შესაძლოა მთავრობისგან მოითხოვდეს არა მხოლოდ უარყოფითი ზომების მიუღებლობას, როგორც არის ხალხის ძალადობრივად გამოსახლება მათი სახლებიდან და მიწებიდან, არამედ ავალდებულებდეს მთავრობას მიიღოს სათანადო დებულება სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ჯგუფებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი საცხოვრებელი. ჯანმრთელობის უფლება ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს დადებითი ზომები იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა არსებულ მედიკამენტებზე, როგორც მითითებულია მაგალითში.

დადებითი ზომები ზოგადად მოითხოვს უფლებების პროგრესულ რეალიზებას განვითარების პროგრამებისა და ექსპედიციური რესურსების სახით. (მაგ. დებულების სერვისები)

პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც ქმნის კავშირს ქალთა და კაცთა თანასწორ უფლებებს შორის და არის აგრეთვე ქალების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისთვის სათანადო. ადამიანის უფლებების კომიტეტის ძირითადი მითითება # 28 ამტკიცებს რომ:

3. [...] მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითავისოს არა მხოლოდ დაცვასთან დაკავშირებული ზომები, არამედ აგრეთვე დადებითი ზომები ქალთა თანასწორუფლებიანობის გაძლიერებისა და ეფექტურობის მიღწევისთვის. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში ქალთა უზუალო როლის შესახებ, რათა კომიტეტმა სათანადო ზომები მიიღოს, სამართლებრივ დებულებებთან ერთად. აგრეთვე უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა ეს ვალდებულებები იყოს ეფექტური, შედეგის მომცემი. გამოკვეთილი უნდა იყოს ისიც, თუ რა სირთულეების წინაშე დგას სახელმწიფო და რა ზომებია მიღებული მათ დასაძლევად.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი მონიტორინგს უწევს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის განხორციელებას. კომიტეტმა გამოსცა პაქტში შემავალ უფლებებთან დაკავშირებით ძირითადი კომენტარები, რომლებიც ეხება მათ გამოყენებას ქვეყნის შიდა სფეროში და მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტთან. კომიტეტი აგრეთვე შეეხო ქალთა უთანასწორობას პაქტის მიერ აღიარებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების გათვალისწინებით; ზოგადი მითითება #16, პაქტის მესამე მუხლი

მაგალითი: ფინანსური რესურსების გამოყოფა აივ / შიდსით დაავადებულთათვის

სახელმწიფოს შეუძლია შიდსით და აივ ინფექციით დაავადებულ პირებს უარი უთხრას ფინანსურ დამარებაზე მის საზღვრებს შიგნით. ქალები ინფიცირდებიან და იღუპებიან ამ დაავადებით. შედეგად ქალის უფლება, თანაბრად სარგებლობდეს ჯანმრთელობის უფლებით, დარღვეულია.

ამ შემთხვევაში ეს დარღვევა სახელმწიფოს მარცხით არის გამოწვეული.

სიტუაციის გამოსასწორებლად სახელმწიფო ვალდებულია, რომ იმოქმედოს - მიიღოს დადებითი ზომები მაგ. ჩამოაყალიბოს აივი/შიდსის თავიდან აცილების სტრატეგიები; გაანათლოს საზოგადოება და ჩამოაყალიბოს კონკრეტული მკურნალობის პროგრამები (მაგ. სანინაალმდეგო რეტროვირუსი) და პროგრამები, რომლის საშუალებითაც დაეხმაროს ინფიცირებულ პირებს.

კომიტეტის კომენტარები მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხასიათი და შემადგენლობა. ისინი მოიცავს კომენტარებს ფართო თემებსა და საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა უფლებები: მუშაობის, სათანადო საცხოვრებლის, განათლების და ჯანმრთელობის. ისინი შეიცავენ ცნობებს ქალების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ.

შემდეგ გვერდზე არის მოწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის შესაბამისობა ძირითად კომენტარებთან.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის დამატებითი დებულება

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის დამატებითი დებულება დამტკიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2008 წლის 18 ივნისს. ის გვანვდის მექანიზმს, რომლითაც შესაძლებელია ინდივიდუალურ საჩივრის შეტანა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გაერთიანებული ერების კომიტეტში, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეროვნულ დონეზე ვერ იქნა განხილული.

იგი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების უკეთეს ხელშეწყობას და დაცვას:

- პაქტთან შეერთებით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ დებულებას, რომლის მიხედვითაც ისინი აღირებენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გაერთიანებული ერების კომიტეტის კომპეტენტურობას, მასზედ, რომ მიიღონ და განიხილონ ინფორმაცია პაქტში მოწოდებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევის შესახებ.
- დებულება შესაძლებელს ხდის ე.წ „დროებითი ღონისძიებების“ ჩატარებას. მისი განხორციელებით კომიტეტს საშუალება ეძლევა მონაწილე სახელმწიფოს გადაუგზავნოს მისი გადაუდებელი განხილვისთვის თხოვნა, რომ მონაწილე სახელმწიფომ მიიღოს ისეთი დროებითი ზომები, რომელთა საშუალებითაც თავიდან იქნება აცილებული დარღვევების მოსალოდნელ მსხვერპლთა მიმართ მიყენებული ზიანი.
- დებულება ასევე აყალიბებს სავალდებულო პროცედურას და აცხადებს, რომ თუ კომიტეტი ვერ მიიღებს სანდო ინფორმაციას პაქტის დარღვევის შესახებ, კომიტეტმა უნდა შესთავაზოს მონაწილე სახელმწიფოს თანამშრომლობა, რათა

გამოიკვილონ ეს ინფორმაცია და შეიტანონ დაკვირვების სარჩელი ამ ინფორმაციის შესახებ. გამოკითხვა შეიძლება შეიცავდეს მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სტუმრობასაც.

დებულება მოითხოვს რომ ყველა საჭირო ზომა იქნეს მიღებული, იმისათვის რომ უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების დაცულობა რაიმე სახის დაშინების ან არასწორი მოქცევისაგან.

ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიერ წარდგენილი საჩივარი, რომლებმაც მოაწერეს ხელი ფაკულტატიურ პროტოკოლს.

ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების	შენიშვნის ნომერი	თარიღი
სოციალური დაცვის უფლება	19	2007
შრომის უფლება (მუხლი მე-6)	18	2005
თითოეული ადამიანის უფლება ისარგებლოს მეცნიერულ, ლიტერატურულ და სამხატვრო ნაწარმოებებიდან	17	2005
ქალის და მამაკაცის თანაბარი უფლება ისარგებლონ ნებისმიერი სახის ეკონომიკური, სოციალური წყლის მიწოდების უფლება (მე-11 და მე-12 მუხლი)	16	2005
ჯანმრთელობის მდგომარეობის უმაღლესი	15	2002
ჯანათლების უფლება (მუხლი 13)	14	2000
საკმარისი რაოდენობის საკვების მიღება (მუხლი 11)	13	1999
საწყისი განათლების მიღების გეგმა (მუხლი 14)	12	1999
ეროვნული სამართალდამცავი დაწესებულებების როლი ეკონომიკურ, სოციალურ და პაქტის შიდასახელმწიფოებრივი გამოყენება	11	1999
კავშირი ეკონომიკურ სანქციებსა და ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების	10	1998
სათანადო საცხოვრებელი პირობების უფლება:	9	1998
მოხუცი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და შებენი უფლებების შესაძლებლობების მქონე პირები	8	1997
კეთილმონყობილი საცხოვრებელი პირობები	7	1997
	6	1995
	5	1994
	4	1991

რეგიონალური სისტემები

რეგიონალური დოკუმენტების მიმოხილვა, რომლებიც ეხება ქალთა უფლებებს და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მუშაობას, სცილდება წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებს. თუმცა ძირითადი რეგიონალური აქტები მოცემულია მე-3 დანართის ცხრილში და ეხება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გარკვეულ ნაწილს.

ნაწილი 3.

ადამიანთა უფლებების მიღება ქვეყნის შიდა გამოყენებისათვის

როგორ ხდება საერთაშორისო ან რეგიონალური სამართლებრივი აქტი ეროვნული ან ქვეყნის შიდა

კანონმდებლობის ნაწილი? სწორედ ეს შეკითხვა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობისა, რომელიც იძლევა ადამიანთა უფლებების გამოყენების შესაძლებლობას სასამართლომდე. გზას, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო სამართალი ხდება შიდა კანონმდებლობის ნაწილი, წარმოადგენს იურიდიულ კონცეფციას, რომელსაც "ტრანსფორმაცია" ეწოდება. ტრანსფორმაციის გზა დამოკიდებულია ქვეყანაზე და მის წყობაზე, არის ეს ქვეყანა „დუალისტური“ თუ "მონისტური". ყველაზე გავრცელებული სამართლის იურისდიქცია არის დუალისტური, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ინსტრუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ იგი თანხვედრაში მოდის ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასთან. მაგალითად, თანამეგობრობის ქვეყნები, როგორცაა კანადა და ინდოეთი, მისდევენ საერთო სამართლის ტრადიციებს, ისევე, როგორც საუკეთესო ანგლოფონური ერები აფრიკაში. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო სამართლის სისტემების მრავალი ქვეყანა „მონისტურია“ და ისინი ავტომატურად თანხმდებიან რატიფიცირებულ ინსტრუმენტებს, როგორც შიდა კანონმდებლობის ნაწილს. მაგალითად, 1983 წლის ჰოლანდიის კონსტიტუციის 94-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულებების უპირატესობას. ანალოგიური მონისტური მიდგომა აქვს საფრანგეთს, გერმანიის და სხვა ქვეყნებს სამოქალაქო სამართლის ტრადიციასთან ერთად, მათ შორის ფრანკოფონიის ქვეყნები აფრიკაში.

ა. საერთაშორისო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ქვეყნის შიდა გამოყენება

ლიბერტის პრინციპებისა და მასტრიხტის მითითებების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, განახორციელონ საერთაშორისო

სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს შიდა სამართლებრივი წესით. ფაქტობრივად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი მითითება №3 იმდენად შორს მიდის, რომ საერთაშორისო პაქტის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ ზოგიერთი დებულება არის თვითგანხორციელებადი და ძალაში შესასვლელად არ საჭიროებს ფორმალურ თანხვედრობას ეროვნულ კანონმდებლობასთან. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის კანონმდებლობა, ქალთა სრულ განვითარებისა და წინსვლის უზრუნველსაყოფად. ეს ეხება ყველა სფეროს, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებებით ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიან სარგებლობას.

ბ. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი ადგილობრივ ქალთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების უფლებების გათვალისწინებით

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ქვეყნის შიდა გამოყენებაზე. ისინი მხარს უჭერენ ქალთა თანასწორობის მიღწევას კონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მეშვეობით, სვავენ რა სამ კითხვას:

1. იქნა თუ არა ეს ინსტრუმენტი რატიფიცირებული მთავრობის მიერ?

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ მოითხოვოს, სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შესრულება საერთაშორისო დოკუმენტის ეროვნულ კანონმდებლობასთან ინკორპორირების გზით (იხ. ზემოთ). უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ, შეიმუშავოს და განახორციელოს პროგრამა, რომელიც უბიძგებს სახელმწიფოს რატიფიკაციისაკენ. ანალოგიურად, თუ სახელმწიფომ მოახდინა

დოკუმენტის რატიფიკირება, მაგრამ მისი გამოყენება ხდება შესწორებული ვარიანტით, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ შესწორებაზე და მოსთხოვოს სახელმწიფოს მათი ამოღება.

2. საჭიროა თუ არა იმპლემენტირებული კანონმდებლობა?

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლია აქტიურად უბიძგოს სახელმწიფოს, განახორციელოს საკანონმდებლო ინიციატივა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ აგრეთვე განიხილონ კანონპროექტის პროექტი, რათა უზრუნველყონ, მასში შეტანილი დებულებების შესაბამისობა ხელშეკრულების ვალდებულებებთან.

3. თუ სახელმწიფოს არ სურს გადადგას აუცილებელი ნაბიჯები კანონმდებლობის განსახორციელებლად?

ასეთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლია სასამართლოში წამოაყენოს პრეტენზიები, და კონვენციები მაინც ირიბად იმოქმედებს შიდა კანონმდებლობაზე. არსებობს მთელი რიგი საერთო სამართლის საქმეები, რომლებიც არსებითად გადაწყვეტს იმას, რაც იქნება ორაზროვანი შიდა კანონმდებლობით, სახელმწიფო შიდა კანონმდებლობა განიმარტება ისე, როგორც შეესაბამება სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებებს. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ასევე შეუძლია დაუმტკიცოს, რომ თანამეგობრობის სასამართლოებმა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობასთან ინტერპრეტაციით. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს აქვს ასევე ქმედითი და მუდმივი ვალდებულება მიმდინარე პროცესებზე დაყრდნობით მისცეს რჩევები მთავრობას ყველა ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით.

ნაწილი 4.

სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტი, პრინციპები და სახელმძღვანელოები

კონვენციებისა და შეთანხმებების გარდა, არსებობს სხვა ინსტრუმენტები, როგორცაა დეკლარაციები, პრინციპები, გაიდლაინები, სტანდარტები, წესები და რეკომენდაციები. მსგავსი ტიპის სამართლებრივ აქტებს ეწოდებათ „რბილი“ სამართალი. ესენი არიან არა სახელმწიფოებო სტანდარტები, როგორც წესი, მაგრამ არა ყოველთვის, გაეროს სისტემის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად სავალდებულო არ არის დადგენილი, რბილი კანონი ხელს უწყობს და ხსნის ხელმწიფოების დებულებებს და ავითარებს ახალ სტანდარტებს საერთაშორისო სამართლის სფეროში. მას გააჩნია დამაჯერებელი უფლებამოსილება, და / ან უდგენს პრაქტიკულ გაიდლაინებს სახელმწიფოებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს და სხვა უწყებებს ხელმწიფოების ვალდებულებების შესრულებისათვის. თანხვედრა გამოცემულ დოკუმენტებსა და შეთანხმებებზე ასევე აისახება მის შემდგომ განვითარებაზე. ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კონტექსტში დანვრილებითი მითითება უნდა გაკეთდეს ვენის დეკლარაციისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმაზე.

ამ სექციაში განხილულია ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ:

- ლიმბურგის პრინციპები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო აქტის განხორციელების შესახებ (ლიმბურგის პრინციპები) 1986

- მაასტრიხტის მითითებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების შესახებ (მაასტრიხტის მითითება) 1997
- მონრეალის პრინციპები ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მონრეალის პრინციპები) 2002
- ეროვნული ინსტიტუტების სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები (პარიზის პრინციპები) გენერალური ასამბლეის 48/134 რეზოლუცია, 1993 წლის 20 დეკემბერი

ლიმბურგის პრინციპები

1986 წელს, ლიმბურგის უნივერსიტეტში მაასტრიხტში, ნიდერლანდებში, შეიკრიბა საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა ჯგუფი. მათ შეიმუშავეს პრინციპები, სახელწოდებით "ლიმბურგული პრინციპები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტის განხორციელების შესახებ", რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო პაქტის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საკვანძო დებულებების ინტერპრეტაციას. ლიმბურგის პრინციპები წინ უძღოდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი მითითება No. 3 (1990) აქტის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ და რომელმაც გავლენა მოახდინა ზოგად შენიშვნებზეც. ლიმბურგის პრინციპები ასევე განიხილავს სახელმწიფოების მოხსენებებს აქტის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შესახებ. ლიმბურგის პრინციპები ქმნის საყოველთაო კავშირს, მესამე ნაწილს, საერთაშორისო პაქტის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ თანასწორობის ნაწილსა და დეკლარაციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ შორის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამ ორი ინსტრუმენტის ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს ქალთა უფლებების პატივისცემის სტრატეგიას ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ჭრილში.

მაასტრიხტის მითითება

ლიმბურგის პრინციპების შემუშავებიდან 10 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდგომ, საერთაშორისო იურისტთა კომისიის (ჟენევა, შვეიცარია), ადამიანის უფლებათა დაცვის ურბან მორგან ინსტიტუტის (ცინცინატი, ოჰაიო, აშშ) და მასტრიხტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანთა უფლებების ცენტრის (ჰოლანდია) მოწვევით მასტრიხტში გაიმართა ოცდაათი ექსპერტის შეხვედრა. ამ შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ლიმბურგის პრინციპების დაზუსტება, გაუმჯობესება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევის გათვალისწინებით და შესაბამისი რეაგირებისა და საშუალებების მოძებნა. შედეგად შემუშავდა მასტრიხტის მითითება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების შესახებ. ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებაში იყო აღიარებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში და გათვალისწინებული იქნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ქალთა თანასწორობის სტანდარტი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, მათ შორის, სოციალური, კულტურული და სხვა სტრუქტურული უარყოფითი ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ გენდერულ დისკრიმინაციას. ეს სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან მიმართებით, რადგან ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების დარღვევების გააზრებას და განსაზღვრავს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, კერძოდ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მონიტორინგისა და გადანაცვებების მიღებას.

მონრეალის პრინციპები

მონრეალის პრინციპები მიიღეს ექსპერტთა შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა 2002 წლის, 7-10 დეკემბერს, მონრეალში, კანადა. ეს პრინციპები მიზნად ისახავს არადისკრიმინაციულ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თანაბარ გამოყენებასა და სარგებლობას, რომელიც განსაზღვრულია მე-3 და მე-2 (2)

მუხლებით, ისევე როგორც საერთაშორისო პაქტში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, რისი საშუალებითაც ქალებს შეუძლიათ სრულად ისარგებლონ აღნიშნული უფლებებით.

პრინციპებით განისაზღვრა ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შინაარსი და სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნული დეტალურად მოცემულია ქვემოთ.

ცხოვრების სათანადო დონე მოიცავს:

- საკვები და შიმშილის დაძლევა
- წყალი
- ტანისამოსი
- საცხოვრებელი და თავისუფლება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის
- საცხოვრებელი პირობების უწყვეტი გაუმჯობესება
- კეთილდღეობა (რაც გულისხმობს ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის უმაღლეს მიღწევად სტანდარტს ქალთა ცხოვრების განმავლობაში, მათ შორის რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობასა და თავისუფლებას)
- მინის და ქონების თანაბარ საკუთრებასა და მემკვიდრეობას
- სოციალური დახმარების უფლებას, რომელიც მოიცავს სოციალურ უსაფრთხოებას, სოციალურ დაცვას, სოციალურ დაზღვევას და სოციალურ მომსახურებას, მათ შორის განსაკუთრებულ დახმარებას, მშობიარობამდე, მშობიარობისას და მის შემდეგ
- ტრენინგი და განათლება
- დასაქმების უფლება მოიცავს თავისუფლად არჩეულ სამუშაოს, ისევე როგორც სამართლიან და ხელსაყრელ პირობებს, მათ შორის, სამართლიანი ხელფასის, თანაბარი ანაზღაურებისა და სექსუალური შევიწროებისა და სქესობრივი დისკრიმინაციისგან დაცვას
- პროფესიული კავშირების შექმნისა და გაერთიანების უფლება
- ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვა

- დაცვა იძულებითი და გაუთვითცნობიერებელი ქორწინებისაგან;
- სუფთა და ჯანსაღი გარემო
- მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში
- ინტელექტუალური საკუთრებისა და პატენტის სარგებლიანობის მოთხოვნა და სარგებლობა
- სახელმწიფო სტატუსის მინიჭება და ბავშვებისათვის მოქალაქეობის მიცემა
- ტრეფიკინგისა და ექსპლოატაციისაგან გათავისუფლება; ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვის აღიარება

პარიზის პრინციპები

ეროვნული ინსტიტუტების სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები (ცნობილია, როგორც პარიზის პრინციპები), მხარდაჭერილი იქნა გაეროს გენერალურ ასამბლეას მიერ 1993 წელს. პარიზის პრინციპები წარმოადგენს საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სტატუსისა და როლის შესახებ. აღნიშნული პრინციპები შემუშავდა 1991 წელს პარიზში ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლების გაეროს სპონსორობით მოწყობილ შეხვედრაზე და შემდგომში დადასტურებული იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიისა და გენერალური ასამბლეის მიერ. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს აქვს განსაკუთრებული სტატუსი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო თანამეგობრობაში. როგორც წესი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, რომლებიც შეესაბამება პარიზის პრინციპებს, აქვს უნიკალური მანდატი ადამიანის უფლებების სფეროში სამუშაოდ. ისინი კანონით დადგენილ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომლებიც განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ფუნქციებს განსაზღვრავენ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ინსტიტუტები თანხვედრაშია მთავრობის ლეგიტიმურობასა და უფლებამოსილებასთან, დამოუკიდებელ და "watch-dog" ფუნქციით, რომელიც მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების პარალელურად. ეს მათ აძლევს მათ სტატუსს, გამოცდილებას, სანდოობას და უფრო მეტ წვდომას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ვიდრე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ადამიანის

უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები გარკვეულწილად შესაძლებელია იყოს კატალიზატორი და დადებითი ცვლილების მომტანი ადამიანის უფლებებთან მიმართებაში.

პარიზის პრინციპები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისგან მოითხოვს, რომ ჰქონდეს:

- დამოუკიდებლობა
- ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის კომპეტენცია
- ნათლად ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ან საკანონმდებლო და ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სტანდარტებზე დაფუძნებული ფართო მანდატი
- პლურალიზმი რიგით წევრებსა და თანამშრომელთა შორის
- მანდატების შესასრულებლად საკმარისი რესურსი და ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულება
- გამოძიების სათანადო შესაძლებლობები
- მთავრობასთან, არასამთავრობო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მეთოდოლოგია

საქმიანობის თვალსაზრისით პარიზის პრინციპები მოუწოდებენ ნაციონალურ ინსტიტუტებს:

- წარმოადგინონ ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ მოსაზრებები, რეკომენდაციები, წინადადებები და ანგარიშები
- ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის, რეგულირებისა და პრაქტიკის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ადამიანის უფლებათა აქტებთან, როდესაც სახელმწიფო წარმოადგენს მხარეს და მათი ეფექტური განხორციელება
- ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაციას ან ამ დოკუმენტებთან მიერთებას და მათი განხორციელების უზრუნველყოფას

- წარადგინოს ანგარიშები, რა დროსაც სახელმწიფო ვალდებულია დაემორჩილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობასა და კომიტეტებს და საჭიროების შემთხვევაში გამოხატოს მოსაზრება, ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გათვალისწინებით
- ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და გაერთიანებული ერების სისტემის სხვა ორგანიზაციებთან, რეგიონალურ ინსტიტუტებთან და სხვა ქვეყნების ეროვნულ ინსტიტუტებთან
- დაეხმაროს ადამიანის უფლებათა განათლებისა და კვლევითი პროგრამების ჩამოყალიბებაში და მონაწილეობა მიიღონ მათ შესრულებაში
- გამოაქვეყნონ ადამიანის უფლებები და იბრძოლონ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდით, განსაკუთრებით ინფორმაციისა და განათლების გზით და ყველა სახის პრესის გამოყენების საშუალებით

გარდაამისა, ეროვნულ ინსტიტუტებს უფლება აქვთ მოისმინონ და განიხილონ ინდივიდუალური საჩივრები და პეტიციები ინდივიდუალური უფლებების დარღვევის შესახებ. მათ ასევე შეუძლიათ წაახალისონ და ხელი შეუწყონ შუამდგომლობას და ალტერნატიულ დავის გადაწყვეტას რეკომენდაციებისა და შესაბამისი საშუალებების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის პრინციპები არ აძლევენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს კონკრეტულ მითითებებს, პრინციპები აცხადებენ, რომ "ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს კომპეტენცია ადამიანის უფლებების მხარდაჭერად და დასაცავად". ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს უნდა მიენიჭოთ „მაქსიმალურად ფართო მანდატი“ და ეს უნდა იყოს "ნათლად ჩამოყალიბებული კონსტიტუციურ ან საკანონმდებლო ტექსტში", რომელიც განსაზღვრავს "კომპეტენციის სფეროს". ისინი ასევე აცხადებენ, რომ "ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს უნდა დაეკისროს კომპეტენცია ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად და დასაცავად", რომელიც მოიცავს ქალთა და მამაკაცთა უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფას დისკრიმინაციის გარეშე.

ანალიზი

რა არის თარგმანი? თარგმანი არის ისეთი პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია დამყარდეს ეკვივალენტური დამოკიდებულება ორ სხვადასხვა ენაზე გამოხატულ ტექსტს შორის. თარგმანი გახლავთ მეტყველების რთული და მრავალნაზნაგოვანი მოვლენა, რომლის სხვადასხვა ასპექტი ლიტერატორების, ფსიქოლოგების, ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების ყურადღებას იპყრობს. (თარგმნის ტექნიკა)

თარგმანს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ენოდნენ ადამიანები მთარგმნელობით მოღვაწეობას. თარგმანის ისტორიის გაანალიზებისას ცხადი ხდება, რომ მან განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. საწყის ეტაპზე თარგმანი თავისუფალი იყო და არ მოეთხოვებოდა დედანთან მიახლოებული სიზუსტე. უფრო მეტიც, მთარგმნელები ხშირად თავიანთ, ორიგინალურ ლექსს ან ტექსტს ემნიდნენ, რომელიც ეყრდნობოდა ორიგინალში მოცემულ შთაბეჭდილებას.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე ძირითადად თარგმნიდნენ მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში სწრაფმა მეცნიერულტექნიკურმა პროგრესმა ტექნიკურ თარგმანს ისეთივე მნიშვნელოვანი პრაგმატიკული დატვირთვა მიანიჭა, როგორც ლიტერატურულს. (ანა თენიშვილი, 2010:18)

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა თარგმანის ზოგადთეორიულ, თუ პრაქტიკულ საკითხებს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რაც, თავისთავად, მოწმობს თარგმანის თეორიის მომძლავრებას და მის დამკვიდრებას სხვა ფილოსოფიური დისციპლინების გვერდით. (ია რჩეულიშვილი, 2017: 133)

თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, განსაკუთრებით საქართველოსათვის. თარგმანი დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების დროს, სამეცნიერო, ტექნიკური თუ კულტურული გაცვლების დროს. იგი ეხმარება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს გადალახონ ენობრივი ბარიერი. მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის მეშვეობით სრულად და ზუსტად გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი ისე, რომ არ დაირღვეს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებები. მან უნდა მოახდინოს

არა ცალკეული გრამატიკული ან სინტაქსური კონსტრუქციების შეპირისპირება, არამედ სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფების შეპირისპირება, რომლებიც ერთ აზრობრივ მთლიანობას შეადგენენ. (თარგმნის ტექნიკა)

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს თარგმანის შეფასება. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თარგმანი, რომ მან მკითხველისა თუ კრიტიკოსების მხრიდან დადებითი შეფასება და მოწონება დაიმსახუროს.

თარგმანის შეფასების კრიტერიუმებთან და თარგმანის კრიტიკასთან დაკავშირებით ქართულ ენათმეცნიერებაში გარკვეული მოსაზრებები არსებობს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პრობლემის დალი ფანჯიკიძისეული მიმოხილვა, რომელშიც მოცემულია საკითხის კომპლექსური ანალიზის მცდელობა. მიმოხილავს რა თანამედროვე მხატვრული თარგმანის საკითხებზე არსებულ ქართულ კრიტიკულ ლიტერატურას დ. ფანჯიკიძე რიგ ტენდენციებს გამოკვეთს. დალი ფანჯიკიძე თავის ესეში „ქართული მხატვრული თარგმანი“ წერს: „ერთი შეხედვით ქართული თარგმანმცოდნეობა ღარიბულად არ გამოიყურება, მაგრამ იშვიათია ისეთი ნაშრომები, სადაც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეფასდებოდა ამა თუ იმ მთარგმნელის ღვაწლი. თვით ივ. მაჩაბლის შემოქმედებაც კი, რომელიც ქართული თარგმანის ეტალონად არის აღიარებული, არ არსებობს სერიოზული გამოკვლევა, მისი თარგმანები ლამის აპრიორულადაა დედნის კონვენიალურად მიჩნეული. ასევე, ყოველგვარი ანალიზის გარეშე ივსება გამორჩეულ მთარგმნელთა სია მაჩაბლიდან მოყოლებული დღემდე.

კანონზომიერი იქნება დავსვათ კითხვა: მაშ რის საფუძველზე ხდება მთარგმნელთა გამორჩევა? რა კრიტერიუმებით ფასდება ჩვენში თარგმანი? ჩემი აზრით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თარგმანის შეფასება ჩვენში ენის დონეს არ სცილდება, უფრო მეტიც, გაბატონებულია ყოველად აბსურდული აზრი: როგორ დანერდა ავტორი ამ ნაწარმოებს, იგი რომ ქართველი ყოფილიყო, „ქართველობაში“ კი მხოლოდ და მხოლოდ გამართული ქართული წერა იგულისხმება ჩემი აზრით, გამართული ქართული არის ის აუცილებელი წინაპირობა, რის საფუძველზეც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად მივიჩნევთ, მის გამორჩეულ ფაქტად აღიარებას კი დედანთან მისი სტილისტური

ადეკვატურობის ხარისხი განაპირობებს, სტილისტური ადეკვატურობის ცნება თავის მხრივ სწორედ იქაა საძებარი, რომ უცხო ავტორი არ შეიძლება ქართველივით წერდეს, „სიუცხოვე“ ყოველი თარგმნილი ნაწარმოების აუცილებელი თანმდევი ნიშანია და რაც მთავარია, იგი გამართული ქართული ენით თარგმანს სულაც არ უპირისპირდება“. (დ. ფანჯიკიძე: 255)

ნებისმიერი ნაშრომისათვის, რომელიც თარგმანის თეორიას ეხება უმნიშვნელოვანესია შეფასების კრიტერიუმების დადგენა. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი მეცნიერი გ.წიბახაშვილი წერს: „დღევანდელი თარგმანთმცოდნეობის არსებითი ნაკლია ის, რომ ბევრს ლაპარაკობენ, როგორი უნდა იყოს თარგმანი, მაგრამ იშვიათად ჩნდება კონკრეტული რეკომენდაციები დასახული მიზნის მისაღწევად და კიდევ უფრო იშვიათად – რა ნიშნის მიხედვით შეიძლება თარგმანის თუნდაც მიახლოებული შეფასება დადებითად და უარყოფითად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა ისეთი ობიექტური კრიტერიუმების დაძებნა, რომლებიც შედარებით თავისუფალი იქნებიან განუკითხავი სუბიექტივიზმისაგან, რომელიც ხშირად ეშვება პრიმიტიული „მე მომწონს“ – „მე არ მომწონს“ დონემდე. არადა, თარგმანთმცოდნეობაში დღეს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ შეფასების კრიტერიუმების დადგენა მიგვაჩნია, რადგან არავინ დავობს იმაზე, რომ თარგმანი დედნის იდენტური უნდა იყოს, ოღონდაც ეს სავსებით გასაზიარებელი აზრი იხლიჩება იდენტურობის გაგების სხვადასხვა ვარიანტების შეჯახებისას“. (წიბახაშვილი, 2000: 14)

საინტერესოა ცნობილი მთარგმნელი იუჯინ ნაიდას მიერ თავის სტატიაში „თარგმანის ხელოვნებისათვის“ ჩამოყალიბებული ის მახასიათებლებლები, რომლებიც ზოგადად კარგ თარგმანს მოეთხოვება:

1. „მთარგმნელს უნდა ესმოდეს ან გაეგებოდეს ორიგინალის სიტყვა, როგორც აზრობრივად, ისე სტილურად“.
2. „მან უნდა დაძლიოს ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის არსებული განსხვავება“.
3. „თავის თარგმანში მან უნდა ახლად შექმნას ორიგინალის სტილისტური სტრუქტურა“ (ნაიდა, 2013: 140)

ჩემი აზრით, მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, თარგმანი, იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ მეტ-ნაკლებად კარგად შესრულებულ სამუშაოდ, როდესაც სამიზნე ენის მკითხველს შინაარსობრივი და აზრობრივი თვალსაზრისით თარგმანის კითხვის დროს პრობლემა არ ექმნება, მიუხედავად იმ დიდი კულტურული თუ ენობრივი ბარიერისა, რომელიც შეიძლება არსებობდეს წყარო ენისა და სამიზნე ენის მატარებელთა შორის.

საკმაოდ ბევრი თეორია არსებობს ასევე სრულყოფილი თარგმანის შექმნასთან დაკავშირებით. მრავალი მთარგმნელი თუ თეორეტიკოსი აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, უნდა შევჯერდეთ, რომ არ არსებობს დადგენილი სტანდარტი, რომელიც დადებითად ან უარყოფითად შეაფასებს მთარგმნელის მიერ გაწეულ სამუშაოს. შეფასება, ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად სუბიექტურია.

როგორც წესი, გამოყოფენ მხატვრული და არამხატვრული ხასიათის ტექსტის თარგმანს. არამხატვრული თარგმანი გულისხმობს ინფორმაციულ თარგმანს, რომლის ერთ-ერთი სახეობაა ტექნიკური თარგმანი. (ანა თენიშვილი, 2010:18) ორივე მათგანი გარდა წყარო ენისა და სამიზნე ენის ზედმიწევნით კარგად ცოდნისა, მთარგმნელისგან დამატებით მოითხოვს აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომასა და ტექნიკას. თუკი მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას ძირითად სირთულეებს, რომელთა გადალახვაც აუცილებელია მთარგმნელისთვის, წარმოადგენს ორიგინალის მხატვრულ-ესთეტიკური ღირსება და მისი ინდივიდუალურ-ავტორისეული თავისებურებების გადმოცემა, ინფორმაციული თარგმანის დროს უმთავრეს სირთულეს ენობრივი ხასიათი ექმნის. (თარგმანი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი).

მაშასადამე, მხატვრული ტექსტები, რომლებიც მაღალი პრაგმატიკულობით ხასითდება, მთარგმნელის მხრიდან სხვანაირ მიდგომას მოითხოვს, ვიდრე ნებისმიერი სახის ინფორმაციული ტექსტი, რომლის პრაგმატიკულობა ბევრად უფრო სუსტია. ტექნიკური ტექსტის თარგმნა, პირველ რიგში, მოითხოვს უცხო ენის ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. მხატვრულ ტექსტში გაცილებით მეტი ენობრივი ხერხი გამოიყენება, ვიდრე ტექნიკურში. ეს აქტუალურია როგორც ტექსტურ, ასევე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე. მხატვრული ტექსტი ლინგვისტური

თვალსაზრისით გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ტექნიკური. მხატვრული ლიტერატურის თარგმანი მთარგმნელს საშუალებას აძლევს ფანტაზია “გაივარჯიშოს”, გამოიყენოს აზრის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება და ამით თარგმანში ჩადოს თავისი სულის ნაწილი, რაც შეზღუდულია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმნის დროს მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. (ანა თენიეშვილი, 2010:76)

ჩემ მიერ სათარგმნად არჩეული სახელმძღვანელო „ქალთა თანასწორობა“ არის იურიდიული ლიტერატურა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, დავასახელოთ იურიდიული ტექსტისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები: ნეიტრალური „მშრალი“ ტონი, ინფორმაციის სიზუსტე და კომპაქტურობა, სპეციალური ტერმინების გამოყენება და ემოციურობის ნაკლებობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ სახის ტექსტებში საერთოდ არ გამოიყენება ის ხერხები, რომლებსაც მრავლად ვხვდებით მხატვრულ ლიტერატურაში (ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა და ა.შ.). სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში საერთოდ არ იგრძნობა ავტორის დამოკიდებულება ნათქვამისადმი ე.ი. ტექსტური მოდალობა. სწორედ ამიტომ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს ტექსტები ნეიტრალური სტილისაა. (ანა თენიეშვილი, 2010:11)

ჩემ მიერ სათარგმნად არჩეული სახელმძღვანელოც იზიარებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას. მასში გამოყენებულია მრავალი ტერმინი, სხვადასხვა აბრევიატურა, დამახასიათებელია სინტაქსური კონსტრუქციები; სათაურებისა და ქვესათაურების სიმრავლე; აზრი გადმოცემულია მაქსიმალურად ცხადად, ლოგიკურად და ზუსტად; შინაარსობრივი თვალსაზრისით ორზომოვნება და ბუნდოვანება იშვიათად თუ იჩენდა თავს თარგმანზე მუშაობისას. სათარგმნ ტექსტს ახასიათებს ფაქტების განმარტების ერთმნიშვნელოვნება და კონკრეტულობა. ტექსტი არ შეიცავს ნაგულისხმევ აზრსა და გადატანით ნათქვამ წინადადებებს, ყველაფერი პირდაპირ არის ნათქვამი. ტექსტში გამოყენებულია სამეცნიერო-იურიდიული სამეტყველო სტილი. მოცემული სახელმძღვანელოში არ ვხვდებით მოჭარბებულ ემოციურობას, შედარებებს, მეტაფორებს, იუმორსა და ირონიას. ტექსტში ესთეტიკური მომენტისა და ფრაზეოლოგიზმების

ნაკლებობა; სუსტი პრაგმატიკული მომენტი; ემოციური შეფერილობის ნაკლებობა; ეროვნული რეალიების ნაკლებობა. (ანა თენიეშვილი, 2010:65)

ყველა უცხოენოვანი ტექსტის მთარგმნელმა კარგად იცის, რომ თარგმანზე მუშაობისას დიდი სირთულეები ხვდება. დამწყები თუ კვალიფიციური მთარგმნელისთვის უმთავრესი ამოცანაა შეიგრძნოს სტატიის, წიგნის, ნაშრომის, ინსტრუქციის სტილი, გადმოგვცეს ყველა ნიუანსი ისე, რომ არ დაამახინჯოს პირველწყარო. ყველა ვინროსპეციალიზირებული მასალა, სამეცნიერო - ტექნიკური ტერმინოლოგიით, იქნება ეს სამეცნიერო მოხსენებები ან ტექნიკური ნაშრომები, ან სრული კომპლექტი ტექნიკური დოკუმენტაციისა, ყოველივე ეს ტექნიკური ტექსტების მთარგმნელთა პრეროგატივაა, რომელთა უმთავრესი ამოცანაა ინფორმაციის სრული მიწოდება ადრესატისათვის. კარად შესრულებული თარგმანი უნდა იყოს ლოგიკურად გააზრებული, დოკუმენტის სტილი შენარჩუნებული და ტერმინოლოგიის სპეციფიკა გათვალისწინებული. (ტექნიკური ტექსტის თარგმანის საფუძვლები)

რადგანაც ჩემი გამოკვლევების საგანია იურიდიული ტექსტი, მისი ლინგვისტური მახასიათებლები და თარგმნის პრობლემები, მიზანშეწონილად მიმაჩნია, განვიხილო ის ძირითადი პრობლემები და მახასიათებლები, რომლებსაც მე, როგორც დამწყები მთარგმნელი, წინამდებარე სახელმძღვანელოზე მუშაობისას წაუვწყდი.

პირველი და ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა, რაც იურიდიულ ტექსტზე მუშაობისას გამომჟღავნდა არის: აბრევიატურები და შემოკლებების სიმრავლე, რომელიც ზოგჯერ დარგის სპეციალისტებისთვისაც კი არ არის გასაგები. მაგრამ არსებობს ისეთი საერთაშორისო შემოკლებები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. ისინი მოითხოვენ თარგმანს. მე, როგორც მთარგმნელს, მომიწია, თავდაპირველად, თითოეული მათგანის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოძიება, შემდეგ კი მათი გაშიფვრა. ჩემს შემთხვევაში აბრევიატურებთან გამკლავება დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან უმეტესობა მათგანი უკვე დამკვიდრებულია ქართულ იურიდიულ დოკუმენტაციებსა თუ ყოველდღიურ მეტყველებაში. გადავწყვიტე, თარგმანში სრულად მიმეთითებინა ინგლისური აბრევიატურის ქართული შესატყვისი. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო ამ ტექსტში გავრცელებული აბრევიატურები:

1. Equitas – ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო ცენტრი
2. ESC Rights - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები
3. MDGs - ათასწლეულის განვითარების მიზნები
4. NHRIs - ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტები
5. NGOs - არასამთავრობო ორგანიზაციები
6. ICESCR - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
7. CEDAW - ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
8. ICCPR - საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
9. UNCHR - გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია
10. UNIFEM - გაეროს ქალთა განვითარების ფონდი
11. FGM - ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება
12. UDHR - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
13. HDI - ადამიანის განვითარების ინდექსი
14. AWID - ასოციაცია ქალთა უფლებების განვითარებისთვის
15. CRPD - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
16. CRC - კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

ცხადია, ტექნიკური თარგმანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თარგმნის ინფორმაციული სიზუსტეა, რის დარღვევამაც შეიძლება უამრავი პრობლემა წარმოშვას. მეორე მხრივ, ზუსტი თარგმანი არ ნიშნავს სიტყვასიტყვით თარგმანს. აქ იგულისხმება ტექსტის სემანტიკის მაქსიმალურად ზუსტი გადმოცემა და მისი პრაგმატიკული ინტენციის მაქსიმალურად ზუსტად დაცვა. თარგმანზე მუშაობისას სამიზნე ტექსტის დიდი ნაწილი, ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივი სინტაქსური სტრუქტურის მქონე წინადადებისგან შედგებოდა. რასაც, წესით, არ უნდა შეექმნა პრობლემა თარგმანზე მუშაობისას. თუმცა ტექნიკური ტექსტისთვის დამახასიათებელი კომპაქტურობისა და ნეიტრალური,

„მშრალი“ სტილის გამო, ზოგ შემთხვევაში მაინც რთული ხდებოდა ზუსტი შესატყვისისა და ეკვივალენტური მნიშვნელობის მქონე სიტყვების მოძიება.

ჩემ მიერ თარგმნილი ტექსტი ძირითადად მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, მისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის სიზუსტე და კომპაქტური წარმოდგენა, მრავლად არის გამოყენებული იურიდიული ტერმინები. მაგალითად, discrimination (დისკრიმინაცია), equality (თანასწორობა), enabling legislation (უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი), declarations (დეკლარაციები), conventions (კონვენციები), justiciability (დავის სასამართლო გზით განხილვის შესაძლებლობა), ratify (რატიფიცირება, დამტკიცება), human rights (ადამიანის უფლებები), legislation (კანონმდებლობა), poverty eradication (სიღარიბის აღმოფხვრა) და ა.შ.

რაც შეეხება სინტაქსურ თავისებურებებს, ამ ტექსტში ძირითადად გამოყენებულია მარტივი გავრცობილი, რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, ხშირად გვხვდება ვნებითი გვარის კონსტრუქციები, მთელი ტექსტი ძირითადად ერთსა და იმავე დროში არის წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში ეს არის Present Simple Tense, თუმცა იშვიათად გვხვდება Present Perfect Tense. (ანა თენიშვილი, 2010:71)

რთული წინადადება:

„Violence against women is forbidden by law in Cambodia but is nevertheless widespread and socially acceptable.“

„In many countries, domestic and intimate partner violence is recognized as a human rights issue in principle but in practice, few NHRIs pursue active programs to address the impact on women and girls.“

„Women may be more likely to experience sexual harassment if they are more vulnerable by virtue of other social or economic factors, such as being a refugee, or having a disability.“

„None of these actors is a formal party to international human rights instruments, but that does not mean that non-State actors are exempt from international human rights obligations.“

Present Simple-ის გამოყენება

„First is the NHRIs enabling legislation, the legal basis for its existence which confers lawful authority to act.“

„Second, international instruments have legal effect and are a principal source of ESC rights at the international level. In some countries, ratified conventions or covenants are automatically part of the country’s law. In others, the country must take an extra step and enact legislation.“

„Female genital mutilation (FGM) is a traditional practice carried out in many countries.“

საყურადღებო იყო ჩემთვის, ის წინადადებები, სადაც აწმყო მარტივი (present simple) და აწმყო განგრძობითი (present continuous) დროები გამოიყენებოდა. ინგლისურ ენაზე მოსაუბრისთვის present simple გამოიყენება ზოგადი, ყოველდღიური მოქმედების აღსანიშნავად, ხოლო present continuous ლაპარაკის მომენტში და ახლო მომავალში შესასრულებელი მოქმედების გამოსახატავად. ქართულ ენაში გრამატიკული დროების ისეთი ნაირსახეობა არ გვაქვს, როგორც ინგლისურ ენაში. შესაბამისად, დროის სემა რომ ამ დაკარგულიყო და ორივე დროის ფორმა ერთნაირად რომ არ ყოფილიყო თარგმანში გამოყენებული, გადავწყვიტე, იმ წინადადებებში, სადაც აწმყო განგრძობითი დრო იყო ნახმარი, ქართულ თარგმანში მისთვის სიტყვები - „ამჟამად“, „მოცემულ მომენტში“ - დამემატებინა.

მაგალითად: „...the state is undertaking obligation to...“ (ამჟამად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ...)

მაგალითად, Present Perfect-ის გამოყენება

„Links have been slowly forged between human rights in general, women’s rights in particular, and the overarching framework of ESC rights as a force of law and a source of norms about good governance.“

„Because it has proved so difficult to achieve concrete gains for women in so many areas, special temporary measures are designed to ensure, or accelerate, equality.“

„The OHCHR has placed NHRIs at the front lines of implementing international human rights obligations.“

მაგალითად, Passive Voice-ის გამოყენება

„In order for these obligations to become reality at the national level, States are required to take all appropriate steps, including legislative, to ensure rights are realized at the State level.“

„This is called “transformation”, and is discussed later on in this Module of the Handbook.“

„Laws against the practice are a start but engagement of the broader community is also required.“

„These Principles were developed at a UN-sponsored meeting of representatives of national institutions in Paris in 1991...“

როგორც აღვნიშნე, სახელმძღვანელოში გვხვდება აღწერილი ვნებითი გვარის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევები, რაც იურიდიული ტექსტისთვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამ ტიპის კონსტრუქციების ქართულ ენაზე თარგმნისას გარკვეული სირთულეები იჩენს თავს.

თინათინ ღვინაძე თავის სახელმძღვანელოში „აღწერილი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ ამბობს, რომ აღწერილი ვნებითს უწოდებენ ვნებითი გვარის ნამყო ღროის მიმღეობის ფუძითა და მეშველი ზმნით (იქნე/იქნეს, იქნება) შედგენილ ფორმას. ასეთი ფორმები ყოველთვის ევროპული ენების პასივის სემანტიკის მქონეა. აღწერილი ვნებითის ფორმები უჩვეულოა ქართული ენის დიალექტებისათვის, საერთო-სახალხო სასაუბრო ქართულისათვის და, ამდენად, ქართული ანდაზების ენისთვისაც, ოღონდ ნაკლებად გვხვდება (ან არ გვხვდება) მხატვრული ლიტერატურის ენაში. ეს ფორმები არსებობს ორგანული წარმოების ვნებითის გვერდით და ზოგ სფეროში (მაგალითად, ოფიციალურ-საკანცელარიო საქმეების ენაში) აშკარა უპირატესობითაც კი სარგებლობს. აღწერილი ვნებითი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფაქტია. სალიტერატურო ქართული ენის განვითარების გზაზე ქართულისთვის ორგანული წარმოება იქცა ნორმად (ღალღალ-ყო - იღალღალა, ამბორს უყო - ეამბორა), ან ზოგ შემთხვევაში აღწერილი წარმოება კომპოზიტების სახით დღევანდლამდე შემორჩა ენას, როგორც ძველი ვითარების გადმონაშთი. ავტორი შენიშნავს, რომ ვნებითის ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერილი ვნებითის ფორმათა დამკვიდრება

სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია ენის გამომსახველობითი უნარის შესუსტებად. მაგრამ როგორც უნდა ამძიმებდეს ენას ეს ფორმები, მათი არსებობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის (ყოველ შემთხვევაში პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურაში ენის) ფაქტია და მათი ხელალებით დაწინაურება ან აკრძალვა აღარც მოხერხდება. ოღონდ აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ყველა შემთხვევა ვერ ჩაითვლება ერთნაირად გამართლებულად. (თინათინ ღვინაძე, 265-266, 269)

აქედან გამომდინარე, იმ წინადადებებში, სადაც ვნებითი გვარის კონსტრუქციები შემხვდა, გადავწყვიტე თარგმანში ზოგ შემთხვევაში გამომეყენებინა „იქნა“ ფორმა, ნაწილში კი ორგანული წარმოების ვნებითი დამეტოვებინა. რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღწერითი ვნებითის ფორმები სრულიად ბუნებრივია სპეციალური, მათ შორის, იურიდიული ლიტერატურისთვისაც.

მაგალითად:

„In 2002, reflecting the growing interest in ESC rights and especially the impact on women, the Montreal Principles on Women’s Economic, Social and Cultural Rights **were adopted** at a meeting of experts.“

2002 წელს ESC (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული) უფლებების, განსაკუთრებით კი ქალების გავლენის, მიმართ მზარდი ინტერესის გამოსახატავად, ექსპერტების შეხვედრაზე **მიღებულ იქნა** მონრეალის პრინციპები ქალთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

„...all States have minimum core obligations that are immediately binding and **are to be implemented** in full.“

ყველა სახელმწიფოს აქვს მინიმალური ძირითადი ვალდებულებები, რომლებიც დაუყოვნებლივ **უნდა შესრულდეს და სრულად განხორციელდეს.**

“Cultural diversity **is made manifest** not only through the varied ways in which the cultural heritage of humanity **is expressed**, augmented and transmitted through the variety of cultural expressions, but also through diverse modes of artistic creation, production, dissemination, distribution and enjoyment, whatever the means and technologies used.”

კულტურული მრავალფეროვნება ვლინდება არა მხოლოდ იმ სხვადასხვა საშუალებებით, რომლებითაც კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობა გამოიხატება, ვითარდება და ვრცელდება კულტურული თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით, არამედ სხვადასხვა სახის მხატვრული შემოქმედებითაც, აგრეთვე კულტურული თვითგამოხატვის საქონლის წარმოების, გავრცელების, განაწილებისა და მოხმარების გზით, გამოყენებული საშუალებებისა და ტექნოლოგიების მიუხედავად.

მორფოლოგიური გარჩევის თვალსაზრისით მოცემულ ტექსტში, როგორც უკვე ავლნიშნე, Present Simple დროის ასპექტის გამოყენება ჭარბობს. სათარგმნი ტექსტისთვის დამახასიათებელია ინვერსიული წყობის არარსებობა და საერთოდ სტილისტიკური ხერხების ნაკლებობა. რაც შეეხება ისეთ კატეგორიას, როგორიცაა თანმიმდევრობა და ლოგიკურობა, ეს მოცემულ მაგალითებში შეიმჩნევა. (ანა თენიეშვილი, 2010:79) მეტყველების სამი ფუნქციონალურ-აზრობრივი ტიპის მიხედვით (აღწერითი, თხრობითი და განსჯითი), ჩემი აზრით, მოცემული ტექსტი არის აღწერისა და თხრობის თვისებების კომბინაცია. არ იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ, ისევე როგორც სხვა იურიდიული სახელმძღვანელოები, სათარგმნი ტექსტიც გამოირჩევა მოდალური ზმნების სიუხვით. კერძოდ, ძალიან ხშირია კანონის ენისთვის დამახასიათებელი must, shall, can და should კონსტრუქციების გამოყენება.

გარკვეული სირთულეები მოდალური ზმნების შემთხვევაშიც იჩენს თავს. ინგლისურ ენაში უხვად მოიპოვება მოდალური ზმნები, რომლებიც აზრობრივი და გრამატიკული თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მაგრამ ქართულ ენაში მათი ეკვივალენტური შესატყვისის მოძიებისას არჩევანის მრავალფეროვნება არ გვაქვს. ვალდებულების გამომხატველ მოდალურ ზმნებს (must, shall, should, etc..) ქართულად „უნდა“ შეესაბამება, ხოლო შესაძლებლობის გამომხატველ მოდალურ ზმნებს (can, could, may, might) – „შეიძლება“, „შესაძლოა“. ჩემ მიერ არჩეულ სათარგმნი ტექსტში საკმაოდ უხვად იყო გამოყენებული ზემოჩამოთვლილი ზმნები, ამიტომ გადავწყვიტე თარგმანი ძალიან დატვირთული რომ არ ყოფილიყო „უნდა“ ფორმის გამოყენებით, ზოგ შემთხვევაში must, shall კონსტრუქციების მქონე წინადადებებში სიტყვა „უნდა“ „ვალდებულია-თი“ ჩამენაცვლებინა.

"States must implement the ESC rights in ratified international instruments"

სახელმწიფოები ვალდებული არიან დანერგონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები რატიფიცირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში.

"The Philippines Constitution of 1987 stipulates that the Philippine Commission shall "investigate ... all forms of human rights violations involving civil and political rights" and shall "monitor the Philippine Government's compliance with international treaty obligations on human rights."

1987 წელს მიღებული ფილიპინის კონსტიტუცია განიხილავს, რომ ფილიპინის კომისია ვალდებულია "გამოიკვლიოს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სფეროში" და ვალდებულია "შეამოწმოს შეესაბამება თუ არა ფილიპინის მთავრობა, საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს."

3. [...] The State party must not only adopt measures of protection...

3. [...] მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითავისოს არა მხოლოდ დაცვასთან დაკავშირებული ზომები...

ერთ-ერთი მთავარი სირთულე, რომელიც თარგმანზე მუშაობის დროს ჩემთვის წარმოჩინდა იყო: 1) ტექნიკური ტექსტის ადეკვატური აღქმა, გაგება და გადმოტანა თარგმანის ენაზე. 2) წყარო ენაში გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატური გადმოტანა თარგმანში. აქ სირთულეს ქმნის ტერმინის ადეკვატური გაგება და გადმოტანა, მით უფრო, რომ ტექნიკურ ტექსტებში გამოყენებული ტერმინოლოგია ხშირად პოლისემანტურია, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და მოითხოვს სიფრთხილესა და დაკვირვებას მთარგმნელისგან. (ანა თენიშვილი, 2010:79)

„პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელობიანობა რეალურად არსებობს ყოველი კონკრეტული ენის სემანტიკურ სისტემაში. პოლისემანტური სიტყვა შედგება რამდენიმე ლოგიკურ-საგნობრივი თვალსაზრისით განსხვავებული მნიშვნელობისაგან, რომლებიც

აზრობრივი განსხვავებების მიუხედავად არ არღვევენ პოლისემანტური სიტყვის მთლიანობას და მის ცალკეულ ვარიანტებად გვევლინება.“ (პოლისემიის რაობა)

მაგალითად:

Comment – 1) კომენტარი (no comments, please!) 2) შენიშვნა (Do have you any comments?) 3) ახსნა-განმარტება 4) მითქმა-მოთქმა (her strange behavior caused a good deal of comment) 5) აზრი 6) თემა

Establishment – 1) დაარსება, დაფუძნება, შექმნა; 2) შემოღება (რელიგიის), დამკვიდრება 3) დანესებულება (military establishment), ორგანიზაცია 4) მყარი მდგომარეობის ქონა საზოგადოებაში ან ბიზნესში

Policy – 1) პოლიტიკა 2) მოქმედების წესი 3) პრინციპი (it has always been my policy not to gossip).

Party- 1) პარტია 2) მხარე 3) ჯგუფი, რაზმი 4) მონაწილე (state parties - მონაწილე, წევრი სახელმწიფოები)

State – 1) მდგომარეობა 2) ოფიციალური ცერემონია 3) შტატი 4) სახელმწიფო

Appeal – 1) მონოდება, მიმართვა, აპელირება 2) თხოვნა, ვედრება, მუდარა 3) გასაჩივრება, საჩივრის შეტანა

Justice – 1) სამართლიანობა 2) მართლსაჭეულება 3) მოსამართლე (chief justice) 4) იუსტიცია (Ministry of Justice - იუსტიციის მინისტრი)

Abuse – 1) ძალადობა, სასტიკი მოპყრობა, ბავშვებზე ძალადობა 2) ზენოლა 3) ლანძღვა, გინება, შეურაცხყოფა 4) ბოროტად გამოყენება, არასწორი ხმარება 5) თავდასხმა 6) გაუპატიურება 7) ექსპლუატაცია წესების დარღვევით

პოლისემია ერის კულტურული განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. ჩემთვის, როგორც წყარო-სამიზნე ენის მცოდნისა და მეტ-ნაკლებად გამოცდილი მთარგმნელისთვის, პოლისემიასთან გამკლავება დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა თარგმნის დროს. გამომდინარე იქიდან, რომ მომიწია დიდი მოცულობის ტექსტთან მუშაობა და, ზოგადად, სახელმძღვანელოს სტილისა და შინაარსის გათვალისწინებით უკვე მარტივი მისახვედრი იყო ინგლისური მნიშვნელობის ქართული ეკვივალენტის მოძიება თარგმანში.

თუ ორაზროვნება და ბუნდოვანება მაინც იჩენდა თავს თარგმანის დროს მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებთან დაკავშირებით, ამ პრობლემის გადაწყვეტაში ძალიან

მეხმარებოდა „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი“ (dictionary.ge), რომლის სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში მაქსიმალურად სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია, შეტანილია უამრავი შესიტყვება, ფრაზეოლოგიური ერთეული, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ასევე დახმარება გამიწია ოქსფორდის განმარტებითა ლექსიკონმა - oxfordlearnersdictionaries.com.

როგორც იურიდიული დოკუმენტაციისათვის არის დამახასიათებელი, ამ სახელმძღვანელოშიც ხშირი იყო საკმაოდ გრძელი წინადადებები. მაგრამ მათი თარგმნისას ვამჯობინე დამენაწევრებინა ერთი წინადადება 2 ან 3 წინადადებად, იმისათვის, რომ დედნისეული აზრი მაქსიმალურად ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო მკითხველისთვის.

მაგალითად,

3. [...] The State party must not only adopt measures of protection, but also positive measures in all areas so as to achieve the effective and equal empowerment of women. States parties must provide information regarding the actual role of women in society so that the Committee may ascertain what measures, in addition to legislative provisions, have been or should be taken to give effect to these obligations, what progress has been made, what difficulties are encountered and what steps are being taken to overcome them.

3. [...] მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს არა მხოლოდ დაცვასთან დაკავშირებული ზომები, არამედ დადებითი ზომები ქალთა თანასწორუფლებიანობის გაძლიერებისა და ეფექტურობის მისაღწევად. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში ქალის ნამდვილი როლის შესახებ. ეს ყოველივე დაეხმარება კომიტეტს გააცნობიეროს სამართლებრივ დებულებებთან ერთად, როგორი ღონისძიებები გაატაროს, რათა ეს ვალდებულებები გახდეს ეფექტიანი და შედეგის მომცემი. გამოკვეთილი უნდა იყოს ისიც, თუ რა სირთულეების წინაშე დგას სახელმწიფო და რა ნაბიჯები გადაიდგა ამ სირთულეების დასაძლევად.

ორიგინალ ტექსტში იყო ისეთი წინადადებები, სადაც ავტორი მკითხველისგან მეტ ყურადღებასა და დაკვირვებას მოითხოვდა. მაგალითად, როდესაც განხილული იყო

გარკვეული პრობლემა და ამ პრობლემის გადაჭრის მეთოდები. ამ წინადადებების ქართულად თარგმნისას გადაწყვიტე დამემატებინა ისეთი სიტყვა („სწორედ“), რომლის გამოყენებითაც მოხდებოდა მეტი ხაზგასმა და ყურადღების გამახვილება მკითხველის მხრიდან. ვფიქრობ, სიტყვა „სწორედ“ ქართულში ამ მიზანს ემსახურება.

მაგალითად:

„How does an international or regional instrument become part of national or domestic law? This question is central to the issue of justiciability which refers to the ability to use a human rights standard before the courts.“

როგორ ხდება საერთაშორისო ან რეგიონალური სამართლებრივი აქტი ეროვნული ან ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ნაწილი? სწორედ ეს შეკითხვა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობისა, რომელიც იძლევა ადამიანთა უფლებების გამოყენების შესაძლებლობას სასამართლომდე.

It ignores the activities which women perform without pay in their households – and yet for many women these activities are at the centre of their lives.

აღნიშნული მუხლი არათერს ამბობს იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ქალები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასრულებენ საკუთარ ოჯახებში. ბევრი ქალისთვის ხომ სწორედ ეს საქმეა მათი ცხოვრების მთავარი მოვალეობა.

ასევე თავიდან რომ ამეცილებინა სიტყვასიტყვითი თარგმანი, ინგლისურ ფრაზებს დავემატე სიტყვა(ები), რომელიც დედნისეულ აზრს უფრო გასაგებს გახდიდა.

მაგალითად:

Gender violence - გენდერული ნიშნით ძალადობა

Examples from Goals 2, 3 and 5 - მე-2, მე-3 და მე-5 მიზნებთან დაკავშირებული

მაგალითები

Good governance - მმართველობის კარგი ფორმა

დასკვნა

დასკვნის სახით შემოიძლია ვთქვა, რომ თარგმანი ნამდვილად საპასუხისმგებლო საქმეა. მისი მეშვეობით სხვა ენის კულტურა მთარგმნელის ენობრივ სივრცეში ექცევა. თარგმანის დახმარებით მსოფლიოს ქვეყნებისა და ერების აზროვნების მონაწილე და თანაზიარი ხდება. სხვა კულტურებთან თანაზიარობა კი პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. თითქოს საზღვრები იხსნება და ისე მოგზაურობ შენტვის სრულიად უცხო სამყაროში, რომ თავს იმ კულტურის მემკვიდრედაც კი მიიჩნევ. მთარგმნელები სიტყვით მოგზაურობენ სხვადასხვა კულტურებსა და ენობრივ სივრცეებში. (ლიტერატურა ჩაის თანხლებით)

ჩემთვის, როგორც დამწყები მთარგმნელისთვის, საკმაოდ რთული აღმოჩნდა მოცემულ სახელმძღვანელოზე მუშაობა. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოცემული თარგმანის მეშვეობით მოხდა იმ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება, რაც მე განვლილი ორი წლის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შევიძინე.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ანალიზში წარმოდგენილია იურიდიული ტექსტისთვის დამახასიათებელი ის სირთულეები, რომლის წინაშეც მუშაობის პროცესში ნებისმიერი მთარგმნელი შეიძლება აღმოჩნდეს.

ასე რომ, მოცემულ ნაშრომში, განვიხილე ისეთი ფენომენი, როგორცაა იურიდიული ტექსტი ლინგვისტური თავისებურებების და თარგმნის პრობლემების თვალსაზრისით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ის არის, რომ იგი დახმარებას გაუწევს ნებისმიერ მსურველს, რომელმაც არ იცის ინგლისური ენა იმ დონეზე, რომ ამ სახელმძღვანელოს ორიგინალში წაკითხვა შეძლოს, მაგრამ, ამავე დროს, დაინტერესებულია ადამიანის უფლებებით, კერძოდ, კი ქალთა უფლებებით. თარგმნილი ნაშრომი ასევე დაეხმარება იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობის მთავარ ნაწილს ქალთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა წარმოადგენს. ნაშრომი

საგულისხმო იქნება მათთვისაც, რომლებსაც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით სურთ ტექნიკური ტექსტის თარგმანთან დაკავშირებული სირთულეებისა და მახასიათებლების დადგენა-შესწავლა, რადგან ნაშრომში ტექნიკურ თარგმანთან დაკავშირებით მოცემულია გარკვეული ინფორმაციები და რჩევები ამ დარგში მომუშავე დამწყები მთარგმნელოლოგებისათვის.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ისეთი განვითარებადი და პატარა ერისთვის, როგორც საქართველოა, უცხოენოვანი მხატვრული თუ არამხატვრული სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანი ძალიან დიდი მნიშვნელობისა და დატვირთვის მქონეა. პირველ რიგში, თარგმანის მეშვეობით ხდება მკითხველის ახალ კულტურასთან ზიარება, ამასთანავე, შესაძლებელი ხდება სხვა ქვეყნების მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი გამოცდილების გაზიარება კონკრეტულ სფეროში. თარგმანი ამდიდრებს სხვადასხვა ეროვნების სპეციალისტების ცოდნას და ქმნის პირობებს ახალი იდეებისა და ტექნიკური ინოვაციების წარმოქმნისათვის. თარგმანი დადებით როლს ასრულებს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. (ანა თენიეშვილი, 2010:32). ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ქართულ რეალობაში თარგმნა უწყვეტი და პროგრესირებადი პროცესი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დალი ფანჯიკიძე, ესე, პუბლიცისტური, ლიტერატურული მემკვიდრეობა. გვ. 255, გამომცემლობა: ჟურნალი „საუნჯე“ N1-2
2. წიბახაშვილი, გ. (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. ნაიდა, ი. (2013). თარგმანის ხელოვნებისათვის, წიგნიდან „თვალსაწიერი“, თამაზ ჩხენკელი, თარგმანები. თბილისი: გამომცემლობა შპს „პეტიტი“.
4. სალექციო მასალა, თემა # 1. თარგმანი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი, გვ. 3

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები და ლექსიკონები

1. ქალთა უფლებები.
https://ka.wikipedia.org/wiki/ქალთა_უფლებები (მოძიებულია 25.06.2019)
2. გენდერული თანასწორობა; ზოგიერთი ძირითადი კონცეფციები
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH6c26c5bbadf508a0f8f921.8.4>=1> (მოძიებულია 20.06.2019)
3. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები (2013). გვ.3
<http://www.parliament.ge/uploads/other/75/75673.pdf> (მოძიებულია 20.06.2019)
4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში. არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი. გვ.5 თბილისი 2017
https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Women_Economic_Empowerment_geo.pdf (მოძიებულია 20.06.2019)
5. ქ. ჯაში, მ. ჯაში, ქ. (2003). თარგმანის ტექნიკა. თბილისი: გამომცემლობა „ლინგვაპლუსი“
<http://eprints.iliauni.edu.ge/171/1/თარგმანის%20ტექნიკა.pdf> (მოძიებულია 20.06.2019)

6. ნინო გორგიშელი, დისერტაცია „პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი დრამატურგიულ ტექსტში და მისი თარგმანში გადატანის სპეციფიკა (ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების მიხედვით)“ თელავი 2017
<http://tesau.edu.ge/files/uploads/humanitaruli/nino/avtoreferati.pdf> (მოძიებულია 21.06.2019)
7. ანა თენიშვილი, დისერტაცია „ტექნიკური ტექსტი ლინგვისტური მახასიათებლები, თარგმანის პრობლემები (ელექტრობის, მექანიკისა და გეოლოგიის დარგების მასალაზე)“ თბილისი 2010
https://www.tsu.ge/data/file_db/library/ana%20TenieSvili.pdf (მოძიებულია 06.07.2019)
8. ია რჩეულიშვილი, დისერტაცია „შედარების ენობრივი ექსპრესიის მოდელები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული და ინგლისური ენების მასალის მიხედვით)“ თელავი 2017
http://tesau.edu.ge/files/uploads/humanitaruli/ia_rcheulishvili_disertacia_PDF.pdf
9. ია ჩიქვინიძე, ტექნიკური ტექსტის თარგმანის საფუძვლები (ლექციების კურსი) ლექცია 1, თარგმანის წარმოშობის ისტორია gtu.ge/Agro-Lib/ტდ.თარგმანი%20ლექციების%20კურსი.docx (მოძიებულია 07.07.2019)
10. თინათინ ღვინაძე „აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“
https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/04/თინათინ_ღვინაძე_QSKS_9Tomi_265gv._opt.pdf (მოძიებულია 07.07.2019)
11. თავი 8. პოლისემიის რაობა.
<https://margaliti.com/members/semasiology/lecture8.pdf> (მოძიებულია 07.07.2019)
12. „ლიტერატურა ჩაის თანხლებით“ 8/2015 მარიამ გაფრინდაშვილის საავტორო გადაცემა „ლიტერატურა ჩაის თანხლებით“ თარგმანი - ლიტერატურული მოვლენა
<https://www.trt.net.tr/georgian/programebi/2015/04/24/literatura-ch-ais-t-anxlebit-8-2015-246338> (მოძიებულია 07.07.2019)

13. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“. „თარგმანის შესახებ თანამედროვე საქართველოში“ (23.07.2014) <http://arilimag.ge/თარგმანის-შესახებ-თანამე/> (მოძიებულია 07.07.2019)
14. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი. Dictionary.ge
15. ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონი (Oxford Advanced Learner's Dictionary). (მე-9 გ.). (2015). ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა
<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>
16. კემბრიჯის ინგლისური ენის საერთაშორისო ლექსიკონი (The Cambridge International Dictionary of English) (მე-3 გ.) (2013) კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
<https://dictionary.cambridge.org/>

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Programme Translation Theory and Practice

Mari Kuprava

Equality for Women

A Handbook for NHRIs on Economic, Social and Cultural Rights

(Translation of module 1st and 2nd and translation analysis)

The thesis submitted for gaining the academic degree of Master in Philology

Supervisors:

Lela Abdushelishvili - Ph.D in Philology

Nino Tsereteli - Ph.D in Philology, TSU Associate Professor

Tbilisi

2019